

სამთავრო. წმინდა ნინოს ღვთა მონასტერი

ნაშრომი დაიწერა  
უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად  
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის



ლოცვა-კურთხევით



„არსად ისეთი მადლი არ მიმიღია, როგორც სამთავროში“

ჩიქოვანი



# სამთავრო

წმინდა ნინოს დედათა მონასტერი

გია ქანიშვილი

თბილისი  
2008

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ედიშერ ჭელიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ელდარ ბუბულაშვილი**

გამოცემის რედაქტორი: **ლელია სიხარულიძე**

დიზაინერი: **გიორგი წერეთელი**

ფოტოგრაფები: **გია ჭანიშვილი**  
**ვახტანგ წერეთელი**

კომპიუტერული

გრაფიკა **ლუკა გოცირიძე**

ISBN 978-9941-0-0721-7

© სამთავრო. წმინდა ნინოს დედათა მონასტერი. თბილისი, 2008.

© გიორგი ჭანიშვილი. თბილისი, 2008.

# შინაარსი

|            |                                                                                               |
|------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>10</b>  | შესავალი                                                                                      |
| <b>15</b>  | წერილობითი წყაროები წმინდა ნინოზე და ქართლის გაქრისტიანებაზე                                  |
| <b>19</b>  | ტერმინ „სამთავროს“ შესახებ                                                                    |
| <b>23</b>  | წმინდა ნინოს მოღვაწეობა მცხეთაში                                                              |
| <b>27</b>  | ქართლის ეკლესიის ჩამოყალიბება და „სამთავრო“                                                   |
| <b>31</b>  | ქართლის (სამთავროს) მთავარეპისკოპოსები                                                        |
| <b>37</b>  | XVIII საუკუნის ქართლის მთავარეპისკოპოსები                                                     |
| <b>45</b>  | სამთავრო XIX საუკუნეში                                                                        |
| <b>53</b>  | დედათა მონასტრის დაარსება სამთავროში                                                          |
| <b>105</b> | სამთავრო XX საუკუნეში                                                                         |
| <b>131</b> | სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი–ილუმენია ქეთევანი                         |
| <b>135</b> | სალოსი ბერი. არქიმანდრიტი გაბრიელი                                                            |
| <b>152</b> | სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვრები, ილუმენიები                                           |
| <b>155</b> | სამთავროს მონასტრის დედათა ანბანური სია                                                       |
| <b>169</b> | წმინდა სტეფანე პირველმონაშის (ანტიოქიის) დედათა მონასტერი (სამთავროს დედათა მონასტრის მეტოქე) |
| <b>173</b> | სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის სულიერი მოძღვრები                                     |
| <b>173</b> | წმინდა ექვთიმე აღმსარებელი                                                                    |
| <b>174</b> | ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი                                                            |
| <b>177</b> | შემოქმედის მთავარეპისკოპოსი იოსები                                                            |
| <b>179</b> | წილკნის მთავარეპისკოპოსი ზოსიმე                                                               |
| <b>180</b> | არქიმანდრიტი საბა                                                                             |
| <b>183</b> | არქიმანდრიტი მიქაელი                                                                          |
| <b>185</b> | არქიმანდრიტი ლაზარე                                                                           |
| <b>186</b> | მღვდელმონაზონი გაბრიელი                                                                       |
| <b>191</b> | სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალული მოღვაწენი                                         |
| <b>199</b> | სამთავროს საფლავთა წარწერები                                                                  |
| <b>205</b> | სამთავროს მონასტრის ნაგებობათა მოკლე აღწერა                                                   |
| <b>209</b> | 2004 წლის არქეოლოგიური გათხრები                                                               |
| <b>215</b> | Самтавро – Женский монастырь святого Нино (резюме)                                            |
| <b>225</b> | Das Kloster der heiligen Nino zu Samtawro (Zusammenfassung)                                   |
| <b>237</b> | Samtavro – Saint Nino’s Convent (summary)                                                     |
| <b>246</b> | ლიტერატურა                                                                                    |





# შესავალი

მცხეთა. ხედი ჩრდილოეთიდან. წინა  
პლანზე სამთავრო. XX ს. დასაწყისი.

სამთავრო საქართველოს ისტორიის ნათელი ფურცელი და ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი სავანეა. სამთავროდან უქადაგა ქართველ ერს ქრისტეს სჯული მოციქულთა სწორმა, კაპადოკიელმა ნეტარმა ქალწულმა ნინომ და სამთავროშივე აიდგა ფეხი ქართულმა ქრისტიანულმა მრწამსმა და თვითშეგნებამ.

წიგნის შედგენის იდეა ეკუთვნით სამთავროს მონასტრის წინამძღვარს — ილუმენია ქეთევანს და შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარს, სამთავროს დედათა მონასტრის სულიერ მოძღვარს — არქიმანდრიტ მიქაელს, რომელთა ნებართვით ჩვენთვის ფართოდ იყო ღია სამთავროს მონასტრის არქივის კარი.

მოწინებით ვუხდით მადლობას უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, რომლის კურთხევითაც დაიწერა ეს ნაშრომი. კათოლიკოს-პატრიარქმა მოგვანოდა მასალა სამთავროს დედათა მონასტრის თანამედროვე ისტორიის შესახებ. ეს მონასტერი პატრიარქის სიყრმის სავანე იყო და იგი აქ, მონასტრის დედებთან,

ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას. „არსად ისეთი მადლი არ მიიღია, როგორიც სამთავროში“ — იგონებს უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ამ წიგნში ძირითადად მოთხრობილია სამთავროს წმინდანინოს დედათა მონასტრის და იქ მოღვაწე დედების ამბავი. იმ მონასტრის ამბავი, რომელიც XIX საუკუნის 20-იან წლებში დაფუძნდა საქართველოს უძველეს სავანეში და ისტორია იმ დედებისა, რომლებიც ქვეყნისთვის ძნელბედობის ჟამს მაცოცხლებელ კეთილ ენერგიას შთაბერავდნენ მინელებულ ქართულ სულს და განამტკიცებდნენ რწმენას. მათი მოღვაწეობა განპირობებული იყო სამთავროს ქრისტიანული წარსულის თხუთმეტსაუკუნოვანი დაუშრეტელი მადლით. ღირსი დედები ღვთისა და ქვეყნის უანგარო სიყვარულით ჰმატებდნენ და ამრავლებდნენ ამ მადლს ღვთის სადიდებლად და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აქ ისტორია იწყება წმინდანინოს მცხეთაში მოსვლით და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოთხრობილია სამთავროს

თხუთმეტსაუკუნოვანი თავგადასავალი — წერილობითი წყაროები წმინდა ნინოზე, ქართლის გაქრისტიანებაზე, მეფე მირიანის მიერ ეკლესიის მშენებლობაზე, ცნობები ტერმინ „სამთავროს“ შესახებ, ქართლის ეკლესიის ჩამოყალიბებისა და სამთავროს, ქართლის (სამთავროს) მთავარეპისკოპოსებისა და სხვათა შესახებ.

საარქივო დოკუმენტური მასალის მოშველიებით აღწერილია სამთავროს შემდგომი ანუ უკვე დედათა მონასტრის ორასწლოვანი ისტორია (XIX-XX სს). მოცემულია სამთავროში მოღვაწეთა ქრონოლოგიური სია, დედათა მონასტრის მონაზონთა ანბანური სია, მონასტრის სულიერ მოძღვართა და მწირველ მღვდელთა ბიოგრაფიები; მოხსენიებული არიან მონასტრის ეზოში დაკრძალული მოღვაწეები; აღწერილია საფლავთა წარწერები და შედგენილია საფლავთა რუკა.

მკითხველი გაეცნობა აგრეთვე სამთავროს ფერისცვალების გუმბათიანი ეკლესიის 2004 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგებს. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელი წლების არქეოლო-

გიური გათხრებით დადასტურდა ადრეშუასაუკუნეების ბაზილიკის არსებობა სამთავროში, რითაც მართლდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ მათიანეებში აღნუსხული ცნობები იმის შესახებ, რომ სამთავროში ქვით აგებული ეკლესია არსებობდა ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში და არ არის გამორიცხული, რომ ეს ეკლესია მირიან მეფის დროს — IV საუკუნეში იყოს აგებული. ასევე ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ქართველ მემატიანეთა გადმოცემა, რომ სამთავროში დაკრძალულია პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი მეუღლე ნანა დედოფალი.

სამწუხაროდ, ცნობები სამთავროს ადრეული ისტორიის შესახებ სრულად არ არის შემორჩენილი და ბევრი რამ ამ ისტორიიდან დღესაც არ არის ბოლომდე გარკვეული. საქართველოს არქივებსა და წიგნთსაცავებში გაცილებით მეტი მასალაა დაცული სამთავროს გვიანი ხანის ისტორიისა და დედათა მონასტრის შესახებ, მაგრამ არქივების მოუწესრიგებელი საცნობარო სისტემის

გამო ამ საბუთების სრულად გამოვლენა გაძნელებულია. საარქივო მასალის მოძიებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ისტორიის კარგ მცოდნეს — ბატონ ერეკლე ხუციშვილს, რომელსაც დიდ მადლობას ვუხდით განეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით აგრეთვე ამ წიგნის გამოცემის გულშემატკივრებს — ლეილა სიხარულიძესა და დალი მშვენიერაძეს მათ მიერ უანგაროდ განეული დახმარებისათვის.

წიგნს თან ახლავს ნაშრომის მოკლე შინაარსი (რეზიუმე) რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

მკითხველს ვაუწყებთაგრეთვე, რომ ამ ნაშრომთან ერთად ცალკე წიგნად გამოდის პროფესორ ვალერი სილოგავას ნაშრომი „მცხეთის სამთავროს ძველი ქართული წარწერები“, მასში შესწავლილია სამთავროს ტაძრის კედლებზე, აგრეთვე წმინდა ნინოს ხატზე და მის სანაწილეზე არსებული სხვადასხვა დროის ლაპიდარული, ფრესკული და ნაკაწრი წარწერები. მათი ქრონოლოგია XI-XIX საუკუნეებს მოიცავს.



„...**თ**ა აღვაშენე ზემოე ეკლესიაჲ თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლითა... და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი, რაჲთა თუალსა მისსა მივჰრიდო და წყალობასა მისსა მივემთხვო აღდგომასა.“

ეს სიტყვები ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს — მირიანს ეკუთვნის, რის შესახებაც მოგვითხრობს უძველესი ქართული მატრიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ [1, გვ. 354].

მეფე მირიანს ეს ეკლესია სატახტო ქალაქის — მცხეთის ჩრდილო გარეუბანში აუგია; „ზღუდესა გარეგან“, სადაც კაპადოკიელი ტყვე ქალწული ნინო „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჲთა“ [1, გვ. 322].

საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნინოს ქადაგების ადგილზე დღეს წმინდა ნინოს დედათა მონასტერია — სამთავროს დედათა მონასტერი.

წმინდა ნინო და სამთავრო საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილებია და თითქმის უკვე ჩვიდმეტი საუკუნის მანძილზე სამთავრო სრულიად სა-

ქართველოს ერთ-ერთ უპირველეს სიმინდეს წარმოადგენს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა აზრი არსებობს როგორც წმინდა ნინოს მცხეთაში მობრძანების დროზე, ისე ქართლის პირველ ქრისტიან მეფეზე, საქართველოს გაქრისტიანების თარიღზე და ამ მოვლენებთან დაკავშირებულ ამბებზე; თუმცა, ყოველი ქართველის წარმოდგენაში საქართველოს გამაქრისტიანებელი კაპადოკიელი ქალწული ნინოა, ხოლო პირველი ქრისტიანი ხელისუფალნი მეფე მირიანი და ნანა დედოფალი არიან. ეს მოსაზრება ღრმად იყო შესისხლბორცებული ჩვენს წინაპართა წარმოდგენაში და დღესაც ასეა. ამიტომ ამ მოვლენის შესახებ სამეცნიერო კამათი საქართველოს იმ ეპოქის ისტორიის სპეციალისტებს დავუთმობთ, ჩვენ კი თავი მოვუყაროთ იმას, თუ რა წერია ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში — მატრიანეებში საქართველოს გაქრისტიანების, წმინდა ნინოს შემოსვლისა და სამთავროს შესახებ; გავერკვეთ სამთავროს ისტორიის საწყისებში და თვალი გავადევნოთ მის არსებობას ჩვენს დრომდე.



# წერილობითი წყაროები წმინდა ნინოზე და ქართლის გაქრისტიანებაზე

ბზობის დღესასწაული სამთავროში

**ქ**ართლის გაქრისტიანებისა და მირიანის მიერ ეკლესიების მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს რამდენიმე ქართული და უცხოური წერილობითი წყარო. ქართულ წყაროებს შორის უძველესია ჩვენამდე მოღწეული პირველი ისტორიული თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ.“ ამ თხზულების ტექსტი გადანერვილია X საუკუნის 60-70-იან წლებში შატბერდის მონასტერში მოღვაწე იოანე ბერას მიერ [1, გვ.26]. (არსებობს ამ ტექსტის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც მოთავსებულია XIV-XV საუკუნეებში გადანერილ ე. წ. ჭელიშურ კრებულში. 1990 წ. სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში, სინური ხელნაწერების ახალ კოლექციაში აღმოჩნდა აღნიშნული ძეგლის კიდევ ორი რედაქცია — Sin - 48 და Sin-50. პროფ. ზაზა ალექსიძე ამ ხელნაწერებს X საუკუნის დამდეგით ათარიღებს [53, გვ. 8]). ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია მოსაზრება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორნაწილიანი კრებული, უფრო ადრეულ წყაროებზე დაყრდნობით, IX საუკუნეში უნდა იყოს

შედგენილი. კრებულის პირველ ნაწილში ქართლის მოკლე ისტორიასთან ერთად, ასევე მოკლედ არის გადმოცემული წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ამბავი, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი ისტორიაა.

წმინდა ნინოს ცხოვრების მომდევნო წერილობითი წყაროა XI საუკუნის ქართველი მოღვაწის ლეონტი მროველის თხზულება — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ [2, გვ. 72]. იგი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს ქართლის გაქრისტიანების და წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ. თუმცა ავტორს სხვა ადრეული წყაროებიც აქვს გამოყენებული [3, გვ. 187].

XII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა არსენ ბერის მიერ შედგენილი „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული ანუ გავრცობილშევისებული რედაქცია, რომელშიც კომპოზიციურად არის გამართული შატბერდისეული და ლეონტი მროველისეული „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ამბავი [4, გვ.

30]. ზოგი მკვლევარი ამ რედაქციის ავტორად არსენ იყალთოელს მიიჩნევს [ 5].

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციად შეიძლება ჩაითვალოს XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს კათალიკოსის — ნიკოლოზ I გულაბერიძის თხზულება — „საკითხავი სუეტი-საცხოველისა...“, სადაც ავტორი თეოლოგიურად განიხილავს ქალი განმანათლებლის მისიას საქართველოში [ 3, გვ. 396].

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ კიდევ ერთი რედაქცია შესრულებულია XIII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ. იგი წარმოადგენს არსენის თხზულების შემოკლებულ პერიფრაზირებულ რედაქციას [4].

როგორც ვხედავთ, პირველი ცნობა წმინდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების შესახებ ქართულ მატრიანეებში მხოლოდ X საუკუნეში გვხვდება, თუმცა უეჭველია, რომ ამ მოვლენის აღმწესხველი ქართული წყარო მანამდეც არსებობდა და ჟამთა სიავის გამო ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციაში დასახელებულია ჩვენთვის უცნობი გრიგოლ დიაკვნის „მოკლედ აღწერილი ქართლის მოქცევის წიგნი“ [ 3, გვ. 112]. ამაზე მეტყველებს აგრეთვე სომხურ, ბერძნულ და სხვა უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები წმინდა ნინოს მიერ ქართლის გაქრის-

ტიანების შესახებ და ამ ამბავთან დაკავშირებული სხვა მოვლენები.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ არსებული ბერძნული წყაროები ჯერ კიდევ XI საუკუნეში გამოუკვლევია ქართველ ღვთისმეტყველსა და მთარგმნელს ეფრემ მცირეს თავის ნაშრომში: „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიწესენიების“ [ 6].

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი თავის „სომხეთის ისტორიაში“ სომხეთის გაქრისტიანებასთან ერთად მოგვითხრობს წმინდა რიფსიმეს ერთ-ერთ მეგობარ ლტოლვილ ქალწულ ნუნეზე, რომელმაც ქრისტეს სახარება იქადაგა ქართველთა სამეფო ქალაქ მცხეთაში და ქრისტეს რჯულზე მოაქცია ქართველთა მთავარი მიჰრანი. ხორენაცი აღნიშნავს — ნეტარმა ნუნემ, „ქალ-მოციქულად იქცა რა, იქადაგა კლარჯთაგან მოყოლებული დარიალანამდის და კასპთაგან დაწყებული მასქუთებამდე, როგორც ამას გვაუწყებს აგათანგელოსი“ [ 7, გვ. 224; 8].

როგორც ჩანს, იმ დროს V საუკუნის მეორე სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის თხზულების „სომეხთა მოქცევის“ ისეთი რედაქცია არსებობდა, სადაც ეს ამბავიც ყოფილა აღწერილი [ 9, გვ. 36; 7, გვ. 222].

ყველაზე ადრეული ცნობა ქართლის გაქრისტიანების შე-

სახებ შემონახული ყოფილა ბიზანტიელი მემატიანე გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“, რომელიც დაინერა IV საუკუნის ბოლოს. თვით ეს თხზულება არ შემორჩენილა, თუმცა მასში მოთხრობილი ამბავი დაცულია V საუკუნის მემატიანეებთან — გელასი კვიზიკელთან, თეოდორიტე კვირელთან, სოკრატესისთან, სოზომენესთან და რუფინუსთან [10]. რუფინუსის მიერ ლათინურად შედგენილ „საეკლესიო ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ ქართლის მოქცევის ამბავი გელასი კესარიელისათვის იბერთა მეფის გვარის კაცს — ბაკურს მოუყვლია. მას უამბია, რომ იბერები და ლაზები ქრისტეს რჯულზე მოუქცევია ერთ ტყვე ქალს, რომელსაც თავისი სათნო ცხოვრებით და მკურნალობის ნიჭით გაუთქვამს სახელი. მასვე უამბია ტყვე ქალის მიერ იბერთა დედოფლის განკურნებაზე, მეფის ნადირობის თავგადასავალზე, ეკლესიის მშენებლობის დროს მომხდარ სასწაულზე და ასევე იმ ფაქტზე, რომ იბერთა ეპისკოპოსი კონსტანტინე იმპერატორის დავალებით უკურთხებია კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს — ალექსანდრეს. გელასი კესარიელი ამ ბაკურს იბერთა შორის უსახელოვანესად, ხოლო მის ნაამბობს ფრიად სარწმუნოდ თვლის [10, გვ. 194].

რუფინუსის მიერ მოთხრობილი ამბავი თავისი შინაარსით

ახლოს დგას ნეტარი ტყვე ქალწულის თეოგნოსტას (იგივე ნინოს) მოღვაწეობასთან, რაც აღწერილია ეთიოპიურ და კოპტურ სვინაქსარებში [ 7, გვ. 225]. აქვე, ერთ-ერთ ხელნაწერში, დასახელებულია ევსტათე ხუცესი, რაც ეპასუხება თეოდორიტე კვირელის ცნობას იმის თაობაზე, რომ ქართლის მოსაქცევად ბიზანტიიდან ანტიოქიის პატრიარქი ევსტათე გამოუგზავნიათ [7, გვ. 225].

პეტრე იბერის ე.წ. ასურულ ცხოვრებაში (VI ს. დასაწყისი) ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ პეტრეს პაპა „დიდი ბაკური“ არის დასახელებული [9, გვ. 74]. თუმცა, ისტორიოგრაფიაში პირველ ქრისტიან მეფედ დღეს მირიანია მიჩნეული.

ქართლის გაქრისტიანების ზუსტი თარიღი არც ერთ წყაროში არ არის მითითებული. ძველი ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროების გაანალიზებით და იმდროინდელი ეპოქის ისტორიულ გარემოებათა გათვალისწინებით სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა თარიღს გვთავაზობს, თუმცა IV საუკუ-

ნის პირველ ნახევარს ერთი-ორი გამონაკლისის გარდა არც ერთი მათგანი არ სცდება:

|                     |             |
|---------------------|-------------|
| დიუბუა დე მონპერე   | 276 წ.      |
| ვახუშტი ბატონიშვილი | 317 წ.      |
| ს. ბარათაშვილი      | 317 წ.      |
| დ. ბაქრაძე          | 317 წ.      |
| ვ.გოლაძე            | 317/318 წწ. |
| პ. იოსელიანი        | 318 წ.      |
| მ. ბროსე            | 323 წ.      |
| თ. ჟორდანია         | 323 წ.      |
| ს. გორგაძე          | 323 წ.      |
| მ. ჯანაშვილი        | 323 წ.      |
| ა. ნატროშვილი       | 326 წ.      |
| ბარონიუსი           | 327 წ.      |
| ა. ხახანაშვილი      | 332 წ.      |
| ექვ. თაყაიშვილი     | 332/33 წწ.  |
| კ. ცინცაძე          | 335 წ.      |
| ს. კაკაბაძე         | 336 წ.      |
| ივ. ჯავახიშვილი     | 337 წ.      |
| კ. კეკელიძე         | 355 წ.      |
| [ 9, გვ. 72].       |             |

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე უპირატესობა ენიჭებოდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 337 წლის ახლო ხანებში მოხდა [ 7, გვ. 273; 9, გვ. 73].

## საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქართლის გაქრისტიანების თარიღად 326 წელს მიიჩნევს.

მცხეთის „ზემო ეკლესიის“ ანუ „სამთავროს“ შემდგომი ისტორიის (V-VIII სს.) შესახებ რამდენიმე საყურადღებო ცნობაა დაცული XI საუკუნის ქართველი მემკვიდრის — ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელშიც ჩვენთვის უცნობი ადრეული წერილობითი წყაროებიც არის გამოყენებული [ 2, გვ. 139].

სამთავროს შემდგომი ისტორიის შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე ლეონტი მროველთან და XII-XV საუკუნეების სიგელ-გუჯრებში, სადაც ქართლის მთავარეპისკოპოსებია მოხსენიებული [იხ. ქვემოთ].

XVII საუკუნიდან კი უკვე მრავლადაა ცნობები სამთავროს შესახებ. ასევე ვრცელი მასალაა დაცული წმინდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტერზე ამავე მონასტრისა და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივებში.



# ტერმინ „სამთავროს“ შესახებ

სამთავრო.ფერისცვალების ტაძარი.  
ხედი დასავლეთიდან.

**ს**ამთავროს მოწოდებასა და ნინოს ქადაგების დროს კი აქ მინდორი ყოფილა.

ტერმინი „სამთავრო“, როგორც ამ ადგილის სახელწოდება, წერილობით წყაროებში XII საუკუნემდე არ გვხვდება. წმინდა ნინოს სამყოფელს მატყანეები „მაყვლოვანს“ უწოდებენ, ხოლო მეფე მირიანის მიერ იქ აგებულ ტაძარს „ზემო ეკლესიას“, „გარეუბნის ეკლესიას“ ან „საეპისკოპოსო ეკლესიას“ — საპირისპიროდ მირიანის მიერვე პირველად აგებული „ქვემო ეკლესიას“ („სვეტიცხოველი“).

რა დროიდან ეწოდა ამ ადგილს „სამთავრო“ ცნობილი არ არის. პირველად „სამთავროს“ ახსენებს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ XII საუკუნის მეტაფრასული რედაქცია. ამ თხზულებაში მეფე მირიანის ღვაწლის აღნიშვნის შემდეგ ნათქვამია: „აღესრულა და დაიდვა სამთავროსა ეკლესიასა“ [4, გვ. 46].

სიტყვა „სამთავრო“ ისტორიულად სახელმწიფოს ნაწილს, მხარეს ნიშნავდა; მთავარი — უმაღლესი საერო ხელისუფლების მქონე პირს.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე გვაუწყებს, რომ ტერმინი „სამთავრო“ ხშირად იხმარება მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებში რომის იმპერიის პროვინციებისა და ამ პროვინციათა ეკლესიების აღსანიშნავად [11, გვ. 198]. „დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით კონსტანტინოპოლის 381 წლის II მსოფლიო საეკლესიო კრების II კანონში აღნიშნულია რამდენიმე ასეთი სამთავრო. მაგალითად: ალექსანდრიის, ანტიოქიის, ასიის, პონტოსა და თრაქიის [12, გვ. 261]. თუმცა „დიდი სჯულისკანონი“ ქართულად XI საუკუნეშია თარგმნილი და ეს ტერმინი ადრექრისტიანული ხანის ზუსტ საბუთად ვერ გამოდგება.

სიტყვა „მთავარი“ კი პირველად VI საუკუნის ჰაგიოგრაფიულ თხზულება „ეფსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ გვხვდება: „შეკრბეს ქართლისა მთავარნი“ და მარზპანის წინაშე გამოესარჩლნენ ეფსტათეს [13, გვ. 31].

VI საუკუნეშივე გაჩნდა ქართლის ერისმთავრის თანამდებობა. არსებობს მოსაზრება, რომ ქართლის ერისმთავრის სამყოფელი

ფელი მცხეთის ჩრდილოგანაპირა ნაწილში ყოფილა, საიდანაც წარმომდგარა ამ ადგილის სახელწოდება — სამთავრო. თუმცა ეს ფაქტი დოკუმენტურად ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება — შესაძლებელი კია. უფრო კი სავარაუდოა, რომ ამ ადგილს და ტაძარს სამთავრო დაერქვა, რადგან იგი ქართლის მთავარეპისკოპოსთა სამყოფელი იყო და სამთავარეპისკოპოსო ტაძრად მოიხსენიებოდა [2, გვ. 94].

ახლანდელი სამთავროს ველი, რომელიც ანტიკური ხანის მცხეთის გალავნის ჩრდილოეთით იყო გადაჭიმული მდინარე არაგვსა და კარსანის გორაკს შორის, უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ ველზე ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენები აღმოჩნდა, ხოლო შუაბრინჯაოს ხანიდან აქ უკვე სამაროვანი გაჩენილა [14, გვ. 302]. სამაროვანის სამარხთა ინვენტარი საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ მცხეთის უძველესი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში, კულტურასა და რელიგიურ წარმოდგენებში. დგინდება, რომ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში მცხეთა ქალაქური ტიპის სამოსახლოს წარმოადგენდა, ხოლო ძვ. წ. IV საუკუნიდან იგი უკვე ქართლის დედაქალაქად გვევლინება. ამ პერიოდისათვის სამთავროს ველზე აღმოჩენილია წყალსადენის ნაშთები და და-

დასტურებულია ადგილობრივი წარმოების აგური და კრამიტი [14, გვ. 623]. საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე მეტყველებს აგრეთვე სამთავროს სამაროვნის ოქრომჭედლის მდიდრული სამარხიც, იქ აღმოჩენილი საოქრომჭედლო სასწორ-საწონებითა და გათლილი თვლებით [14, გვ. 751].

ახ. წ. IV საუკუნის ერთ-ერთ ქვაყუთზე მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის, ვინმე ავრელიუს აქოლისის ეპიტაფიაა [14, გვ. 769]. აქვე აღმოჩენილია შენობის ნაშთები, რომელიც „სანელსაცხებელთა სახელოსნოს“ უნდა ეკუთვნოდეს [9, გვ. 198]. ყოველივე ეს, სხვა წერილობით წყაროებთან ერთად, მეტყველებს, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროს მცხეთაში ქალაქურ ცხოვრებას და ხუროთმოძღვრებას მყარი ტრადიციები ჰქონდა.

ამ ეპოქაში მცხეთის გალავანს ორი კარიბჭე ჰქონია. „მოგვთა კარი“ — სამხრეთ-დასავლეთით მდინარე მტკვართან და „არაგვის კარი“ — ჩრდილოეთით, რომელსაც სამთავროს ველიდან მშრალი ხევი (დღეს მონასტრის ხევი) გამოჰყოფდა (შესაძლოა, რომ მცხეთას ჰქონდა მესამე კარიც არაგვისა და მტკვრის შესართავთან — „ანტიოქიასთან“).

მცხეთის შემოსასვლელს ჩრდილოეთიდან ზადენციხე — სევსამო-

რა იცავდა. მტკვრის დაღმა — ავჭალასთან და მცხეთის დასავლეთით — სარკინეში ასევე სასიმაგრო ნაგებობები იყო გამართული. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბაგინეთის მთაზე ქართლის მეფეთა სამყოფელი — არმაზციხე იდგა. იქვე აღუმართავს მეფე ფარნავაზს არმაზის კერპი და იქვე ყოფილა წინაპართა კერპებიც — გაცი და გაიმი. იმავე ნაპირზე არმაზისხევთან ქართლის პიტიახშები სახლობდნენ. მტკვარზეხიდიყოფილა გადებული. მარცხენა ნაპირზე ქალაქის უბნები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ეთნიკური და სამეურნეო ნიშნით. აქ ყოფილა მჭედლების, მეთუნეების, მეჯადაგეების, მეხამლეების უბნები. მტკვრისა და არაგვის შესართავთან სამეფო ბაღი იყო გაშენებული. მცხეთაში მრავლად იქნებოდა წარმართული ტაძრებიც, რომლებიც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ განადგურებულია (კართაგენის 419 წლის საეკლესიო კრების 58-ე კანონში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „ნეშტნი კერპთაჲ და ტაძარნი მათთაჲ“ უნდა მოსპობილიყო [12, გვ. 317]).

აი ამ ქალაქში შემოსულა წმინდა ნინო „წიალით მოგუთას, ჯიდსა ზედა...“ და გულდამძიმებული შესცქეროდა ცეცხლის მსახურ მცხეთელ ერს.

სამთავრო. ხედი სამხრეთიდან. XX ს.





# წმინდა ნინოს მოღვაწეობა მცხეთაში

სამთავრო. ხედი სამხრეთიდან.

**წ**მინდა ნინოს მიერ ქართ-  
ლის მოქცევა დიდი და მრავალ-  
ფეროვანი მოვლენე-  
ბით სავსე ისტორიაა, რომელიც  
საფუძვლიანად არის შესწავლილი  
და გამოქვეყნებული სხვადასხვა  
ავტორის მიერ. ჩვენი მიზანია ამ  
ისტორიის განხილვა სამთავროს-  
თან კავშირში.

მცხეთაში მოსვლის მეორე  
დღესვე უხილავს წმინდა ნინოს  
წარმართულ კერპთა თაყვან-  
საცემად გამოსული ნანა დედო-  
ფალი და მირიან მეფე ურიცხვ  
ერთან ერთად და ამ ამბის ხილ-  
ვით გულდამწვარს მხურვალე  
ლოცვა აღუვლენია უფლის მი-  
მართ, რომელსაც გამანადგუ-  
რებელი გრიგალი მოუვლენია  
და კერპები დაუღუპავს.

უფლის სადიდებელი ექვს-  
დღიანი ლოცვის შემდეგ წმინდა  
ნინომ სამეფო ბაღს — „სამო-  
თხეს“ — მიაშურა და ბაღის  
მცველთან დასახლდა. მცველის  
მეუღლე ანასტომ იგი მეგობრუ-  
ლად მიიღო. მადლიერმა წმინდა  
ნინომ კი უშვილო ცოლ-ქმარი  
ღვთის ძალით შვილიერად ჰყო.

შემდეგ ნეტარი ნინო გაეშურა  
და ქალაქის ზღუდის გარეთ მა-

ყვლოვანში დაიდო ბინა, „შექმნა  
სახეა ჯუარისაჲ ნასხლევისაჲ და  
მუნ დაადგრა და ილოცვიდა“ [1,  
გვ. 322]. იგი სამი წლის განმავ-  
ლობაში „ილოცვიდა ფარულად.“  
მასთან ერთად იყო მის მიერ და-  
მონაფებული ანასტო მეუღლი-  
თურთ. ნინომ სახარება ურია-  
თუბნელ აბიათარ მღვდელს და  
მის ქალიშვილ სიდონიასაც უქა-  
დაგა, ორივენი დაიმონაფა და  
კიდევ „ექუსნი დედანი სხვანი  
ჰურიათანი“ [2, გვ. 95].

წმინდა ნინოს ჩამოსვლის  
ერთ-ერთი მიზანი მაცხოვრის  
კვართის ძიება იყო. წმინდა ნინომ  
მღვდელ აბიათარისაგან მოის-  
მინა მამაპაპისეული გადმოცემა  
უფლის კვართის შესახებ. მან შეი-  
ტყო, თუ როგორ უხილავთ მცხე-  
თელ ელიოზს და კარსნელ ლონ-  
გინოზს გოლგოთაზე მაცხოვრის  
ჯვარცმა და როგორ ჩამოუტა-  
ნიათ იერუსალიმიდან მცხეთაში  
ქრისტეს კვართი. აბიათარმა ნი-  
ნოს გაუმხილა ისიც, თუ როგორ  
ჩაუკრავს გულში უფლის კვართი  
ელიოზის დას — სიდონიას — და  
მყისვე განუტევებია სული. ხოლო  
ელიოზს თავისი და კვართიანად  
დაუკრძალავს სამეფო ბაღში.

წარმართთა მოქცევით და მრავალთა განკურნებით ღვთის-მოსავ ქალწულ ნინოს სახელი გაუთქვამს და მაყვლოვანში ყოფნის მეექვსე წელს, მხურვალე ლოცვით, დედოფალი ნანაც განუკურნავს. მძიმე სენისაგან განკურნებულმა დედოფალმა ირწმუნა ქრისტეს სჯული.

მეფე მირიანის მოქცევა კი მეშვიდე წელს მომხდარა, როდესაც თხოთის მთაზე ნადირობისას მზე დაბნელებულა და წარმართული კერპების მიმართ აღვლენილი ვედრების მიუხედავად, მეფეს „არა უპოვია ლხინება.“ მზე მხოლოდ მაშინ „გამობრწყინებულა“, როდესაც მირიანს ნინოს ღმერთისადმი აღუთქვამს: — „განმინათლე ბნელი ესე... და აღვიარო სახელი შენი და აღვმართო ძელი ჯუარისა შენისა და თაყუანის-ვსცე მას... და ვიყო მორჩილ ნინოჲსსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა“ [1, გვ. 342].

ნადირობიდან დაბრუნებული მეფე მაყვლოვანში მისულა და წმინდა ნინოს წინაშე ქრისტეს სჯული უღიარებია. მეფეს, ნინოს რჩევით, მეორე დღესვე მოციქულები წარუვლენია საბერძნეთში და ნათლისღებისათვის მღვდელნი უთხოვია. შემდეგ კი შეპირებისამებრ ღვთის სახლის აგება გადაუწყვეტია.

„სადა უშენო სახლი ღმერთსა?“ — უკითხავს მეფეს ნინოსთვის.

„სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს“ — უპასუხია ნეტარს [1, გვ. 343].

ეკლესიის „მაყვლოვანში“ აშენების სურვილის მიუხედავად, პირველი ქრისტიანული ტაძრის აგება მირიანს მაინც სამეფო ბაღში განუზრახავს. მშენებლობისას სასწაული მომხდარა. იქვე მოკვეთილი ნაძვი — „სუეტი იგი ცხოველი“ ხუროებს ადგილიდან რომ ვერ დაუძრავთ, წმინდა ნინოს მხურვალე ლოცვის წყალობით უფლის ანგელოზის ნებით ჰაერში ამაღლებულა და შემდეგ მეფისა და ერის თვალწინ „კაცთაგან ხელშეუხებლად“ ჩამოსულა და განსაზღვრულ ადგილზე დაფუძნებულა [1, გვ. 342]. თუმცა XII საუკუნის „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია პირველი ქრისტიანული ტაძრის აგებას მაყვლოვანში მიუთითებს და მხოლოდ ამის შემდეგ — ეკლესიას სამეფო სამოთხეში [4, გვ. 32].

ამ დროს, მირიანის თხოვნის თანახმად, საბერძნეთიდან იოვანე ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და ერთი დიაკონი ჩამოსულან. მათ მტკვარში მონათლეს მირიან მეფე, ნანა დედოფალი და მთელი მათი სახლეული. ნათლობა „მოგვთა კარის“ მახლობლად ჩატარდა და იმ ადგილს „მთავართა სანათლო“ ეწოდა.

შემდეგ საბერძნეთიდან კირით ხურონი და ქვის მთელენი ჩამოვიდნენ და დაიწყეს ეკლე-

სიათა შენება. მათ საფუძველი დაუდეს ერუშეთისა და მანგლისის ტაძრებს და იქვე დატოვეს კონსტანტინე კეისრის მიერ ნაწყალობევი მაცხოვრის ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა [1, გვ. 323].

მეფის „სამოთხეში“ აგებულ სვეტიცხოველს „წმიდაჲ წმიდათა“ ერქვა და ამ ხის პატარა ეკლესიაში შესვლას მღვდლების გარდა ვერავინ ბედავდა, „რამეთუ შიში დიდი დაცემული იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა“ [1, გვ. 354]. ამიტომ საბერძნეთიდან ჩამოსულმა ქვითხუროებმა მირიანის დავალებით ჩრდილო გალავნის გარეთ — მაყვლოვანთან, დღევანდელი დიდი გუმბათიანი ეკლესიის ადგილას, ახალი ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს. მირიანი გვამცნობს: „აღვაშენე ზემოეკლესიაჲ თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლითა... და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი“ [1, გვ. 354]. ამ ტაძრის გარდა მირიანს მაყვლოვანში, დღევანდელი მცირე ეკლესიის — წმინდა ნინოს ეკლესიის ადგილას, კიდევ ერთი ეკლესია აუშენებია, თანაც ისე, რომ ეს წმიდა ალაგი არ დაუზიანებია: „არა გამოვაპუ ფურცელი ერთიცა მათგან, არამედ ხარისხთა გარე — შევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი მას შინა“ — აღნიშნავს პატივისცემით ქრისტიანი მეფე [1, გვ. 354].

ეკლესიათა მშენებლობის გარდა მირიანმა ხუროებს მოაკვეთინა „ხვ ერთი ჰაეროვანი“ და შეაქმნევინა სამი ჯვარი „ვითარცა მღვდელთა მათ“ ასწავლეს. ერთი ჯვარი არაგვის გადაღმა ბორცვზე აღუმართავს, მეორე — თხოთის მთაზე, მესამე — უჯარმაში.

წმინდა ნინომ ქართლში ბარის მოსახლეობის მოქცევის შემდეგ მთიანეთსა და კახეთს მიაშურა და იქ იქადაგა ქრისტეს სჯული. უკან დაბრუნებული წმინდანი დასნეულდა და გარდაიცვალა „დაბასა რომელსა ჰქვია ბოდინი“ (ახლანდელი ბოდბე) [1, გვ. 324], ხოლო მირიანმა მის საფლავზე ეკლესია ააგო.

მცხეთაში დაბრუნებულმა მირიან მეფემ განასრულა „ზემო ეკლესია“ და როცა გარდაიცვალა, დაკრძალეს იქვე ტაძარში „საშუალსა სუეტსა სამხრითსა, ჩრდილოთ-კერძო“ [2, გვ. 130]. ამ ცნობით ირკვევა, რომ ეს ეკლესია შესაძლოა ბაზილიკური ტიპის ყოფილიყო, რადგან თითოეულ მხარეს რამდენიმე სვეტი ჰქონია (იხ. აქვე 2004 წლის არქეოლოგიური გათხრები). ხოლო მეორე წელს, გარდაიცვალა ნანა დედოფალი და ისიც იმ სვეტის დასავლეთით დაუკრძალავთ, სადაც განისვენებდა მეფე მირიანი.

წმინდა ნინოს ხატი ფერისცვალების ტაძარში.





# ქართლის ეკლესიის ჩამოყალიბება და „სამთავრო“

სამთავრო. ფერისცვალების ტაძარი.  
ხედი სამხრეთიდან.

**ქ**ართლის გაქრისტიანება გარკვეულწილად პოლიტიკური მოვლენაც იყო. კონსტანტინე იმპერატორის დროს, რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (325 წ.) შემდეგ, ქრისტიანობა ძლიერდება რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებშიც. მათ შორის იყო ტრადიციულად დასავლეთზე ორიენტირებული ქართლიც, სადაც რომის კვალდაკვალ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მართალია ქართლი ადმინისტრაციულად არ შედიოდა რომის იმპერიაში, მაგრამ ბუნებრივია, რომ ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურა ქართლში რომის იმპერიის ეკლესიის მსგავსად უნდა მოწყობილიყო და მისი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო.

ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურის და ზოგადქრისტიანული კანონმდებლობის ჩამოყალიბება ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე ხორციელდებოდა. საეკლესიო კანონები IV საუკუნიდან მსოფლიო საეკლესიო კრებებზე განიხილებოდა და მტკიცდებოდა. სულ 7 მსოფლიო და 10 ადგილო-

ბრივი კრება ჩატარდა, რომელთა მიერ მიღებული კანონებით, მოციქულთა და ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარულ კანონმდებლობასთან ერთად, IX საუკუნეში მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგადქრისტიანული კანონიკური კოდექსი — 14 ტიტლოვანი (ნაწილიანი) ნომოკანონი ჩამოყალიბდა. ბერძნულად შედგენილი ნომოკანონის ქართულ თარგმანს „დიდი სჯულისკანონი“ ეწოდა (XI ს.).

ქართლის მოქცევის დროისათვის რომის იმპერიაში 5 საეკლესიო ცენტრი არსებობდა: რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმისა და ანტიოქიის. ისინი შემდეგ ავტოკეფალიურ ეკლესიებად ჩამოყალიბდნენ. მომდევნო, უფრო მცირე, საეკლესიო ერთეული იყო „პროვინცია“ (ქართულად „სამთავრო“), რომელსაც მიტროპოლიტი განაგებდა. სამთავროში შემავალ ეპარქიებს კი ეპისკოპოსები ხელმძღვანელობდნენ. მიტროპოლიტებს შესაბამისი საეკლესიო ცენტრის პატრიარქი აკურთხებდა, ხოლო ეპისკოპოსებს სამთავროს მიტროპოლიტი ამტკიცებდა [12, გვ. 232].

რომის იმპერიის დედაქალაქად კონსტანტინოპოლის გადაქცევის შემდეგ (330 წ.) თანდათან გამოიკვეთა მისი ეკლესიის უპირატესობა „ყოველთა ეკლესიათა ზედა“ და სავალდებულო გახდა ყველა სამთავრო მის წესებს დაემორჩილებოდა [12, გვ. 126]. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) 28-ე კანონში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „პონტოჲთ კერძო“ აღმოსავლეთის „საბარბაროზოთა შინა მყოფი ეპისკოპოსები“ კონსტანტინოპოლის წმიდა საყდრის მიერ უნდა ყოფილიყვნენ ხელდასხმულნი [12, გვ. 275]. თუმცა სხვა წყაროები ქართლის ეკლესიის ანტიოქიის წმიდა საყდრისადმი ქვეშევრდომობაზე მიუთითებენ.

ახლად მოქცეული ქართლის ქრისტიანული ეკლესიის თავდაპირველი კუთვნილების საკითხი ცალკე კვლევის საგანია და დღესაც არ არის საბოლოოდ დადგენილი.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა თუ რა სტატუსით აშენდა მეფე მირიანის დროს სამთავროს ტაძარი და როგორი იყო მისი შემდგომი ისტორია.

კონსტანტინეს მიერ წარმოვლენილი და მცხეთაში მოსული იოვანე ეპისკოპოსი ბუნებრივია, შეუდგებოდა ქართლის ქრისტიანული ეკლესიის ჩამოყალიბებას. იგი ქვეყანაში ერთადერთი ეპისკოპოსი იყო და ახლად გაქრისტიანებული ქართ-

ლიც თავდაპირველად, ალბათ, ერთ ეპარქიად განიხილებოდა. ეპისკოპოსთა სახელი რომ არ დაკნინებულიყო, იმდროინდელი საეკლესიო კანონმდებლობა (სარდიკიის კრების — 343 წ. — მე-6 კანონი) კრძალავდა ეპისკოპოსების ხელდასხმას „დაბასა სადმე ანუ მცირე ქალაქსა ზედა“ [12, გვ. 280], მაგრამ ქართლი რომის პროვინცია კი არ იყო, არამედ სამეფო და არც ისე პატარა ქვეყანა გახლდათ, რომ მისი მართვა ერთ ეპისკოპოსს შესძლებოდა. ამიტომ, როდესაც მეფე მირიანი გარდაცვალების წინ მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს ეპისკოპოსებს და ავედრებს მათ წმინდანინოს საფლავის პატივისცემას [2, გვ. 129], ეს ცნობა შესაძლოა სარწმუნოდ მივიჩნიოთ და დავუშვათ, რომ მირიანის სიცოცხლეშივე რამდენიმე ეპისკოპოსი ყოფილიყო ხელდასხმული.

იოვანე სხვადასხვა წყაროში ზოგან ეპისკოპოსად არის მოხსენიებული, ზოგან კი მთავარეპისკოპოსად. მაგრამ, ასეა თუ ისე, იგი ქართლის იმდროინდელი ეკლესიის უმაღლესი სამღვდლო პირია და ჩვენთვის საინტერესოა, თუ რომელ ტაძარში იყო მისი კათედრა.

ქართულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ განსხვავებული ცნობები არსებობს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით იოვანე ეპისკოპოსია და მცხეთაში ჩამოსვლისას იგი უნდა დაფუძ-

ნებულიყო იმჟამად ერთადერთ „სვეტიცხოვლის“ ხის ეკლესიაში, რომელსაც შემდგომში „ქვემო ეკლესია“ ეწოდა. შემდეგ იოვანე უკვე მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება, მაგრამ გადავიდა თუ არა იგი ახლად აშენებულ „ზემო ეკლესიაში“, არ არის ცნობილი. სავარაუდოა, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა მეფე არჩილამდე (V საუკუნის დასაწყისი) „სვეტიცხოველში“ ყოფილა, რადგან „მოქცევაჲს“ ცნობით, იოვანეს მომდევნო VI მთავარეპისკოპოსი იონა გარეუბნის „ზემო ეკლესიაში“ მხოლოდ მაშინ გადასულა, როდესაც მეფე არჩილის დროს „ქვემო ეკლესია“ დაანგრეულა. „სამთავროში“ გადასულ მთავარეპისკოპოსს „სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოულია“ [1, გვ. 325].

„მეფეთა ცხოვრება“ კი „ზემო ეკლესიას“ თავიდანვე საეპისკოპოსო ტაძრად მიიჩნევს: „მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო“ — გვაუწყებს იგი. [2, გვ. 129].

ასევე საეპისკოპოსო ტაძრად და იოვანეს მთავარეპისკოპოსად კურთხევის ადგილად „ზემო ეკლესიას“ მიიჩნევს არსენ ბერიც. იგი მას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს უწოდებს და თვლის, რომ მცხეთაში პირველად ეს ეკლესია აიგო [4, გვ. 30, 37].

სამთავროს ეს თავდაპირველი ტაძარი დიდი ზომის ბაზი-

ლიკა უნდა ყოფილიყო. ხის „სვეტიცხოველი“ კი, თუმცა ზომით მომცრო იქნებოდა, საკრალური მნიშვნელობით, ალბათ, აღემატებოდა „სამთავროს“, რადგან უფლის სასწაულით იყო აღმართული ქრისტეს კვართის დაფვლისადგილზე. ამიტომ მემკვიდრის ცნობა, რომ მთავარეპისკოპოსი მხოლოდ „სვეტიცხოვლის“ დანგრევის შემდეგ გადავიდა „სამთავროში“, მართებული უნდა იყოს (XX საუკუნის 70-იან წლებში არქიტექტორ-რესტავრატორმა ვახტანგ ცინცაძემ, „სვეტიცხოვლის“ იატაკის გათხრისას გამოავლინა ადრეული ხის ნაგებობის საფუძვლის ნაშთები და დაადგინა მისი ფორმა და ზომები. იგი დაახლოებით 6X12 მ-ის სიგრძე-სიგანის ორქანობიანი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. მკვლევარმა ეს შენობა ხის თავდაპირველ ეკლესიად მიიჩნია [51, გვ. 19; 52, გვ. 17]. (თუმცა 2006 წ. სვეტიცხოვლის გუმბათიანი ტაძრის იატაკის შეცვლის დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ ხის ეს ნაშთები და ნაჭდეუები გრუნტში ტაძრის გვიანი ხანის შეკეთების დროინდელ ძაღვან ხარაჩოს კონსტრუქციის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს და არა ხის თავდაპირველ ეკლესიას).

აქედან გამომდინარე, V საუკუნის დასაწყისიდან „სამთავრო“ საეპისკოპოსო ტაძარია და ქართლის ეკლესიის მეთაურიც, მთავარე-

პისკოპოსის ტიტულით ამ ტაძარში ზის. ქართლის მღვდელმთავრის მთავარეპისკოპოსად მოხსენიებაც არ უნდა არღვევდეს იმდროინდელ საეკლესიო კანონმდებლობას, რადგან კართაგენის საეკლესიო კრების (419 წ.) მე-17 კანონი უფლებას აძლევდა „თითოეულსა სამთავროსა სიმორისათვის მათისა (ჰყოლოდა) თჳსი მთავარეპისკოპოსი“ [12, გვ. 297].

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიხედვით V საუკუნის შუა წლებშიც სამთავროშია მთავარეპისკოპოსის სამყოფელი. ვახტანგ გორგასლის დედის საგდუხტ დედოფლის მიერ დადგენილი „მღვდელი ჭეშმარიტი“ მიქაელი სამთავროდან უწევს წინააღმდეგობას მოგვთას მსხდომ ცეცხლმსახურთ და მათ ქურუმ ბინქარანს [2, გვ. 145]. მთავარეპისკოპოსის გარდაამდროს მოიხსენიებიან სხვა ეპისკოპოსებიც, რომლებიც ომიდან დაბრუნებულ ვახტანგ გორგასალს შეგებებიან [2, გვ. 196].

დაბრუნებულ მეფესა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი დაწყებულა. გორგასალს ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია და კათალიკოსობის დაწესება ჰქონია განზრახული. კონფლიქტის მიზეზიც სწორედ ეს ყოფილა. განაწყენებულ მიქაელს მეფისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია. მოციქულთა 84-ე კანონით კი მეფის ან მთავრის უსამართლოდ გინებისათვის სამღვდელო

პირს განკვეთა ემუქრებოდა [12, გვ. 275]. და ვინაიდან მიქაელი მთავარეპისკოპოსი იყო, ქალკედონის IV კრების მე-9 კანონით იგი კონსტანტინოპოლის საყდრის წინაშე უნდა განსჯილიყო [12, გვ. 271]. მიქაელი კონსტანტინოპოლში გაამგზავრეს, იქ განსაჯეს და მღვიძარეთა მონასტერში განაწესეს [2, გვ. 197].

გორგასალმა მართლაც ჩაატარა ეკლესიის რეორგანიზაცია. ანტიოქიაში კურთხევის შემდეგ ბიზანტიიდან ჩამოიყვანა პეტრე მღვდელი და ახლად აგებულ „სვეტიცხოველში“ კათალიკოსად დასვა, ხოლო სამოელ მონაზონი მცხეთის საეპისკოპოში ეპისკოპოსად დაადგინა [2, გვ. 198]. მანვე ანტიოქიის პატრიარქს თორმეტი ახალი ეპისკოპოსიც აკურთხებინა. ამის შემდეგ ქართლის ეკლესიის მეთაურის სამყოფლად კვლავ „სვეტიცხოველი“ იქცა, ხოლო „სამთავრო“ საეპისკოპოსო ტაძრად დარჩა. მეფის ამ ღონისძიებას არსენ ბერი „სამთავროს“ შეურაცხყოფად თვლის, „დაამდაბლა პატივი სამთავროსა“ — მიიჩნევს იგი [4, გვ. 47]. თუმცა სამთავრომ არანაკლები ღირსება შეიძინა. იგი შემდგომ ქართლის მთავარეპისკოპოსთა საყდრად იქცა. ეს მთავარეპისკოპოსები მართალია ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელები აღარ არიან, მაგრამ სამთავროს გამორჩეულობის გამო, პატივით სხვა ეპარქიათა ეპისკოპოსებზე მაღლა იდგნენ.



# ქართლის (სამთავროს) მთავარეპისკოპოსები

სამთავრო. სამრეკლო. ხედი სამხრეთ-  
აღმოსავლეთიდან.

**ქ**ოდის მიიღეს ქართლის მთავარეპისკოპოსების წოდება სამთავროელმა ეპისკოპოსებმა, ცნობილი არ არის. VI საუკუნის დასაწყისში კი ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა 506 წლის დვინის გაერთიანებულ საეკლესიო კრებაზე, ქართლის სხვა ეპისკოპოსთა შორის მოიხსენიება ილია — ეპისკოპოსი ასსურიადე (სამურიადე) — რომელსაც ზოგი მკვლევარი სამთავროელ ეპისკოპოსად მიიჩნევს [15, გვ. 47; 16, გვ. 332].

ამ დროიდანვე „სამთავრო“ ეპისკოპოსთა საძვალედ მოიხსენიება. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ქართლში VI საუკუნეში ჩამოსულ 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი — აბიბოს ნეკრესელი — დაუკრძალავთ მცხეთის საეპისკოპოსო ტაძარში „სამარხავსა ეპისკოპოსთასა.“

ჯუანშერი იქვე გვაუწყებს, რომ მცხეთის საეპისკოპოსო ტაძარში ყოველი სამშაბათი ყოფილა ხსენების დღე „პირველ მონამე სტეფანესი“, სპარსელთა მიერ წამებული მარტვილების და აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა [2, გვ. 229].

არქიეპისკოპოსობის ანუ მთავარეპისკოპოსობის დაწესებას „სამთავროში“ VII საუკუნით ათარიღებს პლატონ იოსელიანი. იგი თავის ხელნაწერში, წყაროზე დაუყრდნობლად, აღნიშნავს, რომ სამთავროს ტაძარში მთავარეპისკოპოსობა დაწესდა სამუელ კათალიკოსის დროსო და მიუთითებს თარიღს (663-670 წწ.) [17, გვ. 195]. შესაძლოა იგი გულისხმობს ჯუანშერის ცნობას იმის შესახებ, რომ სამუელ კათალიკოსის დროს, კონსტანტინოპოლის VI კრებაზე, მცხეთა უღიარებიათ „ვითარცა წმიდა სამოციქულო კათოლიკე ეკლესია“ საპატრიარქო და დაუწესებიათ ქართლის კათალიკოსის უფლება ეკურთხა, ემწყემსა და სიმართლით განეგო მთავარეპისკოპოსნი, მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი [2, გვ. 232] (საეკლესიო კრებათა კანონებში ეს დებულება არ დასტურდება. დღეს აღიარებულია მოსაზრება, რომ პირველი კათალიკოსი, რომელსაც ანტიოქიაში აღარ მიუღია კურთხევა და ქართლში იქნა ხელდასხმული, იყო იოანე III – 744-760 წწ.).

VIII საუკუნეში, ჯუანშე-რისავე ცნობით, სამთავროში დაუკრძალავთ ქართლის ერის-მთავარი მირი — „და მოკვდა მირ და წარმოსცეს მცხეთას და დაფლეს ზემოსა ეკლესიასა, შე-სავალსა კარსა“ — გვაუწყებს იგი [2, გვ. 241].

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე პირველად გვხვდება მთავარე-პისკოპოსის მოხსენიება ეპი-გრაფიკულ ძეგლში. ეს არის 1002 წელს ხაშურთან აგებული ხცისის ეკლესიის საქტიტო-რო წარწერა: „ქრისტე შეიწყა-ლე ანან მთავარეპისკოპოსი“ [18, გვ. 461]. ანანია ქართლში მმართველი მთავარეპისკოპო-სი უნდა იყოს, რადგან „ხცისს“ აშენებს.

ამ დროს, როგორც ჩანს, სამთავროს ძველი ეკლესია დაზიანებულია ან სულაც დან-გრეულა, რადგან XI საუკუნის I ნახევარში ბაზილიკის ნაცვლად ახალი გუმბათიანი ეკლესია აშენდა. XI საუკუნეში ლეონ-ტი მროველი ამ ტაძარს კვლავ „ზემო ეკლესიას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი სამთავარე-პისკოპოსო ტაძარია [2, გვ. 94].

ქართლის მთავარეპისკოპო-სები სიგელ-გუჯრებში XII საუკუ-ნიდან მოიხსენიებიან. XII საუკუ-ნეშივე გვხვდება პირველად „სამთავრო“, როგორც ეკლესიის დასახელება [4, გვ. 46].

ამ დროისათვის ქართლის მთა-ვარეპისკოპოსთა გარდა მოიხსე-

ნიებიან მანყვერელი, მანგლელ-თბილელი და კუმურდოელი მთავარეპისკოპოსებიც [20, გვ. 183, 184], მაგრამ ქართლის მთავა-რეპისკოპოსები მათ შორის გამორ-ჩეულები იყვნენ. ქართლის მთა-ვარეპისკოპოსს კათალიკოსთან ერთად აჰყავდა მეფე საკურთხე-ველზე, ხოლო სამეფო დარბაზო-ბისას მას მე-4 ადგილი ეკუთვნოდა კათალიკოსის, ჭყონდიდელისა და სომხეთის მიტროპოლიტის შემდეგ [19, გვ. 48].

ქართლის მთავარეპისკოპო-სები „სამთავროში“ ისხდნენ. ამ პერიოდში „სამთავროში“, რო-გორც საეპისკოპოსო ტაძარში, მამათა მონასტერი უნდა ყოფი-ლიყო, თუმცა პირდაპირი ცნო-ბა ამის შესახებ არ მოგვეპოვე-ბა. არსენ ბერი XII საუკუნეში „სამთავროს“ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობისად მოიხსენიებს [4, გვ. 30].

XII-XV საუკუნეებში ქართ-ლის მთავარეპისკოპოსები ყო-ფილან:

**გიორგი** ქართლის მთავარე-პისკოპოსი — XII საუკუნე;

**საბა** ქართლის მთავარეპის-კოპოსი — XIII საუკუნე;

**იოანე** ქართლის მთავარე-პისკოპოსი — XV საუკუნე; [20, გვ. 130, 161, 218].

XVI საუკუნეში ცნობები სამთავროსა და ქართლის მთა-ვარეპისკოპოსების შესახებ არ მოგვეპოვება.

XVII საუკუნის მე-2 ნახე-ვრიდან კი — თითქმის ყველა ქართლის მთავარეპისკოპოსია ცნობილი. ისტორიკოს გ. ჯან-დიერს ნაშრომში „XVII საუკუ-ნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის სა-კითხისათვის“, დასახელებული ჰყავს ხუთი მათგანი [21, გვ. 328]. კიდევ ერთია ნახსენები იმ დროის ისტორიულ წყაროებში. ამგვარად, XVII საუკუნეში ცნო-ბილია ექვსი ქართლის მთავარე-პისკოპოსი. გაცილებით მეტია მოხსენიებული XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ საბუთებში. XVIII საუკუნიდან ეს მეუფენი სამთა-ვროს მთავარეპისკოპოსებადაც იხსენიებიან, რადგან ქართლის მთავარეპისკოპოსთა კათედრა სამთავროში იყო, თუმცა ზო-გჯერ ისინი გორშიც ისხდნენ. ამასთან, მთავარეპისკოპოსის თანამდებობას ზოგჯერ მიტრო-პოლიტის ხარისხიც ემატებოდა და ზოგი იწოდებოდა როგორც სამთავროს მთავარეპისკოპო-სად და გორის მიტროპოლიტად, ასევე ქართლის მთავარეპის-კოპოსად და მიტროპოლიტად. სავარაუდოა, რომ მიტროპო-ლიტის ხარისხი მათ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჰქონდათ, რად-გან საქართველოს საეპისკო-პოსოებისა და ეპისკოპოსების

სამთავრო. სამრეკლო და ფერისცვალე-ბის ტაძარი. ხედი ჩრდილო-დასავლე-თიდან XX ს. დასაწყისი.



სიაში, რომელიც შეადგინა იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ დაახლოებით 1633 წელს, სხვა საეპისკოპოსოთა შორის ქართლში აღნიშნულია: „წმინდა მხსნელის ეკლესია, [რომელსაც მართავდა მიტროპოლიტად წოდებული არქიეპისკოპოსი“ [22, გვ. 180]. აქ იტალიელი მისიონერი გულისხმობს სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარს და მას წმინდა მხსნელის ეკლესიას უწოდებს.

ქართლის მთავარეპისკოპოსთა ზუსტი, თანმიმდევრული ქრონოლოგიური სიის დადგენა ძნელდება, რადგან ამ საეკლესიო თანამდებობაზე ზოგი მათგანი სხვადასხვა წლებში რამდენჯერმე იყო დანიშნული. ამასთან, ისტორიულ საბუთებში გვხვდება თარიღთა აღრევაც, მაგრამ მაინც შეიძლება ქართლის მთავარეპისკოპოსთა მეტ-ნაკლებად ზუსტი სიის დადგენა.

გ. ჯანდიერს, როგორც აღვნიშნეთ, XVII საუკუნეში ხუთი ქართლის მთავარეპისკოპოსი ჰყავს დასახელებული.

1630 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსია **იოანე ავალიშვილი**. იგი მოიხსენიება თეიმურაზ I-ის წყალობის წიგნში არსენ ავალიშვილისადმი [21, გვ. 333; 23, Hd – 14678].

1651-58 წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსია **დომენტი**

**მუხრანბატონიშვილი**. 1660 წლიდან იგი უკვე ქართლის კათალიკოსი დომენტი III-ა (1660-76 წწ.) [21, გვ. 333; 25, გვ. 476, 528; 24, ფ.–1450 №105]. იგი მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებათა საპირისპიროდ ცდილობდა ქართული ქრისტიანული ჩვეულებების აღდგენას. 1664 წელს დომენტი მუხრანბატონიშვილს თბილისელი ვაჭრისგან შეუძენია სამცხიდან ჩამოტანილი ანჩის ხატი და თბილისის საპატრიარქო ეკლესიაში (რომელსაც შემდეგში ანჩისხატი ეწოდა) დაუსვენებია. მასვე სოფელ ჭალიდან სამთავროში გადმოუსვენებია ხელთუქმნელი ხატი – პირი ღვთისა და მის შემდეგ სამთავრო ხელთუქმნელი ხატის მქონე ეკლესიად მოიხსენიებოდა [27, გვ. 142; 26, გვ. 391].

1661-71 წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსია **ნიკოლოზ ჩხეიძე** [21, გვ. 333; 25, გვ. 486]. გიორგი XI-ის პირობის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1678-88 წლებით, მოხსენიებულია კიდევ ერთი – ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსი, რომელიც არ არის ჯანდიერის სიაში [20, გვ. 593]. ეს ნიკოლოზი შესაძლოა იგივე ნიკოლოზ ჩხეიძე იყოს.

1690-96 წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსია **ქრისტეფორე**. იგი მოხსენიებულია დავითგარეჯის მონასტრის რიგის

განწესებაში (1690 წელს) და სხვა საბუთებში [21, გვ. 328; 25, გვ. 511; 20, გვ. 598; 26, გვ. 80]. როგორც ჩანს, ქრისტეფორე დროებით გადამდგარა მთავარეპისკოპოსობიდან, ხოლო 1698-1700 წლებში კვლავ დაბრუნებულია სამთავროში. ქრისტეფორე მოხსენიებულია აგრეთვე კონსტანტინე მუხრანბატონიშვილის საბუთში, როგორც მთავარეპისკოპოსი და კონსტანტინეს ბიძა. იგი თეიმურაზ მუხრანბატონის ვაჟი და ქართლის კათალიკოსის – დომენტი III-ის ბიძაშვილი ყოფილა [25, გვ. 518]. „ბატონიშვილი მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე მიიცვალა 1700 წლის გიორგობისთვის 21“ – აღნიშნულია ერთ-ერთ საბუთში [28, გვ. 3].

1697 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსად **ევდემოზ რატიშვილი** გვევლინება [21, გვ. 334]. ჯანდიერს იგი მხოლოდ ამ წელს ჰყავს დასახელებული, თუმცა ისტორიულ საბუთებში უფრო ადრეც ჩანს.

ევდემოზი ქსნის ერისთავთა უძველესი გვარის წარმომადგენელია [25, გვ. 29]. 1669 წლიდან იგი ურბნელია [25, გვ. 485]. 1679 წელს კი უკვე მანგლელია – მთავარეპისკოპოსის თანამდებობით. „... ქსნის ერისთავის სახლის ძემან მანგლელ მთავარეპისკოპოსმან ევდემოს ...“ – აღნიშნულია ერთ-ერთ სიგელში

[25, გვ. 495]. 1693 წელს იგი ისევ ურბნელად არის ნახსენები. „ქრისტე, ადიდე გლონისთავის-ძე ... ქსნის ერისთავთ ერისთავის სახლის ძე ურბნელ მთავარ-ეპისკოპოზი ევდემოზ“ – წერს ვინმე ზაქარია და იქვე აღნიშნავს: „ბრძანებითა მთავარ-ეპისკოპოსისა რატიშვილის ევდემოსისათა“ [25, გვ. 512]. მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება იგი 1695 წელსაც [25, გვ. 515]. მაგრამ აქ გასარკვევია, როდიდან გვევლინება იგი ქართლის ანუ სამთავროს მთავარეპისკოპოსად.

ყანჩათის „ჟამნ-გულანის“ 1698 წლის მინაწერში ევდემოზი აღნიშნავს: „პირველად ვიყავ ურბნელი, მერე მანგლელი და მერე მთავარ-ეპისკოპოზი ქართლისა.“ ამიტომ მას ქართლის მთავარეპისკოპოსად 1698 წლიდან მიიჩნევენ, თუმცა აქ ორი მინაწერია და პირველი მინაწერის თარიღი 1674 წელია. ამ წელს დასრულებულა ყანჩათის „ჟამნ-გულანის“ გადანერა ევდემოსის დავალებით: „ღო შუე ცუი მთავარეფისკოპოზი რუისა ბრძანებითა აღწერა ჟამ გულანი ესე. პირველად ვიყავ ურბნელი მერმე მანგლელი და მერმე მთავარეფისკოპოზ ქართლისა ქუსა ტწნიზ“ – აღნიშნავს იგი [28, გვ. 041], ე. ი. აქ გარკვევით წერია, რომ უკვე 1674 წელს ევდემოზი ქართლის

მთავარეპისკოპოსი ყოფილა (გნიზ=362+1312=1674 წელი).

ამ საეკლესიო თანამდებობაზე ევდემოზი ჩანს 1687 წელსაც. მიხეილ თამარაშვილის ნიგნში, სხვა საეკლესიო საბუთებს შორის, მოყვანილია ევდემოზის წერილი რომის პაპისადმი (1687 წ.), სადაც იგი აღნიშნავს: „მე, დიდისა ღოთისა ეკლესიისა, საქართველოს განმანათლებლისა, სამთავროსა მღთაებისა საყდრისა საჭეთ მპყრობელი, სრულიად საქართველოსა მთავარეპისკოპოზი ეფთვიმეოს...“ [29, გვ. 840]. იქვე აღნიშნულია, რომ ეფთვიმეოს რატიშვილი ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-88 წწ.) მრჩეველი ყოფილა და მასვე ხლებია ბრძოლის ველზე [29, გვ. 265, 274].

საინტერესოა ყანჩათის „ჟამნ-გულანის“ ბედი. ევდემოზს იგი კაბენის გეთსამანიის ღვთისმშობლის მონასტრისათვის შეუწირავს. შემდეგ „ჟამნ-გულანი“ დაკარგულა და იგი უპოვნია არაგვის ერისთავის შვილს გრიგოლს. სწორედ ეს მოვლენაა აღწერილი „ჟამნ-გულანის“ მეორე მინაწერში: „ჟმ გულანი დამეკარგა, არაგვის ერისთავის შვილმა გრიგოლ იშოვნა ... მე ყუდ უღირსმა მთვრეპისკოპოზმა ევდემოზ ფეშკაში მივართვი ისრევ გესამანიისა ღოთის მშობელს შევსწირე“ – მოგვითხრობს ევ-

დემოზი 1698 წელს [28, გვ. 041] და იქვე საუკუნო მოსახსენიებელს უკვეთავს გრიგოლის მამას პაპუას, მეუღლე დარეჯანს და შვილებს – ზურაბს და ვამეყს (არაგვის ერისთავის შვილი გრიგოლი, იმ დროისათვის ხარჭაშნელი, შემდეგ სამთავროს მთავარეპისკოპოსადაც გვევლინება. იხ. ქვემოთ).

მომდევნო წლებში ევდემოზი, როგორც ჩანს, სამთავროს მთავარეპისკოპოსობიდან გადამდგარა, თუმცა საფლავის ქვაზე იგი მთავარეპისკოპოსად არის წარმოდგენილი.

ევდემოზი გარდაცვლილა 1710 წელს და დაკრძალულია სამთავროს ფერისცვალების ტაძრის საკურთხეველის წინ: „ქრისტეს აქათ შვიდას ათსა მპყრობელ მმართველობას ვახტანგ ბატონიშვილისას, მე მთავარ ეპისკოპოსმან ევდემოს ოთხმეოცდა შვიდის წლისა აღვესრულე მარტსა დ (4) ქრკსა ტჟთ (399)“ – აღნიშნულია საფლავის ქვაზე. დიმიტრი ბაქრაძის ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „მუნვე სწერია, რომ აქაო არავინ ყოფილა ჯერეთ დასაფლავებულიო“ [25, გვ. 32]. მართლაც, თანადროული ეპიტაფიით დადასტურებულ საფლავთა შორის ევდემოზ მთავარეპისკოპოსის საფლავი ქრონოლოგიურად პირველია სამთავროს ტაძარში.



# XVIII საუკუნის ქართლის მთავარეპისკოპოსები

ფერისცვალების ტაძარი. კანკელი.  
აღსავლის კარი.

**ს**აეკლესიო კრების განჩინებაში 1702 წელს დასახელებულია მთავარეპისკოპოსი **ქრისტეფორე** [20, გვ. 633]. იგი გვხვდება იმავე წლის სხვა საბუთშიც [28, გვ. 10].

1702 წელსვე მოხსენიებული **ნიკოლოზ** მთავარეპისკოპოსი, ნიკოლოზ მანგლელის წყალობის წიგნში ფარემუზ ჯავახიშვილისადმი [20, გვ. 637].

1706 წელს მთავარეპისკოპოსად ჩანს **გრიგოლ ერისთვისშვილი**. „კურთხეული ჩვენი ძმა მთავარეპისკოპოსი გრიგოლ მიიცვალა“, ვკითხულობთ ზურაბ ერისთავის 1706 წლის წერილში დომენტი IV ქართლის კათალიკოსისადმი (1705-41 წლებში) [30, გვ. 193]. ეს ის არაგვის ერისთავის (პაპუას) შვილი გრიგოლია, რომელმაც ევდემოზ ქართლის მთავარეპისკოპოსის დროს ყანჩაეთის დაკარგული გულანი იპოვნა. იმ დროისათვის იგი ხარჭაშნელი ყოფილა [25, გვ. 517]. 1714-1716 წლებში მთავარეპისკოპოსია **ნიკოლოზ გოსტაშვილი (ბარათაშვილი)**. იგი მოიხსენიება ქართლის განმგებლის, ბატონიშვილ ბაქარის წყალობის წიგნში (1716 წ.), როგორც: „ბარა-

თაშვილ პაპუნას შვილი ... მთავარეპისკოპოზი ბატონი ნიკოლოზი“ [26, გვ. 172]. სავარაუდოა, რომ იგი მანგლელი ნიკოლოზია, რომელიც მანგლელად მოიხსენიება ჯერ კიდევ 1699 წელს [21, გვ. 342], შემდეგ კი – 1702, 1708 და 1708-1710 წლებში [20, გვ. 637; 26, გვ. 136, 138].

1710-იანი წლების ბოლოდან 1724 წლამდე მთავარეპისკოპოსად **ქრისტეფორე ფალავანდიშვილია**. იგი მოხსენიებულია 1719 წელსაც [26, გვ. 180]. 1716 წელს ქრისტეფორე ფალავანდიშვილი ჯვრის მამად და ქვათახევის წინამძღვრად ჩანს [31, გვ. 412]. შემდეგ მას ვხვდებით დომენტი IV კათალიკოსის წყალობის წიგნში პაპუა მაღალაძისადმი (1723 წ.) და სხვა ისტორიულ საბუთებში [20, გვ. 705; 26, გვ. 181]. იგი 1724 წელს რუსეთში წაჰყოლია ვახტანგ VI-ს. ვახტანგის ამალის ნუსხაში მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე მოხსენიებულია, როგორც „ხელთ უქმნელის ხატის ეკლესიის მქონე“ [27, გვ. 142]. ოდნავ ადრეულ დოკუმენტში (1722 წ.), ელიაშვილების შეწირულობის წიგნში ქრისტეფორესადმი, სამთავროს „ღვთაების მონასტერს“ უწოდებენ: „... თქვენ, ცათა მობაძავსა ხატსა

ღვთაებისასა და მის ტახტსა ზ[ედ]ა მჯდომარესა უფლისა და ყ[ოვლ]ად სანატრელისა მთავარეფისკოპოსს ბატონ ქრისტეფორეს ... პატიოსნის მონასტრისათვის უკუნისამდე მოუშლელად ...“ — აღნიშნავს შენორულობის ავტორი [26, გვ. 391]. როგორც ვხედავთ, აქ სამთავრო მონასტრადაა მოხსენიებული, რადგან გვიან შუა საუკუნეებში საეპისკოპოსო ცენტრები უმეტესად მონასტრები იყო.

1724 წლიდან ქართლში დასრულდა მეტ-ნაკლებად მშვიდი ცხოვრება და დაიწყო ოსმალთა თარეში (1724-35 წწ.), რასაც მოჰყვა არანაკლებ დამანგრეველი „ყიზილ-ბაშობის“ ათწლეული. ამ პერიოდის ისტორიულ საბუთებში მოიხსენიება ხუთი მთავარეპისკოპოსი, რომელთა შორის ზოგი რამდენჯერმე იყო ამ თანამდებობაზე სხვადასხვა დროს და ასევე ზოგიერთი მთავარეპისკოპოსობასთან ერთად მიტროპოლიტის ხარისხსაც ფლობდა. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ზოგჯერ ერთსა და იმავე დროსაც მოიხსენიებიან.

1720-იანი წლების მე-2 ნახევრიდან მთავარეპისკოპოსობდა **რომანოზ გიორგი არაგვის ერისთვისშვილი**. იგი რამდენჯერმე წასულა მოსკოვს და უკან დაბრუნებულა. სხვადასხვა საბუთში მას როგორც ქართლის მთავარეპისკოპოსად [28, გვ. 158], ისე ქართლის მიტროპოლიტადაც [28, გვ. 178] მოიხსენიებენ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ პლატონ იოსელია-

ნის ხელნაწერში აღნიშნულია, რომ რომანოზ ერისთვისშვილი მთავარეპისკოპოსად უკურთხებიან 1730 წელს. იქვე ნათქვამია, რომ იგი ოსმალებს გაუძევებიან [17, გვ. 5, 39]. სამწუხაროდ, ხელნაწერში მითითებული არ არის საბუთი, რითიც უხელმძღვანელია პლ. იოსელიანს. ამიტომ, რომანოზის მთავარეპისკოპოსობის ზუსტი თარიღები ვერ დგინდება. რომანოზის მთავარეპისკოპოსობის დროს სამთავროს თბილისში მამული ჰქონია, რომელშიც რომანოზს ეკლესია აუგია (ე. წ. მეტოქი-ფილიალის მსგავსი): „ქ. ჩვენ მთავარეპისკოპოზმა რომანოზ აღვაშენეთ ჩვენთა ცოდვითა შესანდობელად მცირე ეკლესია ქალაქსა შიდა ტფილისსა ადგილსა და მამულსა სამთავროს ღვთაებისა საყდარსა“ — აღნიშნავს მთავარეპისკოპოსი რომანოზი [30, გვ. 222]. ამ საბუთს თარიღი არ ადევს. ეს ეკლესია მოყვანილია თბილისის 1831 და 1833 წლების სამრევლო ეკლესიათა ნუსხებში, როგორც „**Ооминская церковь каменная в подворье Самтаврском.**“ იქვე აღნიშნულია, რომ „**Ооминская**“ ანუ თომას კვირის ეკლესია აუგია მთავარეპისკოპოს რომანოზს 1716 წელს [24, ფ-488, №2651, გვ. 6]. ეს თარიღი შესაძლოა ზუსტი არ იყოს, რადგან რომანოზი მთავარეპისკოპოსად მხოლოდ 1720-იანი წლების ბოლოდან ჩანს (დანვრილებით ამ ეკლესიის შესახებ იხ. ქვემოთ).

რომანოზი მთავარეპისკოპოსად გვევლინება 1738 წელსაც.

იგი ამტკიცებს გედევანიშვილების გუჯარს [28, გვ. 158]. იმავე წელს იგი კვლავ წასულა მოსკოვს. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ მას აღუწერია მამათა ცხოვრება „მოსკოვსა სამეფოსა ქალაქსა შინა წელსა ... 1738.“ ამასთან, იგი მიტროპოლიტად არის წოდებული [28, გვ. 155]. 1745 წელს რომანოზი კვლავ მოსკოვშია. „მე ცოდვილმან ქართლის მიტროპოლიტმან რომანოზ არაგვის ერისთავის გიორგის ძემან ... ეს წიგნი შევკაზმე ... სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს“ — აღნიშნულია მინაწერში [28, გვ. 178]. მასვე ეკუთვნის არჩილ მეფის მიერ თარგმნილი „ხრონოგრაფის“ ე. წ. შესხმა [28, გვ. 528]. 1749 წელს მიტროპოლიტ რომანოზს თავისი ხელნაწერი წიგნები შეუწირავს დავითგარეჯის მონასტრისთვის [28, გვ. 208]. რომანოზი მოიხსენიება 1750 წელსაც [28, გვ. 155]. ამ პერიოდში ქართლში სხვა მთავარეპისკოპოსებიც მოიხსენიებიან, რაც ადასტურებს მათ ხშირ ურთიერთმონაცვლეობას.

დაახლოებით ამავე დროს მთავარეპისკოპოსად **რაჟდენ ციციშვილიც** გვხვდება: „ჟამთა ვითარებისაგან ბატონი კათალიკოზი დომენტი სტამბოლს ბრძანდებოდა და მე მთავარეპისკოპოზობა ვიშოვნე“, — აღნიშნავს რაჟდენი, დომენტი კათალიკოსისადმი მიწერილ ალექსის წიგნში [20, გვ. 741]. დომენტი კათალიკოსი სტამბოლის ტყვეობაში 1725-39 წლებში იყო. ისტორიკოსი გივი ჟორდანიას ფიქრო-

ბს, რომ რაჟდენის მთავარეპისკოპოსად კურთხევა 1727 წლის ახლო წლებში უნდა მომხდარიყო [28, გვ. 115]. ამ თარიღის უფრო მეტად დაზუსტება ვერ ხერხდება.

1739-46 წლებში მთავარეპისკოპოსი უკვე **კირილე ციციშვილია**. იგი მოიხსენიება, როგორც ქართლის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. 1739 წელს იგი გვხვდება აგრეთვე დომენტი კათალიკოსის წიგნში – ურბნელ ნიკოლოზ ხერხეულიძისადმი [20, გვ. 746], 1740-46 წლებში კი – სხვა ისტორიულ საბუთებშიც [20, გვ. 762; 26, გვ. 296, 316, 395].

პლ. იოსელიანის ხელნაწერში აღნიშნულია, რომ დომენტი კათალიკოსის ოსმალთა ტყვეობაში ყოფნისას კირილე ციციშვილისთვის დროებით მიუწვდევიათ კათალიკოსობა. იქვე ნათქვამია, რომ კირილე ციციშვილი „ოსმალთა ჰგვემეს მრავალი, რომ ეჩვენებინა მცხეთის და სხვა ეკლესიათა ქონება“, თუმცა მთავარეპისკოპოს კირილეს სამთავროს განძის ადგილი არ გაუმხელია [17, გვ. 225].

ოდნავ უფრო ადრე (1736-1737 წწ.) და კირილე ციციშვილის მთავარეპისკოპოსობაზე გვიანაც (1747 წ.) ქართლის მთავარეპისკოპოსია **არსენი** [26, გვ. 250, 265, 333; 32, გვ. 56], ხოლო 1748 წლის საეკლესიო კრების კანონის ხელმომწერთა შორის, არსენი იწოდება სამთავროს მთავარეპისკოპოსად და გორის მიტროპოლიტად [20, გვ. 803]. არსენის შესახებ პლ. იოსელიანიც გვაუწყე-

ბს, რომ იგი 1730-იან წლებში ორიოდ წლით მთავარეპისკოპოსობდა, ხოლო შემდეგ სქემა მიიღო და 1743 წლისთვის ანტონად იწოდებოდა [17, გვ. 39]. თუმცა არსენი როგორც ქართლის მთავარეპისკოპოსი 1747 წელს მოიხსენიება და 1748 წლის საეკლესიო კანონსაც აწერს ხელს.

მღვდელმთავართა ამგვარი ურთიერთმონაცვლეობა, როგორც ჩანს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გართულებებით იყო გამოწვეული. თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის ქართლ-კახეთში გამეფების შემდეგ ქვეყანა დაწყნარდა, თუმცა სამთავროს მთავარეპისკოპოსების სრულყოფილი ქრონოლოგია არც ამ დროისთვისაა ცნობილი. ამავე ხანაში (1745 წ.) ვახუშტი ბატონიშვილი ასრულებს ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და აღწერაში „ანინდელისა ქართლისა“ აღნიშნავს ქართლის მთავარეპისკოპოსთა სამწყსოს: „... ეკლესია მაცხოვრისა ღვთაებისა, **სამთავრო**, ქვიტკირისა, გუმბათიანი, დიდშუენიერი, და დაეფლა მირიანი მუნ, და მგ (43-ე) მეფე მირ. ამას შინა დასუა გორგასალ ეპისკოპოზი, და ანცაზის მთავარეპისკოპოზი, მწყემსი რეხულას ზეით დიდ ლიახვამდე“ [33, გვ. 349].

1749-1755 წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსია **ტიმოთე გაბაშვილი**. იგი იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, მოგზაური, კარტოგრაფი და

მხატვარი. თავიდან იგი ქუთათელი მიტროპოლიტია [28, გვ. 215]. თედო ჟორდანია მას დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ბესარიონ II ერისთავის (1755-1766 წწ.) ღირსეულ მოწაფედ თვლის. 1738 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ ტიმოთე, მის მიერვე შედგენილი ლიხთ-იმერეთის რუკით, სათავეში ჩაუყენა ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად რუსეთში გაგზავნილ ელჩობას [34, გვ. 48]. 1749 წელს იგი უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსია და იმავე დროს ბოლნელიც [20, გვ. 808, 809; 26, გვ. 345]. თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ „1755 წ., როცა ფლორენციის უნიის აღიარების გამო ანტონ კათალიკოსი რუსეთს გააძევეს, ბუნიებრივია, მის მეგობარ ტიმოთესაც დაუწყებდნენ დევნას.“ მას მიუტოვებია საეპისკოპოსო კათედრა და წმინდა ადგილების მოსახილველად კონსტანტინოპოლში, ათონსა და იერუსალიმში გამგზავრებულა [34, გვ. 49]. თავისი მოგზაურობა მან აღწერა შემეცნებითი ხასიათის თხზულებაში „მიმოსლვა.“ ამით ტიმოთე გაბაშვილმა საფუძველი ჩაუყარა საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერების შესწავლას. მან გამოიკვლია ქართული მონასტრების ისტორია, გამოხაზა მათი გეგმები და გადაიღო ფრესკების პირები. 1757 წ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ

მცხეთა. ხედი სამხრეთიდან. უკანა პლანზე სამთავრო. XX ს. დასაწყისი.





რუსეთში წავიდა. გარდაიცვალა ასტრახანში 1764 წელს (ტიმოთეს ხელნაწერი „მიმოსლვა იერუსალიმში“ ინახებოდა მარტვილის მონასტერში. ამჟამად იგი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია [23, Q №80].

ტიმოთეს „მიმოსლვაში“ გამეორებული აქვს XII საუკუნის მემკვიდრეობა, რასაც ბერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, როდესაც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ქართლის კათალიკოსის ადგილსამყოფელად „სვეტიცხოველი“ აქცია, ამით დაამდაბლა „სამთავრო“ და დაამცრო ქართლის მთავარეპისკოპოსის ღირსება. „ვითარ ეგების დამცრობა მისი... და ვინ არს უმაღლეს მისა“, განიცდის ტიმოთე, რამეთუ მისი მეუფება „სამთავროში“ დამყარებულია მოციქულთა სწორი ევსტათი პატრიარქის, კონსტანტინე იმპერატორისა და მირიან მეფის მიერო [35, გვ. 543].

1760-იანი წლების მე-2 ნახევრიდან მთავარეპისკოპოსად ჩანს **ბესარიონ გოსტაშაბიშვილი**. ბესარიონი რომ გვარად გოსტაშაბიშვილია, წყაროს დასახელების გარეშე გვაუწყებს პლ. იოსელიანი [17, გვ. 225]. მისი გოსტაშაბიშვილობა ეგებ დამტკიცდეს იმ გარემოებით, რომ ერთ-ერთ საბუთში ბესარიონი მოიხსენიება ერასტი გოსტაშაბიშვილის ბიძად [36, გვ. 145]. ბესარიონი ყოფილა „მიტროპოლიტი სამთავროისა და გორისა.“ ანტონ I-ის სამწყსოს საქმეთა განწესებაში აღნიშნულია, რომ, როდესაც კათალიკოსი რუსეთს მეორედ ნაბრძა-

ნებულა (1771 წ.), ბესარიონი თავის მოადგილედ დაუტოვებია [20, გვ. 892]. მთავარეპისკოპოსი ბესარიონი მოიხსენიება აგრეთვე 1778, 1784 და 1797 წლებშიც [20, გვ. 922, 950, 1036], მაგრამ არის თუ არა იგი ბესარიონ გოსტაშაბიშვილი ძნელი სათქმელია, რადგან იმ დროს მთავარეპისკოპოსის თანამდებობა სამთავროს გარდა სხვაგანაც არსებობდა, ხოლო ნახსენებ დოკუმენტებში იგი დასახელებულია მხოლოდ მთავარეპისკოპოსად და არა სამთავროს მთავარეპისკოპოსად.

1780 წელს მოხსენიებულია პეტრე დეკანოზი ღვთაებისა. ერთ-ერთი პირი თავნასყიდობის წიგნში გვაუწყებს: „წაველ და სამთავროს ხატის ღვთაებას შევეხვეწე, იმისი დეკანოზი [პეტრე] მოვიყვანე და მუხლს მოგხვიეო“ [37, გვ. 114]. როგორც ჩანს, აქ საუბარია „სამთავროზე“, რომელსაც ხელთუქმნელი ხატის ფლობის გამო „ღვთაებას“ უწოდებდნენ.

დაახლოებით ამ დროს უნდა მთავარეპისკოპოსობდეს **იოასაფ ყაფლანიშვილი**.

1788 წლიდან მთავარეპისკოპოსია **პაისიოსი**. იგი გვხვდება რამდენიმე საბუთში [20, გვ. 977, 982]. 1788 წელს მთავარეპისკოპოსი პაისიოსი კათალიკოს ანტონ II-ის თანამწირველია ნიქოზის ეპისკოპოსის კურთხევისას, ხოლო 1789 წელს მოხსენიებულია ანტონ II-ის წყალობის წიგნში იოანე ქარუმიძისადმი. ანტონ II ასე მიმართავს იოანეს: „მთავარეპისკოპოსს თა-

ვის სამთავნელობაში იმ (სამთავისი) ეკლესიის დეკანოზად დაედგინეო.“ აქედან ირკვევა, რომ პაისიოსი მთავარეპისკოპოსობამდე სამთავნელი ყოფილა და იოანე ქარუმიძე სამთავისის დეკანოზად დაუდგენია. პლ. იოსელიანი პაისიოსს გარსევანიშვილად მიიჩნევს [17, გვ. 225]. პაისიოსს ვხვდებით 1799 და 1800 წლებშიც. პაისიოსის არზაში გიორგი XII-ისადმი (1799 წ. ნოემბერი) მთავარეპისკოპოსი იუწყება შემდეგს: „ორი იმერელი სამთავროს ყარაულად ჯამაგირით მეყენა ... მცხეთას რომ ჭირი გაჩნდა, სამთავროს შევიდნენ, იქაც ჭირი გაუჩნდათ. სხვანი გამოვიდნენ, ორი კომლი ჭირნახადნი სამთავროს დარჩნენ. ერთს ჩემს იმერელს შეეყარა, მოკვდა, ერთი იმერელი კი მორჩა და გაიქცა. ეს სახლი ამ ორ კომლ კაცს მცხეთელს დარჩათ, ათი კოკა ღვინო სამთავროს იდგა, ოცი მცხეთასა. ფქვილი, ქერი, სამარხო, ნიგოზი, ჭურჭელი, ქვაბები. სახლის ავეჯეულობა რაც არის, თოფ-იარაღი ესენი სულ ამ მცხეთელებს ჰქონდათ, ჭირითაც სახლი ამივსეს, კიდევაც ამიკლესო“ [37, გვ. 200].

საინტერესოა გორის დეკანოზის სფირიდონის (ანანიაშვილი) არზა. იგი მიმართავს ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ს: „თქვენის უმაღლესობისგანაც ბრძანებაა, ჩემი ვედრებაც ეს არის, რომ სამთავროს ეკლესიაზედ ეს მოწყალება მოიღოთ და ჩემ სიგლახაკაზედაც მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სამკვიდრო სარჩო

და ბინა სამთავროში დგომა არის, მამულიც გვაქვს და ცხოვრებაც იქი-  
დამა გვქონია. თქვენის მოწყალების  
იმედით ახლავ გორიდან სამთავრო-  
ში ჩამოვალ და იქ დავდგები. თქვე-  
ნის მოწყალებისაგან ამას ვითხოვ,  
რომ ყარაულით შეწვენა მებოძოს.  
მთავარეფისკოპოზის ნებაც ასრეა,  
რომ იმ ეკლესიაში განუწყვეტელი  
წირვითა და ღოცვით თქვენი მეფო-  
ბა იდიდოს ... მკათათვე, 1800 წელს.“  
არზას ადევს გიორგი XII-ის განჩი-  
ნება: „ჩვენი ბრძანება არის: მერე  
ეს პატიოსანი მღვდელი დეკანოზი  
სფირიდონ ყოვლად სამღვდელოს  
მთავარ ეფისკოპოზის პაისიოსის  
ნებით სამთავროში უნდა დადგეს,  
რადგან ესე მოუწოდომებია და ჩვენც  
რაც შეგვეძლება, თვალ-ყურს მოუგ-  
დებთ და კიდევაც გავაძლებინებთ“  
[3, გვ. Qd –2201].

ამ არზის ავტორი რომ ანანიაშ-  
ვილია ჩანს უფრო გვიანი საბუთი-  
დან, რომელშიც მოიხსენიება დეკა-  
ნოზი სფირიდონ ანანიაშვილი [24,  
ფ. 489, №65 398, გვ. 60]. იგი სამთა-  
ვროს და გორის დეკანოზია 1813  
წელსაც (ანანიაშვილები სამთავროს  
კუთვნილი აზნაურები ყოფილან.  
იხ. იქვე). აქ საგულისხმოა, რომ  
სფირიდონი სამთავროში გორიდან  
აპირებს ჩამოსვლას მთავარეპისკო-  
პოს პაისიოსის ნებართვით, პაისიო-  
სი კი გორიდან მართავს ეპარქიას,  
სამთავროს სამთავარეპისკოპოსოს  
გორის რეზიდენციიდან.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ  
ქართლის მთავარეპისკოპოსთა  
ცენტრი — სამთავრო — უკიდურეს

ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდი-  
და. სამონასტრო ცხოვრება შეფერ-  
ხებული იყო. აღარ მიმდინარეობდა  
მუდმივი წირვა-ლოცვა. სამთავროს  
მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძი-  
მა 1797 წლის შავი ჭირის ეპიდემიამ,  
რომელიც თბილისიდან მცხეთასაც  
მოედო. ამ განსაცდელის ჟამს მთავა-  
რეპისკოპოსი პაისიოსი სამთავრო-  
ში აგზავნის დეკანოზ სფირიდონ  
ანანიაშვილს, რათა მან „განუწყვე-  
ტელი წირვითა და ღოცვით“ მღვ-  
დელმსახურება აღადგინოს და სამო-  
ნასტრო ცხოვრება გამოაცოცხლოს.  
სამთავროს სამღვდელოება შემწეო-  
ბას გიორგი XII-ისგან ითხოვს. ეს ის  
დროა, როდესაც ქართლ-კახეთის  
კარზე ინტრიგების აბლაბუდა იქსე-  
ლება. უაღრესად კეთილმორწმუნე  
და ღვთისმოსავი, მაგრამ სწული და  
სუსტი ხელმწიფე გიორგი XII ვეღარ  
უმკლავდება მრავალრიცხოვან მემკ-  
ვიდრეებს, რომლებიც უმოწყალოდ  
ჯიჯგნიან ქვეყნის დასუსტებულ პო-  
ლიტიკურ სხეულს. ცეცხლზე ნავთს  
ასხამს დედა დედოფლის — დარეჯა-  
ნის ამბიციურობა...

პლ. იოსელიანი მოკლედ და  
ამომწურავად გვაუწყებს ერეკლე  
II-ის გარდაცვალების შემდეგ (1798  
წ.), გიორგი XII-ის გამეფებისას შე-  
ქმნილ საბედისწერო ვითარებას:  
„თვესა მეოთხესა შემდგომად გამე-  
ფებისა მოხდა ამბოხი ძმათაგან მე-  
ფისა გიორგისა მეორისა დედიდან.  
იულონ, გამეფებული ქართლსა,  
აღიარებდა თვისსა მეფობისა ტახ-  
ტისათვის, ანდერძისა გამო მეფისა  
ირაკლისა. ვახტანგ ანუ აღმასხან

(ორ სახელოვანი) არაგვისა განმგე,  
ჰგონებდა თავსა თვისსა არა დამო-  
კიდებულად მეფისაგან... მირიან გა-  
ბატონდა მარტყოფსა და ფარნაოზ  
სურამსა. ალექსანდრე ივლტოდა  
სპარსეთსა და შეევედრა ყეენსა,  
რეცა მტერი რუსეთისა. ანდერძისა  
ძალითა ნამდვილ ხელმონერილითა  
მეფისა ირაკლისაგან ოთხისა დღი-  
თა წინათ სიკვდილისა, თხოვნისამე-  
ბრ დედოფლისა, — ჯერ იყო, რათა  
ემეფა პირველად პირმშოსა ძესა  
მისსა გიორგის, შემდეგ ძმასა მისსა  
იულონს, შემდეგ ამისა ძმასა მისსა  
მირიანს, მერეთ ვახტანგსა, მერეთ  
ალექსანდრესა და მერეთვე ფარ-  
ნაოზსა. შემდგომ ფარნაოზისა მე-  
ფობითი უფლება გარდავიდოდა მე-  
ფის გიორგისა შვილზედ დავითზედ,  
მერეთ იოანეზედ, ბაგრატზედ, თეი-  
მურაზზედ, მიხაილ და სხვა. შემდეგ  
ამათისა მოვიდოდა ჯერი მეფობისა  
იულონისა შვილზედ და შვილთა  
ზედა შემდგომთა მისთა ძმათა და  
სხვანი. — ესრეთმან უგვანმან ან-  
დერძმან, დანერილმან ყორღანაშ-  
ვილისა ოსეფასაგან, აღძრა შფოთი  
ძმათა შორის“ [38, გვ. 58].

ქვეყნისათვის ამ რთულ ხანაში  
გიორგი XII სამთავროს შემწეობას  
დაპირებია, მაგრამ 1800 წლის ბო-  
ლოს, ქართლ-კახეთის უკანასკნე-  
ლი მეფე გარდაიცვალა და მასთან  
ერთად მიიცვალა ქართული სახელ-  
მწიფოც. უზომო მადის მქონე რუ-  
სეთის იმპერიამ შთანთქაბრძოლით  
დაღლილი ივერია და ქართლ-კახე-  
თის სამეფო რუსეთის გუბერნიად  
გამოაცხადა.



# სამთავრო XIX საუკუნეში

ფერისცვალების ტაძრის გუმბათის  
ყელი (ინტერიერი).

**ქ**ართლ-კახეთის სამეფო-ში რუსეთის მმართველობის დაწესების შემდეგ დაინტერესებულან ქართლ-კახეთის საეკლესიო მოწყობით და გენერალ კნორინგს — კავკასიის ხაზის სარდალს, შეკითხვით მიუმართავს (1801 წლის თებერვალი) კათალიკოს ანტონ II-ისათვის. შეკითხვის პასუხად გაიკვია, რომ იმ დროს ქართლ-კახეთში ყოფილა შვიდი სამიტროპოლიტო — სამთავროს, ტფილისის, რუისის, წილკნის (ქართლში), ალავერდის, ბოდბის და ნინოწმინდის (კახეთში). ამასთან, სამთავროს და ალავერდის სამიტროპოლიტოებს (1800-1802 წლებში) თვით კათალიკოსი მართავდა. აქვე დასახელებულია ორი არქიეპისკოპოსი — მანგლისის (ქართლში), რუსთავის (კახეთში) და ხუთი ეპისკოპოსი — ურბნისის, სამთავისის, ნიქოზის (ქართლში), ნეკრესისა და ხარჭიშნის (კახეთში). ამ მღვდელმთავრებს ირჩევდა მეფე და კათალიკოს-პატრიარქი.

აქვე 12 მამათა მონასტერია დასახელებული — მღვიმის,

ქვათახევის ღვთისმშობლის, იკორთის, ანანურის, ჯვრის, უდაბნოს მღვიმის, ლარგვისის, ხობის (?) (ალბათ უნდა იყოს ხოფის), ულუმბოსი და თირის (ქართლში), დავითგარეჯისა და ნათლისმცემლის (კახეთში). ამასთან, არც ერთი დედათა მონასტერი არ არის ნახსენები [32, გვ. 530].

ამ პერიოდში სამთავროს ეპარქიას რომ კათალიკოსი მართავდა ჩანს 1801-1802 წლებით დათარიღებულ საბუთში, სადაც აღნიშნულია: „... და მათისავე უწმინდესობისად (იგულისხმება ქართლის კათალიკოსი) აწრწმუნებული სამთავროჲსა ეკლესია, რომელიც არს მცხეთას...“ [20, გვ. 1113]. იქვე აღნიშნულია: „ამისი სამწყსო არს: დიდს ღიახვსა და რეხულას შუა მყოფი სოფელნი შენნი რიცხვით სამეოცნი. და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადნი ორნი და აზნაურნი ოცდაოთხნი გვარნი.“

1802-03 წლებში სამთავროს მთავარეპისკოპოსად **იოანე ქარუმიძე** მოიხსენიება. 1802 წლის 25 აგვისტოს იგი დაუჯილ-

დოებიან წმინდა ანას მე-2 ხარისხის ორდენით, როგორც შფოთის დამაწყნარებელი [32, გვ. 414, 763]. პლ. იოსელიანი მიიჩნევს, რომ იოანე ყოფილა დავითგარეჯის ლავრის ცნობილი მოღვაწის, ონოფრე ბერის შვილი, რომელსაც ნეტარს უწოდებდნენ. მას ერისკაცობაში ოთარი ერქვა, ბერობაში — ონოფრე, სქემის მიღების შემდეგ კი — ონისიფორე [17].

ზემოთ უკვე შეგვხვდა იოანე ქარუმიძე, რომელიც მთავარ ეპისკოპოს პაისიოსს სამთავისის დეკანოზად უკურთხებია 1789 წელს [28, გვ. 981, 982]. იგი სამთავისის დეკანოზად ჩანს 1800 წელსაც [28, გვ. 1060]. იმავე საბუთში იოანეს მამად მოხსენიებულია გიორგი ქარუმიძე, რომელიც თავის დროზე სამთავნელი და მღვდმის არქიმანდრიტი ყოფილა, პლ. იოსელიანი კი იოანე ქარუმიძის მამის ერობის სახელად ოთარს ასახელებს.

„ცხოვრება გიორგი მეცამეტისაში“ პლატონ იოსელიანი იოანე ქარუმიძის შესახებ სხვა ცნობებსაც გვანდის: „სამთავნელი, მერეთ მთავარ-ეპისკოპოსი, კაცი ნასწავლი. მოკვდა თფილისს და დაასაფლავა არსენი თფილელმან თვისსა სამეტოქოსა კვირა-ცხოვლისა ეკლესიასა 1804 წელსა“ [38, გვ. 252].

არქიეპისკოპოსი (მთავარ ეპისკოპოსი) იოანე ქარუმიძე მოიხსენიება ერთ-ერთ გვიან-

დელ, 1830 წლის საბუთშიც. მას 1807 და 1808 წლებში გორის ტაძარში მონაზვნად უკურთხებია თეკლე ბიძინაშვილი, რომელიც შემდეგ სამთავროს დედათა მონასტერში მოღვაწეობდა [24, ფ. 489, №2721, გვ. 41]. როგორც ვხედავთ, აქ თარიღების აღრევაა — 1804 წელს გარდაცვლილი იოანე 1807 წელს მონაზვნად ვერავის აკურთხებდა, თუმცა შესაძლოა იოანეს გარდაცვალების თარიღში ცდება პლ. იოსელიანი.

სამთავროს უკანასკნელი მთავარეპისკოპოსი **იუსტინე მაღალაძეა** (მაღალაშვილი), რომელიც სამთავროს მართავდა რუისის და შემდეგ ნიქოზის ეპარქიებთან ერთად. იუსტინე მაღალაშვილი მროველად იხსენიება 1798 წელს [37, გვ. 195]. 1803 წლიდან იგი მიტროპოლიტია [28, გვ. 460], მაგრამ, ალბათ, მროველი მიტროპოლიტი და არა სამთავროსი. შემდეგ მას ვხვდებით 1811 წელს, როგორც „ამავ სობოროზედ (სამთავრო) მჯდომი ყ-დ უსამღვდელოესი მთავარეპისკოპოზ მროველ მიტროპოლიტი იუსტინე“ [24, ფ. 489, №65 398, გვ. 60]. უკანასკნელად იუსტინე იხსენიება 1814 წელს ოლონდ მხოლოდ მროველად: „მროველ იუსტინემ შეესწირე წ-ის ფერისცვალების ეკლესიას მეტაფრასი ესე“ — გვაუწყებს მღვდელმთავარი [28, გვ. 415].

იუსტინეს შესახებ გვაუწყებს პლ. იოსელიანიც: „იუსტინე, მთავარ-ეპისკოპოსი [მაღალაშვილი, კაცი ფილოსოფოსი და გაზრდილი დიდის კათოლიკოსისაგან] წირვისათვის მისისა იტყოდა მეფე გიორგი: წირვა იუსტინესი არს გარედგან რაჟმე საჩვენებელი დიდისა საიდუმლოჲსა, რომელიცა არის ლიტურგია; კეთილი და პატიოსანი; მაგრამ გვაგინებს და არა გვაგონებს ლიტურგიისა სიღრმესა; ვითარცა, მზე ზამთრისა ანათებს და არა გვათბობს. წირვა უნდა ხვდებოდეს გულსა და არა თვალსა“ [38, გვ. 251].

1804 წელს მიწისძვრის დროს დანგრეულა გორის ეკლესია, რომელიც სამთავროს მიტროპოლიტების საკათედრო ტაძარი იყო [24, ფ. 488, №2009, გვ. 24]. ამავე ცნობაში აღნიშნულია, რომ სამთავროს მიტროპოლიტები ქართულ საეკლესიო იერარქიაში კათალიკოსის შემდეგ პირველ საფეხურზე იდგნენ.

1811 წელს რუსეთმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვია, ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულად გამოაცხადა და რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარებული ეგზარქოსობა დააწესა (სინოდი — უმაღლეს

ათონის მთის ქართველთა მონასტრიდან 1910-იან წლებში შემოწირული ივერიის ღვთისმშობლის ხატი ფერისცვალების ტაძარში.



Св. икона Божией матери  
Девочки  
Св. икона Божией матери  
Девочки  
Св. икона Божией матери  
Девочки

სასულიერო პირთა კრება — რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, რომელიც რუსეთში შეიქმნა 1721 წელს გაუქმებული საპატრიარქოს ნაცვლად და მთელ საეკლესიო ცხოვრებას განაგებდა). ამ დროიდანვე გაუქმდა ქართლის მთავარეპისკოპოსის წოდებაც და დადგინდა საეკლესიო ეპარქიები. სულ 13 ეპარქია დანესდა: მცხეთის, ტფილისის, სამთავროს, რუისის, წილკნის, სამთავისის, ურბნისის, ნიქოზის, ბოდბის, ალავერდის, ნინოწმინდის, რუსთავისა და ნეკრესის. თითოეულ მათგანს მაღალი სამღვდელთა პირი ხელმძღვანელობდა. ამ დროისათვის სამთავროს ეპარქიაში აღრიცხული იყო 82 ეკლესია, 60 მღვდელი, 8 დიაკვანი და 70 მღვდელმსახური. თვით სამთავროს ტაძრის საეკლესიო გლეხად კი 30 კომლი ირიცხებოდა [39, გვ. 164].

1813 წლის ერთ-ერთ საბუთში ჩამოთვლილია სამთავროს ეპარქიის კუთვნილი სოფლების სია, ეკლესიათა რაოდენობა, მღვდელთა და მღვდელმსახურთა სახელები. სამთავრო ამ საბუთში მოხსენიებულია როგორც — „სამთავროს ეკლესია სობორო ფერისცვალებისა, აქავე ეკლესია წმინდის მაცხოვრებელ წოდებული.“ სამთავროს ეპარქიის მმართველად დასახელებულია „ამავ სობოროზედ

მჯდომი ყ~დ უსამღვდელოესი მთავარეპისკოპოზ მროველ მიტროპოლიტი იუსტინე.“ მოხსენიებულია აგრეთვე „დეკანოზი სამთავროსა და გორის ეკლესიისა კეთილშობილი ანანიაშვილი სფირიდონ“ და ამავე ეკლესიის კანდელაკი ნიკოლოზ ანანიაშვილი. აქვე აღნიშნულია, რომ სამთავროს საეკლესიო აზნაურები ყოფილან ანანიაშვილთა ხუთი კომლი [24, ფ. 489, №65 398, გვ. 60-63].

რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საქართველოს პირველ ეგზარქოსად დანიშნა ვარლამი, ქსნის ერისთავის დავითის ძე. როგორც ჩანს, რუსეთის მმართველობამ თავიდანვე ვერ გაბედა საქართველოს ეკლესიის სათავეში რუსი მღვდელმთავრის დაყენება. ვარლამს დაევალა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შედგენა. თავდაპირველად დაარსდა საქართველოს სასულიერო დიკასტერია — უმაღლესი სასულიერო ორგანო 1811-1814 წლებში, შემდეგ ჩამოყალიბდა (1814 წელს) „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“ და ეგზარქოსის კანცელარია. ეგზარქოსს ქართლ-კახეთის მიტროპოლიტის და არქიეპისკოპოსის წოდება ჰქონდა. ხოლო 1814 წელს დასავლეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ იგი იწოდებოდა „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსად“ ან მოკლედ „სა-

ქართველოს ეგზარქოსად.“

ვარლამმა საქართველოს ეგზარქოსად 1817 წლამდე დაჰყო. როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდში ვარლამი სამთავროს ეპარქიასაც განაგებდა, რადგან იგი 1815 წელს აწერს ხელს სამთავროს ეპარქიის ანგარიშებს [24, ფ. 489, №416, გვ. 58]. (სხვადასხვა დანახარჯებთან ერთად ამ ანგარიშში აღნიშნულია, რომ გორის ახალი ეკლესიის მშენებლობაზე დახარჯულია 548 რუბლი და 20 კაპ.).

ვარლამის ზრუნვა სამთავროსადმი ჩანს მისი წერილიდან (1813 წლის აპრილი). კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ რუსული მმართველობის მიერ სამთავროს ტაძარში „კარანტინის“ მოწყობა ლახავს წმინდა ადგილის ღირსებას, რადგანაც იქ ხდება ჩამოსულთა ნივთების დეზინფექცია და სამთავრო გადაქცეულია რუსეთიდან ჩამოტანილი ნივთების საწყობად. იგი მოითხოვდა სამთავროში კარანტინის გაუქმებას და იქ მღვდლის მივლინებას წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ იმჯერად რუსეთის მმართველობა დასთანხმებულია, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ეკლესია საკარანტინო საქმიანობისაგან [40, გვ. 402, 403]. როგორც ჩანს, რუსეთის საეკლესიო მმართველობას თვალში არ მოსდიოდა ვარლამის „ზედმეტი“ ზრუნვა ქართული ეკლესიისადმი და იგი

ეგზარქოსობიდან გადააყენა იმ საბაბით, რომ აქტიურად არ იბრძოდა ახალი კანონების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ვარლამის წერილიდან ისიც ჩანს, რომ იმ დროისათვის სამთავროში მუდმივი წირვა-ლოცვა არ მიმდინარეობდა და ტაძარი უმოქმედოდ იყო მიტოვებული.

ვარლამის მაგივრად ახალ ეგზარქოსად თეოფილაქტე რუსანოვი დანიშნეს (1817-1821). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ვარლამმა სამთავროში კარანტინი გააუქმა, მომდევნო ეგზარქოსი იონა ვასილევსკი (1821-1832) პირიქით, კვლავ მოითხოვდა (1830) სამთავროს მონასტრის დროებით გადაცემას საკარანტინო საგუშაგოსათვის [24, ფ. 489, №2901, გვ. 1].

1817 წლის დეკემბრის ერთ-ერთი საბუთით რამდენიმე საინტერესო გარემოება იჩენს თავს [24, ფ. 488, №131, გვ. 23]. საბუთში აღნიშნულია: „განმგებელსა ყოფილის სამთავროს ეპარხიისასა, გორის სობოროს პროტოპოპს ქრისტეფორე ანანიევს...“ საბუთს ხელს აწერს საქართველოს ეგზარქოსი, არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე. აქ საინტერესოა, რომ ეგზარქოსი ქრისტეფორე ანანიევს (ანანიაშვილი) სამთავროს ყოფილი ეპარქიის განმგებლად მოიხსენიებს. ე.ი. სამთავროს ეპარქია 1817 წლისათვის უკვე

გაუქმებულია და ყველა მომდევნო საბუთშიც ასე მოიხსენიება: „ყოფილი სამთავროს ეპარქია.“ ამავე საბუთიდან დგინდება, რომ სამთავროს ეპარქიას განსაზღვრულ დროს განაგებდა გორის „სობოროს“ დეკანოზი (პროტოპოპი) ქრისტეფორე ანანიაშვილი. ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა მკაცრად მოჰკიდა ხელი ახალი საეკლესიო კანონების განხორციელებას. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად დგინდება ახალი ეპარქიები. თავისუფლდებიან ძველი ღვთისმსახურები და მათ მაგივრად ინიშნებიან რუსული ენის მცოდნე და რუსული მმართველობისადმი ლოიალურად განწყობილი საეკლესიო პირები. აკიწერს კიდევაც დეკანოზი ქრისტეფორე ანანიაშვილი, რომ „არ შეუძლია გულგრილად აიტანოს დათხოვნა ბლაგოჩინობიდან და განთავისუფლება ყოფილი სამთავროს ეპარქიის მართვიდან“ (1819 წ.) [24, ფ. 489, №955, გვ. 87]. საინტერესოა, რომ 1800-1811 წლებში გორის და სამთავროს დეკანოზი სფირიდონ ანანიაშვილია, ხოლო 1817 წელს გორის ტაძრის დეკანოზი — ქრისტეფორე ანანიაშვილი. ეს ორი დეკანოზი შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნება იყოს.

1818 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით რუსეთის სინოდმა დაადგინა, რომ ქართ-

ლისა და კახეთის ეპარქიაში მხოლოდ ორი საშტატო მონასტერი და ორი უდაბნო უნდა ყოფილიყო (ამ დადგენილებით ჩანს, რომ ქართლსა და კახეთში მხოლოდ ერთი ეპარქია დაუტოვებიათ). ეს მონასტრები იყო: 1. ქვაბთახევის, მოგვიანებით (1838 წ.) თბილისის ფერისცვალების მონასტერი, მასზე მიწერილი შიომღვიმით; 2. შუამთის ღვთისმშობლის შობის მონასტერი და ორი „უდაბნო“ — დავითგარეჯის და ნათლისმცემლის. აქვე მოცემულია იმ ღვთისმსახურთა რაოდენობა, რომლებიც მოღვაწეობდნენ ამ სავანეებში [24, ფ. 489, №4631, გვ. 66-69]. აგრეთვე აღნიშნულია, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიაში საშტატოს გარდა რამდენიმე ე. წ. უშტატო მონასტერიც არსებობდა.

1819 წლის ივნისში რუსული მმართველობის განკარგულებით საეკლესიო ყმა-მამულების აღწერა დაიწყო. ზემოთ აღნიშნული ქართლის მამულების გარდა, სამთავროს ყმა-მამული კახეთშიაც ჰქონდა. 1818 წლის ერთ-ერთ საბუთში ჩამოთვლილია სამთავროს მფლობელობაში მყოფი საეკლესიო გლეხების სია თელავის მაზრის სხვადასხვა სოფელსა და თბილისში [24, ფ. 489, №65400, გვ. 239].

საეკლესიო ქონების აღწერის მიზანი იყო ამ ქონების ხაზინისათვის გადაცემა. საე-

კლესიო ქონება და მამულები თანდათან სახაზინო საკუთრებად გადაიქცა, ხოლო სამღვდელოება სახაზინო ანაზღაურებაზე გადავიდა. ამგვარად, ქართულ ეკლესიას თანდათან მოესპო ნივთიერი სახსარი და ავტოკეფალიასთან ერთად ქონებაც დაკარგა. დაიწყო ეკლესია-მონასტრების უმოწყალო ძარცვა. მხოლოდ შიომღვიმის მონასტერში დაცული წიგნები, იმდროინდელი აღწერით, 10 ურემზეც კი ძლივს დაეტეოდა და მათ შორის უმეტესობა პერგამენტისა იყო [41, გვ. 266]. ამასთან ერთად წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე შემოღებამ ქართული ეკლესია უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო. როგორც ვნახეთ, სამთავროც კი — ქრისტიანობის საფუძველი საქართველოში, ლამის საკარანტინო დაწესებულებად გადაიქცა და მოძღვრის გარეშე დარჩა, მაშინ როდესაც იგი ქართლის მთავარეპისკოპოსების საკათედრო ტაძარი, ხელთუქმნელი ხატისა და მრავალი საეკლესიო სინმინდის მფლობელი მონასტერი და 60 სამწყსო სოფლის პატრონი იყო. ამიტომ ამ სავანეში სამონასტრო ცხოვრების აღორძინება უდიდეს ღვაწლად უნდა ჩაითვალოს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის დამაარსებლის ნინო ამილახვრისა და მისი თანამოაზრე დედების მხრიდან.

რუსული საეკლესიო მმართველობა საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარების მიზნით გულმოდგინედ ცდილობდა გარკვეულიყო საეკლესიო ყოფაცხოვრების ყველა წვრილმანში. საეკლესიო მმართველობისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ეკლესია-მონასტრებისა და მღვდელმსახურთა რაოდენობა, ქონება და მათი ვინაობა; საეკლესიო მშენებლობა, ეკონომიკური საკითხები, სამომავლო გეგმები და თითქმის ნებისმიერი გადანყვეტილება დაკავშირებული საეკლესიო ცხოვრებასთან. ამიტომ ეგზარქოსის კანცელარია განუწყვეტილად იძლეოდა მითითებებს ამ მიმართულებით და ყოველწლიურად მოითხოვდა ანგარიშებს და ცნობებს ეპარქიებიდან და მონასტრებიდან სინოდალურ კანტორაში ჩასაბარებლად. ამგვარი მოქმედება, ერთი მხრივ და ძირითადად, რუსული საეკლესიო ცხოვრების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის იყო გამიზნული, მაგრამ გარკვეულწილად საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებასაც უწყობდა ხელს. ეს ინფორმაცია თავს იყრიდა რუსული საეკლესიო მმართველობის ორგანოების არქივებში. ამ დოკუმენტების ნაწილი დაცულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში (სცსა):

ეგზარქოსის კანცელარიის ფონდი №488;

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდი №489; თბილისის გუბერნიის მონასტრების ფონდი №500.

ამ ფონდებში თავმოყრილია XIX-XX საუკუნეების დასაწყისის საბუთები საქართველოს საეკლესიო ცხოვრების და ეკლესია-მონასტრების შესახებ. აქ ბევრი ცნობაა სამთავროზეც, თუმცა ეს ცნობები გაბნეულია ასიათასზე მეტ საქმეში, რომელთა შორის ზოგი 200-300-გვერდიანია. სამწუხაროდ, არ არსებობს ამ ფონდთა სრულყოფილი ანოტირებული ცნობარი, ამიტომ სამთავროს შესახებ ცნობების სრულად მოძიება წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, დიდი ხნის ძიების შედეგად მიკვლეულია ის საბუთები, რაც საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ სამთავროს დედათა მონასტრის დაარსებასა და მის შემდგომ ისტორიას.

ამ ცნობებს ემატება XIX-XX საუკუნეების დასაწყისის ქართული და რუსული პრესის ინფორმაციები. ისტორიკოსთა ნაშრომები, საეკლესიო მოღვაწეთა მოგონებები და ჩანაწერები, სამთავროს საფლავის ქვების ეპიტაფიები, რაც საშუალებას გვაძლევს თითქმის სრულად გავეცნოთ სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის ისტორიას.

ფერისცვალების ტაძრის გუმბათის ყელი.





# დედათა მონასტრის დაარსება სამთავროში

ფერისცვალების ტაძარი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

საქართველოში დედათა მონასტერი ოფიციალურად 1825 წელს კვლავ არ არსებობდა, რაც დასტურდება სინოდალური კანტორის სიებით [24, ფ. 489, №1790]. იქ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ქალთა მონასტრები საქართველოში არ არსებობს“ (გვ. 4). თუმცა არაოფიციალურად სამთავროს დედათა მონასტრის დაარსების თარიღად 1820 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამ მოსაზრების საბუთად გამოგვადგება რამდენიმე ცნობა. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ 1820 წელს თავადის ქალი ამილახვარი და რამდენიმე განდეგილი დედა მისულან, აუგიათ სენაკები და ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით დასახლებულან სამთავროში. მონაზვნებს მხოლოდ შემოწირულებით უცხოვრიათ, ამასთან თურმე ბავშვებს წერაკითხვას ასწავლიდნენ და მცირე გასამრჯელოსაც იღებდნენ, თავიდან მხოლოდ ოთხნი ყოფილან, შემდეგ კი სხვა დედებიც შემატებიან [24, ფ. 489, №8688, გვ. 4].

უფრო დაწვრილებით, თავადის ქალის — ნინო ქრისტეფორეს ასულ ამილახვრისა და მისი თანამოაზრეების სამთავროში მოსვლისა და მოღვაწეობის შესახებ

ვგებულობთ მომდევნო საქმიდან სამთავროს განახლების თაობაზე [24, ფ. 489, №2721] (ნინო ამილახვარი აქ მოხსენიებულია, როგორც ქრისტეფორეს ასული; საფლავის ქვაზე და ზოგ სხვა საბუთში კი ქაიხოსროს ასულად მოიხსენიება. შესაძლებელია, ეს ორი სახელი ერთი და იმავე პიროვნების საერო და სასულიერო სახელები იყოს). ეს საქმე იწყება საქართველოს ეგზარქოსის იონას წერილით (1829 წ.). იგი აღნიშნავს, რომ IV საუკუნეში აგებულ სამთავროში, სადაც სამთავროს ეპარქიის გაუქმების შემდეგ, ყოფილი ეგზარქოსის თეოფილაქტეს ნებართვით მონაზვნები დასახლებულან, გალავანშემოვლებული, დიდი ზომის და კარგად ნაშენი ნაგებობები მდგარა. უყურადღებობით ეს ნაგებობები თანდათან ზიანდებოდა, ამიტომ ეგზარქოსს განუზრახავს ტაძრის, გალავნის, სხვა ნაგებობებისა და სამთავროს ყოფილი მთავარეპისკოპოსის სახლის აღდგენა და იქ მამათა მონასტრის გახსნა. ბერების გადმოყვანა სამთავროში ეგზარქოსს იოანე ნათლისმცემლის გაუქმებული უდაბნოდან დაუპირებია (გვ. 1). ტაძრისა და ნაგებობების მონახულება, გაზომვა და

აღდგენითი საქმიანობის ხარჯთა-  
ღრიცხვის შედგენა სინოდალური  
კანტორის არქიტექტორ რიპარდი-  
სათვის დაუვალება (სამთავროს  
ნაგებობების ანაზომები შეუსრუ-  
ლებიათ 1831 წელს. სამნუხაროდ,  
ეს ანაზომები ვერ მოიძებნა). რო-  
გორც შემდგომი მოვლენებიდან  
ჩანს, სამთავროში მამათა მონას-  
ტერი არ დაარსებულა.

ვინაიდან იმ დროისათვის სა-  
ქართველოში ქალთა მონასტრები  
აღარ მოქმედებდნენ, ეგზარქოს  
იონას გადაუწყვეტია თბილისში  
დედათა მონასტრის ოფიციალუ-  
რად დაარსება. მას საეკლესიო  
მმართველობისათვის დაუვალე-  
ბია, გაერკვიათ თუ სამთავროს  
გარდა კიდევ სად იმყოფებოდ-  
ნენ მონაზვნები (გვ. 24). აღმოჩნ-  
და, რომ რამდენიმე მონაზონი  
მთანმინდაზე, „ფერისცვალების“  
ეკლესიასთან სახლობდა. ასევე  
იმერეთსა და სამეგრელოში რამ-  
დენიმე ეკლესიასთან განდეგილად  
ცხოვრობდნენ დედები, მაგრამ  
იყვნენ თუ არა ისინი აღკვეცილნი  
მონაზვნებად, ვერ დაუდგენიათ  
(გვ. 27). სამთავროში მყოფი დედე-  
ბის შესახებ კი ცნობები მცხეთის  
არქიმანდრიტ საბას მიუწოდებია.

არქიმანდრიტ საბას წვრილად  
გამოუკითხავს მონაზვნები, რო-  
მელთაც თავიანთ წინამძღვრად  
ნინო ამილახვარი დაუსახელებიათ.  
იმ დროისათვის (1830 წ.) სამთა-  
ვროში სულ 10 დედა მოღვაწეობდა.  
დედათა სიასთან ერთად მათი ბიო-  
გრაფიული მონაცემები (გვ. 40-43).

**ნინო ქრისტეფორეს ასული ამილახვარი**, დაბადებული 1784 წელს სო-  
ფელ ჭალაში. შავი ანაფორა შეუმოსავს მისთვის არქიმანდრიტ საბას  
სოფ. ჭალის „ღვთისმშობლის შობის“ ეკლესიაში 1810 წელს, მონაზვნად  
აღუკვეცავს ეპისკოპოს გერვასის რუისის „ფერისცვალების“ ეკლესიაში  
1812 წელს, ხოლო ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით სამთავროში და-  
ფუძნებულა 1820 წლის 10 ნოემბერს.

**თეკლა გიორგის ასული ბიძინაშვილი**, დაბადებული 1770 წელს სოფელ  
ფლევში. შავი ანაფორა შეუმოსავს მთავარეპისკოპოს იოანე ქარუმიძეს გო-  
რის ტაძარში 1807 წელს, მონაზვნად აღუკვეცავს იქვე, 1808 წელს (იოანე  
ქარუმიძის შესახებ იხ. გვ. 45-46). სამთავროში მოსულა 1820 წლის 6 აგ-  
ვისტოს, მცხეთის ყოფილ დეკანოზ იოანე მაღალაშვილის შუამდგომლო-  
ბით და ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით.

**დომნა თამაზის ასული გოგნიაშვილი**, დაბადებული 1780 წელს ღუშეთის  
მაზრის სოფელ დამპალოში. ანაფორა შეუმოსავს კათალიკოს ანტონ II-ს ან-  
ჩისხატის ეკლესიაში 1800 წელს, მონაზვნად აღუკვეცავთ 1800 წელსვე. სამთა-  
ვროში მოსულა 1821 წლის 1 ნოემბერს.

**მარიამ ზაზას ასული ეგაძე**, დაბადებული 1796 წელს მცხეთაში. ანაფო-  
რა შეუმოსავს ბერმონაზონ ათანასე ამილახვარს შიომღვიმეში 1826 წელს,  
სამთავროში მოსულა 1820 წლის 10 ნოემბერს.

**თეკლე (თონა) გიორგის ასული ბერიძე**, დაბადებული 1772 წელს ზემო  
ავჭალაში. ანაფორა შეუმოსავს მცხეთაში 1829 წელს, სამთავროში მოსუ-  
ლა 1821 წლის 1 ნოემბერს.

**თათიანა ევსტატეს ასული ბიჭიკაშვილი**, დაბადებული 1769 წელს სო-  
ფელ ხოვლეში. ანაფორა შეუმოსავს შიომღვიმეში 1827 წელს, სამთავრო-  
ში მოსულა 1824 წლის 28 დეკემბერს.

**ქრისტინე ბესის ასული ოქროპირიძე**, დაბადებული 1799 წელს სოფელ  
დოესში. ანაფორა შეუმოსავს ბერმონაზონ ათანასეს შიომღვიმეში 1826  
წელს, სამთავროში მოსულა 1825 წლის 1 ოქტომბერს.

**მარიამ გიორგის ასული გუდაბერიძე**, დაბადებული 1777 წელს სოფელ  
ახალქალაქში. ანაფორა შეუმოსავს შიომღვიმეში. სამთავროში მოსულა  
1827 წლის 17 მარტს.

**მელანია ლაზარეს ასული მჭედლიშვილი**, დაბადებული 1804 წელს სო-  
ფელ სართიჭალაში. სამთავროში მოსულა 1829 წლის 14 ნოემბერს.

**დარეჯანა გიორგის ასული კობახიძე**, დაბადებული 1805 წელს. სამთა-  
ვროში მოსულა 1821 წელს დომნა გოგნიაშვილთან ერთად, რომლისთვის-  
საც მამას ჩაუბარებია აღსაზრდელად.

აი, ამ დედებს დაუწყიათ მოღვაწეობა ნინო ამილახვრის წინამძღვრობით და საფუძველი ჩაუყრიათ სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრისათვის.

მონაზონ ნინოს ღვაწლს უკვე 1827 წელს ვხვდებით. სვეტიცხოვლის კანდელაკ იოანე ბარისოვის მიერ გაგზავნილი პატაკიდან ეგზარქოს იონასადმი ცნობილი ხდება, რომ სამთავროს ფერისცვალების ტაძრის მახლობლად მდგომი მცირე ზომის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია აღუდგენიათ მონაზვნებს ნინოსა და მარიამს, ალბათ, ეგაძეს და შეუმკიათ იგი მათ მიერვე შეძენილი საეკლესიო ნივთებით (იქვე დართულია სია ამ ნივთებისა). ეს ეკლესია უკურთხებიათ 1828 წლის 14 იანვარს, წმინდა ნინოს სახელობის დღეს მის სახელზევე [24, ფ. 488, №1697, გვ. 3, 10].

იმავე წელს (1828 წ.) ეგზარქოსი იონა, თბილისის სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინისათვის საქართველოს უძველესი ეკლესიების სიის წარდგენისას აღნიშნავს, რომ „მცხეთის მახლობლად, ნახევარ ვერსტში ტაძარია მაცხოვრის ფერისცვალებისა, სამთავროს ყოფილ მღვდელმთავრებისა, რომლის გალავანში ამჟამად მონაზვნები ცხოვრობენ.“ ტაძრის აგების თარიღად კი 317 წელს მიიჩნევს [24, ფ. 488, №2009, გვ. 66].

ზემოთ აღნიშნულ საქმეში [24, ფ. 489, №2721] სამთავროს განახლების შესახებ ვკითხულობთ მცხეთის არქიმანდრიტ საბას, კანდელაკ იესე ბარისოვისა და შიომღვიმის ბერმონაზონ ათანასეს პატაკებს სამთავროში მოსულ დედათათვის შავიანაფორის შთაცმის თაობაზე და ლოცვას ანაფორის შთაცმის შესახებ (გვ. 62-67). ეს ლოცვა ამგვარი იყო:

#### „უფლისა მიმართ ვილოცოთ

გმადლობ შენ უფალო ღმერთო ჩვენო რომელმან მრავლითა წყალობითა შენითა იხსენ მხევალი ესე შენი (სახელი) ამათა ამის სოფლისა ცხოვრებისგან და უწოდე ამას ნეტარებისა ამის აღთქმისა ღირს ჰყავ ცხოვრებასა ღირსებით ანგელოზებრივისა მოქალაქეობისასა და დაიცვე ესე მახეთაგან ეშმაკისათა და წმინდა ყავ სული და ხორცი ამისი ვიდრე სიკვდილმდე და რათა ტაძრად წმინდად ღირს იქმნას და გულისა ხმა უყავ ამას ხსენებად შენდა ყოვლადვე და შენთა ბრძანება და სიმდაბლე სიყვარული და სიმშვიდე მიაწიჭე მეოხებითა ყოვლად წმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმინდათა ამინ

#### უფლისა მიმართ ვილოცოთ

უღელსა შენსა მეუფეო საცხოვრებელსა შეიწყნარე მხევალი ესე შენი (სახელი) და ღირს ყავ ესე რჩეულთა სამწყსოსა შენისათა აღრიცხვად და შემოსე ამას სამოსელი ნათლისა და სახიერებითა შენითა შეარტყე წელთა ამისთა და ყოველსა შინა საქმესა კეთილსა აჩვენე ესე მტკიცედ მოღვაწედ და ჩვენ სულიერთა მადლთა აღსრულება მოგვანიჭე მეოხებითა ყოვლად წმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმინდათა შენთანა ამინ“

ამავე საქმეში აღნიშნულია, რომ ვინაიდან სამთავროში ღვაწლმოსილი დედების ნებით აღმდგარა სამონასტრო ცხოვრება, ამიტომ საეკლესიო მმართვე-



სამწერობელი



ლობას დედათა მონასტრის ოფიციალურად დამტკიცება 1835 წლისათვის უკვე სამთავროშივე უფიქრიათ და თბილისის მთაწმინდის ფერისცვალების ეკლესიის მონაზვნებისთვის სამთავროში გადასვლა შეუთავაზებიათ. იმ დროს მთაწმინდაზე ოთხი დედა სახლობდა. უფროსი მონაზონი სალომე, თეკლე, ელისაბედი და ანასტასია კობიევი. ოთხივე დედას უარი განუცხადებია და მთაწმინდაზე დარჩენილან (თუმცა ანასტასია აზნაურ სვიმონ კობიაშვილის ასულს შემდეგ უკვე სამთავროში ვხვდებით).

აქვე მოცემულია სამთავროს აღწერა „მცხეთის სობოროს ყმათა და მამულთა განმგებლის არხიმანდრიტ საბას და ამავე სობოროს დეკანოზის იესე ბარისოვისაგან.“ სამღვდელთა პირები აღნიშნავენ: „მახლობლად მცხეთის სობოროსა, სამთავროს არიან ოთხნი შენობანი, კირითა კლდის ქვითა და სიპის ქვითა. აღმოსავლეთის მხრივ შენობა სადგომი ყოფილი მთავარეპისკოპოსისა იპყრობს სამთა ოთახთა; ჩრდილოეთის მხრივ პალატად წოდებული შენობა იპყრობს სამსა განყოფილებასა, დასავლეთის მხრივ — შენობა განუყოფელი, და საშუაღს ადგილს კოშკი ორატაჟიანი — მრგვალი, აგრეთვე განუყოფელი; აღმო-

სავლეთის მხრით შენობასა აქუს სიგრძე შვიდი საჟენი და სიგანე სამი, რომელიც არის ორ ატაჟიანი, პირველი ამისი ზეით ატაჟისა აქვს ჭერი დაქცეული, ხოლო ქუთი ატაჟა ჭერიანი და ხურვილი და დამაგრებული, დასავლეთის მხრივ შენობა ჭერ დაუხურველი სიგრძე მისი თხუთმეტი საჟენი და სიგანე ოთხი; სამხრეთის მხრივ შენობაა აქუს პირველის განყოფილებასა ხუთი საჟენი და სამი ჩარეჟი (საჟენი=213,36 სმ) სიგრძე და სიგანე ორი საჟენი. კოშკსა ორ ატაჟიანს ქვით-კირით კამარა შეკრულისა აქვს თვითოეულსა ატაჟის სიგანე და სიგრძე ორ-ორი საჟენი; აღმოსავლეთის მხრივ მთავარეპისკოპოსის სადგომი არს დაპყრობილი ოთხთა მონაზონთა და ორნი მორჩილთაგან, ხოლო შემდგომნი ხსენებულნი შენობანი არიან უქმად ვინაითგან შესაძლებელ არ არს მათ შინა დგომა გაუკეთებლივ. გარდა ხსენებულთა შენობათა არიან ქოხები უვარგანი რომელთამე მონაზონთაგან ტალახით ქვით ან ფიცრით

გაკეთებული ექვსნი. აგრეთვე აქვთ სრულებით ყოველსავე შენობასა შემოვლებული გალავანი ირგვლივ ქვიტკირისა, ადგილ ადგილ გადაქცეული; რომლის სიგრძე მისი არს ორმოც და რვა საჟენი და სიგანე ორმოცდა სამი“ (გვ. 84). აქვე აღნიშნულია, რომ ამ ნაგებობათა შეკეთების შემდეგ მათში 30 მონაზონის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი.

ეს იყო მონასტრის ნაგებობების პირველი ზოგადი აღწერა. ამ დროისათვის (1835 წ.) გარდაიცვალა ორი მონაზონი, მარიამ გუდაბერიძე და თეკლე ბერიძე, ხოლო თეკლე ბიძინაშვილი წილკანს წასულა. მონაზვნებს თავიანთ წინამძღვრად კვლავ ნინო ამილახვარი აურჩევიათ, ხაზინადრად — მარიამ ეგაძე, „ბლაგოჩინად“ — დარია ფალავა, რომელიც მონასტერში 1831 წელს მოსულა. შვიდ დარჩენილ დედას 1835 წლისთვის თხუთმეტი დამატებიან და ამგვარად სულ ოცდაორი გამხდარან. მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები აღწერილია ამ საქმის 107-110 გვერდებზე.

## **მონასტერში 1830-იან წლებში მოსულ დედათა სია:**

### **მონაზვნები:**

**ანუსია გიორგის ასული იაშვილი**, დაბადებული 1774 წელს.

**დარია ხიტუს ასული ფალავა**, დაბადებული 1804 წელს.

### **მორჩილები:**

**მარია (მინადორა) ავთანდილის ასული ფურცელაძე**, დაბადებული 1805 წელს, მოვიდა — 1834 წელს.

**თეკლა (მიტრადორა) ავთანდილის ასული ფურცელაძე**, დაბადებული 1807 წელს, მოვიდა — 1834 წელს.

ფერისცვალების ტაძრის აბსიდის მოხატულობა.

მართა დავითის ასული გამყრელიძე, დაბადებული 1805 წელს, მოვიდა-1833 წელს.

ნატალია იასეს ასული ამილახვარი, დაბადებული 1815 წელს, მოვიდა-1833 წელს.

ნინა იოანეს ასული თულაშვილი, დაბადებული 1815 წელს, მოვიდა-1833 წელს.

ნისიმე იოსების ასული ციციანოვი, დაბადებული 1810 წელს, მოვიდა-1834 წელს.

ანასტასია სიმონის ასული კობიაშვილი, დაბადებული 1802 წელს, მოვიდა-1834 წელს.

ნინა გიორგის ასული კობიაშვილი, დაბადებული 1785 წელს, მოვიდა-1835 წელს.

ველამპია დავითის ასული ბასილაშვილი, დაბადებული 1813 წელს, მოვიდა-1835 წელს.

ფებრონია ფრიდონის ასული ოთინაშვილი, დაბადებული 1802 წელს, მოვიდა-1835 წელს.

მავრა ესტატეს ასული ხარატიევი, დაბადებული 1819 წელს, მოვიდა-1835 წელს.

ვარვარა ივანეს ასული იაძე, დაბადებული 1814 წელს, მოვიდა-1835 წელს.

ქეთევან დავითის ასული ელიოზიშვილი, დაბადებული 1808 წელს, მოვიდა-1835 წელს.

სრული მონაცემები იხილეთ მონასტრის დედათა თანდართულ ანბანურ სიაში.

1835 წელსვე ეგზარქოს ევგენის (ბაჟენოვი, 1834-1844) მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ საეკლესიო მმართველობას განზრახული ჰქონია სამთავროს ტაძრის, სამრეკლოს, გალავნის შეკეთება და სენაკების აგება მონაზვნებისათვის. ჩასატარებელ სამუშაოთა თანხა შეადგენდა 21 774 რუბლს [42, გვ. 229].

იმავე დროს მონაზვნებს — ნინო ამილახვარს, დარია ფალავასა და ქრისტინე ოქროპირიძეს ეგზარქოსისგან მოუთხოვიათ ერთი წლით რუსეთის ქალაქებში

ნასვლის უფლება, რათა იქ მონაზულებინათ ქალთა მონასტრები, შემწეობა ეთხოვათ და მათ მსგავსად გაემართათ სამთავროს მონასტრის საქმიანობაც [24, ფ. 489, №2721, გვ. 112]. როგორც მომდევნო ცნობებიდან ირკვევა, მონაზვნები რუსეთს ვერ გამგზავრებულან, თუმცა უწმინდეს სინოდს განუხილავს მონაზონთა ეს მოთხოვნა და უბრძანებია, დაეჩქარებინათ საქმის გარკვევა თბილისის გუბერნიაში ქალთა მონასტრის ოფიციალურად დაარსების შესახებ [გვ. 15].

სამთავროს მონასტრის შეკეთების სურვილი სინოდალურ კანტორას ჰქონია, მაგრამ სახარჯთაღრიცხვო თანხის სიდიდის გამო ხაზინა მის გადახდაზე არ დათანხმებულა [გვ. 152].

იგივე ხასიათის ცნობებს ვხვდებით იმ დროის სხვა საქმეშიც [24, ფ. 488, №5238]. ამ საქმიდან ვგებულობთ, რომ უფროსი მონაზონი ნინო აუწყებს ეგზარქოს ევგენის მონასტრის სავალალო მდგომარეობას და სთხოვს შენობებისა და ტაძრის სახურავის შეკეთებას სამთავროს სავანეს საშტატო მონასტრად დამტკიცებამდე [გვ. 42]. აქვე დაცულია სინოდის 1837 წლის ბრძანებულება, დაეჩქარებინათ სამთავროში მე-3 კლასის დედათა მონასტრის დამტკიცება. სინოდს ასევე დაუდგენია მონასტრის ნაგებობების შეკეთება საეკლესიო თანხით [გვ. 45]. სამწუხაროდ, 1837 წელს ვერც მონასტრის დამტკიცება ვერ მოხერხდა და ვერც სამონასტრო შენობების განახლება. თუმცა მცირე რამ მაინც გაკეთებულა. ამის მაუწყებელია მცხეთის ილუმენ იოანეს, კანდელაკ მღვდლის იოსებ ბარისოვის და დეკანოზ დავით გაბაევის ანგარიშები და ხარჯთაღრიცხვა. ამ დროს ჩაუსვამთ მინები სარკმლებში, განუახლებიათ კარიბჭე, შეუღლესავთ და შეუთეთრებიათ სენაკები და სხვ. [გვ. 10, 14, 24, 48].



სამთავროს დედათა მონასტრის დამაარსებლისა და პირველი წინამძღვრის ნინო ამილახვრის საფლავი.

მონასტრის დამაარსებელი **ნინო ამილახვარი** გარდაიცვალა 1839 წ. იგი დაკრძალულია სამთავროს მაყვლოვანში, წმინდა ნინოს ეკლესიის სამხრეთ ფასადთან. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „**ლოდი ესე ჰფარავს სავანესა თავადის ქაიხოსრო ამილახვრის ასულის მონაზონის წინასსა, რომელმანც დააარსა მონასტერი ესე 1820 წ. და გარდაიცვალა 1839 წ. თებერვალსა 11-ს.**“

განუზომელია ნინო ამილახვრის ღვაწლი სამთავროს დედათა მონასტრისათვის. იგი იყო მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი. როდესაც ნინო სამთავროში მივიდა, ქართლის მთავარეპისკოპოსთა ეს ადრინ-

დელი სამყოფელი უკიდურეს შეჭირვებას განიცდიდა. დაზიანებული იყო ორთავე ტაძარი და სხვა სამონასტრო შენობები. მოშლილი იყო მეურნეობა, დაკარგული და გაპარტახებული — საეკლესიო ქონება. ნინო ამილახვარმა სული შთაბერა მიმქრალ სავანეს და ააღორძინა სამონასტრო ცხოვრება. მისმა დაუღალავმა ღვაწლმა და მონდომებამ აიძულა საეკლესიო მმართველობა, რათა მეტი ყურადღება გამოეჩინათ სამთავროსადმი. ნინო ამილახვრის საქმე გააგრძელეს მისმა აღზრდილებმა და რამდენიმე ხანში სამთავროს დედათა მონასტერი ოფიციალურად გაფორმდა და დამტკიცდა.

ოდნავ უკან დავბრუნდეთ და განვიხილოთ ის საბუთები, სადაც საუბარია სამთავროს მეტოქი ეკლესიის შესახებ თბილისში. ზემოთ აღნიშნულია, რომ სამთავროს მეტოქი ეკლესია თბილისში აუგია მთავარეპისკოპოს რომანოზს XVIII საუკუნის I მესამედში. განსხვავებულ ცნობას გვაწვდის არქიტექტორი თენგიზ კვირკველია. იგი აღნიშნავს, რომ ძველ თბილისში, ანჩისხატის მახლობლად კვირაცხოვლის (დღევანდელი რამიშვილების) ქუჩაზე „ძველთაგანვე მდგარა კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც მონგოლებს დაუნგრევიათ. XVII საუკუნეში ამ ადგილზე მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს (ამილახვრების გვარიდან) აუშენებია მცირე ზომის ახალი

ეკლესია. XIX საუკუნეში ეკლესია ანჩისხატზე იყო მიწერილი და სამთავროს ეპისკოპოსის მეტოქედ ითვლებოდა, რომელიც დანგრევის პირას ყოფილა მისული. რამდენიმე წლის წინ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მიაკვლიეს ეკლესიის საძირკვლებს“ [43, გვ. 13].

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან XVII საუკუნეში მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ამილახვარი ცნობილი არ არის. კვირკველია კი არ აკონკრეტებს თუ საიდან აქვს ამგვარი ცნობა. კვირკველიას ცნობაში საინტერესო ისაა, რომ აღნიშნულია ეკლესიის ადგილმდებარეობა და ამასთან ირკვევა, რომ 1980-იანი წლებისათვის ამ ეკლესიის მხოლოდ საძირკველი ყოფილა შემორჩენილი.

კვირაცხოვლის, ანუ „თომას კვირის“ ეკლესია აღნიშნულია თბილისის XIX საუკუნის გეგმებზე — ანჩისხატის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით დღევანდელ რამიშვილების (ყოფილ ავლევის) ქუჩაზე (გეგმები ინახება თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში). დღეს ამ ეკლესიის კვალიც აღარ ჩანს და მის ადგილას საბავშვო ბაღის შენობაა აღმართული. როგორც ჩანს, თენგიზ კვირკველიას ეს ცნობა ამოუღია დავით კარიჭაშვილის კატალოგიდან, სადაც მოყვანილია თბილისის ეკლესია-მონასტრების 1839 წლის აღწერის

ნუსხა. ამ ნუსხაში აღნიშნულია: „ტფილისსავე შინა არის პატარა ეკლესია წმინდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა, ქვითკირისა, უგუმბათო, აღშენებული მთავარეპისკოპოსისა ქრისტეფორე ამილახოროვისაგან მეტოქედ, ანუ ფოდვერიად თვსად წელსა 1703-სა. ამას შინა არის ერთი მღვდელი“ [8, გვ. 81].

შესაძლოა, ეს ქრისტეფორე 1702 წლის საეკლესიო კრების განჩინებაში დასახელებული მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორეა (20, გვ. 633). 1703 წელს წმინდა მოციქულ თომას ეკლესიის ამგებ ქართლის მთავარეპისკოპოსს ქრისტეფორე ამილახვარს მოიხსენიებს აგრეთვე პლატონ იოსელიანიც [Древние памятники Тифлиса, 1844, გვ. 113]. მეორე ნაშრომში პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ სამთავროს მთავარეპისკოპოსთა სახლი და მოციქულ თომას ეკლესია, რომელიც აგებული ყოფილა ადრინდელ ნანგრევებზე, 1840 წლიდან დალუქულია და დანგრევა ემუქრებაო [Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, 1866, გვ. 270].

ცნობები სამთავროს მეტოქის შესახებ გვხვდება XIX საუკუნის დასაწყისიდან. 1816-1817 წლებში მანფარსადან ციციშვილს თხოვნით მიუმართავს მმართველობისათვის, რათა ნება დაერთოთ ექირავა საეკლესიო სახლი თბილისში, ყოფილი სამთავროს ეპარქიის მეტოქე [24, ფ. 489, №451, №452].

1817 წლის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია „ყოფილი სამთავროს ეპარქიის კუთვნილი კვირაცხოვლის ეკლესია, ყოფილი სამთავროს არქიეპისკოპოსის მეტოქეში... კვირაცხოვლის ანუ თომას კვირის ამ ეკლესიის მფლობელობაში ყოფილა 5 კომლი ყმა, სახლი 4 ოთახით, დუქანი და საჯინბო“ [24, ფ. 488, №127, გვ. 8, 11].

სამთავროს მეტოქის არსებობა თბილისში დასტურდება 1824 წლის საბუთითაც, სადაც საუბარია სინოდალური კანტორის მიერ თბილისის I ნაწილის III კვარტალში, სამთავროს ეპარქიის მეტოქეში, 1822 წელს, 6 წლის ვადით, გლეხ ხათუაშვილისათვის იჯარით გადაცემული სახლის შესახებ [24, ფ. 489, №1688].

სამთავროს მეტოქეში არსებულ სახლზეა აგრეთვე საუბარი 1827 წლის საბუთშიც. ამ ცნობას თანდართული აქვს სამთავროს მეტოქეში სინოდალური კანტორის პროკურორისათვის სახლის აშენების ნებართვა [24, ფ. 489, №2239].

თბილისის ეკლესიების 1831 წლის სიაში კვლავ არის აღნიშნული სამთავროს მეტოქე. აქ მე-2 კვარტალის პირველ ნაწილში მოხსენიებულია ანჩისხატზე მინერული „თომას კვირის ქვის ეკლესია სამთავროს მეტოქეში“ [24, ფ. 488, №3274, გვ. 8].

1833 წლის თბილისის სამრევლო ეკლესიათა ნუსხაში „თომას კვირის“ ეკლესიის აგების თარი-

ღიც არის მოყვანილი. „თომას კვირის“ ეკლესია ააგო მთავარეპისკოპოსმა რომანმა 1716 წ.“ — აღნიშნულია ცნობაში [24, ფ. 488, №2651, გვ. 6]. (ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ეს თარიღი მთლად ზუსტი არ უნდა იყოს).

შემდეგი ცნობა გვხვდება 1837 წელს, სადაც აღნიშნულია, რომ წმინდა თომას ეკლესია შეუკეთებიათ, მაგრამ არ არის ნათქვამი თუ სახელდობრ, რა შეაკეთეს და არც ადგილმდებარეობაა დაკონკრეტებული [24, ფ. 488, №5183].

როგორც ვხედავთ, ზოგი წყარო ამ ეკლესიას 1703 წელს მთავარეპისკოპოს ქრისტეფორე ამილახვრის აგებულად თვლის, ზოგი კი მის მშენებლობას მიაწერს მთავარეპისკოპოს რომანოზს (1716 წ.). ერთი რამ კი ცხადია, XVIII საუკუნის დასაწყისში სამთავროს თავისი მეტოქე მამული ჰქონია თბილისში ეკლესიით და სახლით.

### **დავუბრუნდეთ კვლავ სამთავროს.**

სამწუხაროდ, ნინო ამილახვარი ვერ მოესწრო სამთავროს დედათა მონასტრის ოფიციალურ დამტკიცებას. მისი გარდაცვალების შემდეგ (1839 წ.) მონასტრის დედეებს არ შეუწევიათ ღვანწლი ამ მიმართულებით. ისინი განმსჭვალული იყვნენ იმ სულიერი მუხტით, რომელიც გადასცა

წმინდა ნინოსა და ღვთისმშობლის ხატი ფერისცვალების ტაძარში.



მათ წინამძღვარმა წინომ. მისი საქმის გამგრძელებელი სამთავროს დედათა მონასტრის ყველა წინამძღვარი საოცარი ენერგიით იყო მოსილი და, მიუხედავად უკიდურესი სიძნელეებისა, ყოველდღიური გონიერი შრომით მატებდნენ მონასტერს სულიერ და ნივთიერ სიკეთეს.

1843 წლის 27 მარტის მოხსენებითი ბარათით, მონასტრის დედები საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისაგან ითხოვენ სამთავროს მონასტრის ოფიციალურად დამტკიცებას. ბარათს ხელს აწერდა 11 დედა. მათ შორის უფროსი მონაზონი დარია (სახელი დარიას წინ ფრჩხილებში აღნიშნულია ქრისტიანე), მონაზვნები — ქრისტიანე, თეკლე, ტატიანა და სქემმონაზვნები — მარიამი, თეკლე, ტასია, ნისიმა, მელანია, მაურა და მაკრინე. ამავე საქმეში აღწერილია, თუ როგორ მოვიდა დაცარიელებულ და მიტოვებულ მონასტერში წინო ამილახვარი 1820 წელს და როგორ აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება. აქვე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ უპრიანი იქნებოდა სამთავროში ოფიციალურად დაარსებულიყო დედათა მონასტერი. თავდაპირველად იგი აჯობებდა მონაზონილიყო რუსეთის მე-3 კლასის დედათა მონასტრის მსგავსი სამტატო განრიგით. ილუმენიას დანიშვნოდა ხელფასი 120 რუბლი, ხოლო მონასტრის გა-

სამართად საჭირო იქნებოდა ორი ათასი რუბლი და ყოველწლიური სახელფასო ფონდი მონაზვნებისათვის დაახლოებით 400 რუბლის ოდენობით. მათი აზრით, ეს თანხები არ უნდა დასწოლოდა მძიმე ტვირთად საეკლესიო მმართველობას [24, ფ. 489, № 8688]. სამწუხაროდ, ეგზარქოს ევგენის დროს ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

ვერ მოხერხებულა სამონასტრო ნაგებობების სრული შეკეთებაც. 1843 წელს კვლავ უმსჯელიათ სამთავროს ტაძრის დაზიანებებზე და ლორფინის დაზიანებული სახურავის მაგივრად, თუნუქის სიიაფის გამო ეკლესიის თუნუქით გადახურვა გადაუწყვეტიათ. ამასთან, ჩაუთვლიათ, რომ ტაძრის დაზიანებული კედლები ვერ გაუძლებდნენ ლორფინის სახურავის სიმძიმეს [24, ფ. 489, № 62496].

იმავე წელს მცხეთის ილუმენი იოანე იუწყება, რომ სამთავროს ტაძარში ქვები და აგურები ცვივა ზემოდანო, ამიტომ სინოდალურ კანტორას დროებით აუკრძალავს ღვთისმსახურება სამთავროს ტაძარში და მისი ჩატარება მოუთხოვია მცხეთის „სობოროში“ ანუ „სვეტიცხოველში.“ ამის წინააღმდეგი ყოფილა მცხეთის კანდელაკი მღვდელი იოსებ ბარისოვი, რადგან იმდროს „სვეტიცხოველში“ ხარაჩოები მდგარა და სანთლებიდან ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის გამო ტაძარში ღვთისმსახურების

ჩატარება საშიშად მიუჩნევია. ამ სირთულის დაძლევა მას ამგვარად გადაუწყვეტია: „**თუმცა ძრიელ პატარა არს სამთავროს გალავანსა შინა წმინდის წინოს ეკლესია, გარნა შესაძლო არს ვიდრე დასრულებადმდე მცხეთის სობოროსა აღსრულდეს ყოველივე საღმრთო სამსახური მას ეკლესიასა შინა**“ [24, ფ. 489, № 9033].

წმინდა წინოს ეკლესია მართლაც ძალიან პატარა იყო მუდმივი ღვთისმსახურებისათვის. ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეკეთებულიყო სამთავროს დაზიანებული ტაძარი. მცხეთის კანდელაკთან ერთად, დეკანოზი იესე ბარისოვი და მღვდელი ზაქარია ბარისოვი უმორჩილესად სთხოვდნენ ეგზარქოს ევგენის „**წარმოგზავნას არხიტექტორისა უმჯობესად ამა საგნის შეტყობისათვის**“ [24, ფ. 489, № 9028, გვ. 2]. ამ საქმიდან ირკვევა, რომ ტაძარი მართლაც მოუნახულებია სინოდალური კანტორის არქიტექტორ რიპარდს, რომელსაც აღუწერია ტაძარი, მისი დაზიანებები და ვრცელი პატაკი წარმოუდგენია ხარჯთაღრიცხვითურთ. რიპარდის პატაკი მეტად საინტერესოა, რადგან ეს არის სამთავროს ტაძრის ყველაზე ადრინდელი, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი აღწერა [გვ. 9-14].

რიპარდს ტაძარი უნახავს 1843 წლის 7 ივნისს. იგი აღწერას იწყებს **სამხრეთ ფასადიდან**. კარიბჭის სახურავი ბალახით ყოფილა დაფარული. აქა-იქ შემორჩენილა ლორ-

ფინის სახურავის ქვის ფილები. გამოსაცვლელი ყოფილა ლავგარდანის და ცოკოლის ქვების დიდი ნაწილი. აღნიშნულია ორი, დიდი მოჩუქურთმებული სარკმელი.

**აღმოსავლეთი ფასადი** — დიდ ფართობზე, ფრონტონის ქვემოთ ჩამოცვენილი ყოფილა ტაძრის ქვის პერანგის ქვები; გამოსაცვლელი ყოფილა ლავგარდანის და ცოკოლის ქვების ნაწილი; სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კედელს გასჩენოდა ბზარი; ჩრდილოეთ კუთხეში მიშენებული რიყის ქვის კედელი აუცილებლად უნდა მოხსნილიყო.

**ჩრდილოეთი ფასადი** — მინაშენის სახურავზე ბუჩქნარი ყოფილა ამოსული; კედლის პერანგის ქვების დიდი ნაწილი დანესტიანებული და გამოსაცვლელი იყო. აღნიშნულია, რომ ჩრდილო ფასადის მოჩუქურთმებული სარკმლები ხარისხით ჩამოუვარდებოდა სამხრეთისას.

**დასავლეთი ფასადი** — ზედა ნაწილი, ისევე როგორც სხვა ფასადები, თლილი ქვისა ყოფილა, ქვედა ნაწილი კი — რიყის ქვის, რომელიც უნდა შეცვლილიყო თლილით; აგურისა და ფლეთილი ქვის მინაშენი, სამი ამოქოლილი კარით, იმდენად უშნო იყო და ისე ამახინჯებდა ფასადს, რომ რიპარდს მისი მოხსნა გადაუწყვეტია; ასევე მოსახსნელი ყოფილა რიყის ქვის კედელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში რომ ეკვროდა ტაძარს; კედლებიდან წვიმის წყლის მოსა-

რიდებლად აუცილებლად მიუჩნევია სარინელის მოწყობა დახრით აღმოსავლეთისაკენ.

**სახურავი** — საჭიროდ ჩაუთვლია ლორფინის დაზიანებული ფილების ჩამოხსნა, ასევე ძველი კირდულაბის მოხსნა და ახლით შეცვლა; გუმბათის სარკმლებს ქვემოთ გამოსაცვლელი ყოფილა აგური, თვით გუმბათზე კი — ახალი ჯვარი დასადგმელი.

რიპარდის პროფესიონალიზმი და გემოვნება ჩანს მის მიერ ინტერიერის აღწერაში.

**ინტერიერი** — რიპარდს აუცილებლად მიუჩნევია კარიბჭის მოჩუქურთმებული თალებიდან ნალესობის მოხსნა, შესასვლელის გაფართოება და მახინჯი ტიხრების მოშლა. გუმბათზე, აღმოსავლეთ მხარეს გაჩენილი ყოფილა ბზარი, შესაკეთებელი ყოფილა სამკვეთლოს კამარა; აქვე უნდა გაეკეთებინათ საკურთხეველში შესასვლელი ორი საფეხური; გამოეცვალათ საკურთხეველის იატაკი თლილი ფილებით; შეეღესათ საკურთხეველის ნახევარწრიული კამარა; თლილი ქვით მოეწყოთ ამბიონი.

დაზიანებული სახურავიდან ტაძარში ჩადიოდა წვიმის წყალი, რასაც მთლიანად დაუნესტიანებია ჩრდილოეთ კედელი. რიპარდს გათვალისწინებული ჰქონია ჩრდილო კედლის რიყის ქვის დაზიანებული პერანგის მოხსნა, შემდეგ აგურით ამოყვანა და შეღესვა; დაზიანებული ყოფილა გუმბათქვეშა სვეტების ქვები; უნდა მოსწორე-

ბულიყო იატაკი ერთ დონეზე; გასაკეთებელი იყო ახალი ჩარჩოები სარკმლისათვის, რომლებიც შემდეგ უნდა შემინულიყო.

**კედლის მხატვრობა** შეიმჩნეოდა საკურთხეველში კამარის ქვემოთ (იგულისხმება — კონქის ქვემოთ) და გუმბათქვეშ, ასევე გუმბათის სარკმლების თალებზე.

რიპარდს საჭიროდ მიუჩნევია აგრეთვე დანესტიანებული კედლების შეღესილობის მთლიანად მოხსნა და შემდეგ ხელახლა შეღესვა ცემენტისა და კირის ხსნარით, რათა მას შეესრუტა სინესტე და გამომშრალიყო. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ გაჯით შეღესვის შემთხვევაში კედლები არ გამოშრებოდა. ცემენტით შეღესილი კედლები ორჯერ უნდა შეეთეთრებულიყო, გაჯით შეღესილი კი — მხოლოდ ერთხელ. შემდეგ რიპარდს მოცემული აქვს სრული ხარჯთაღრიცხვა. მთლიანი შეკეთება 11.491 რუბლი ჯდება. ოსტატებს (ქვის მთელეები, დურგლები) დღეში ეძლეოდათ ერთი რუბლი, უბრალო მუშებს — 40 კაპიკი.

იმავე წლის შემოდგომაზე და მომდევნო წელს სამთავროს აღდგენის მსურველთათვის ოთხჯერ დანიშნულა საჯარო ვაჭრობა (ტენდერი). სინოდალურ კანტორაში სამჯერ არავინ გამოცხადებულა, ხოლო მეოთხედ რა მოხდა, ამ საქმეში არ არის აღრიცხული. აღსანიშნავია, რომ ტენდერს აცხადებდა თბილისის სამოქალაქო პოლიცია.



ახალი ეგზარქოსის — ისიდორე ნიკოლსკის (1844-1858 წლები) მოსვლის შემდეგ კვლავ დადგა საქართველოში დედათა მონასტრის დაარსების საკითხი. როგორც ჩანს, ამ საკითხის გადაწყვეტას ხელი შეუწყო კავკასიის მეფისნაცვლის — ვორონცოვის ახლებურმა კოლონიურმა პოლიტიკამ, რაც გამოიხატებოდა ადგილობრივ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებასთან ერთგვარ დაახლოებასა და გულისხმიერებაში. ეგზარქოსმა ისიდორემ, რუსეთის სინოდის 1845 წლის ბრძანებით დაიწყო განხილვა თუ სად შეიძლებოდა საქართველოში დედათა მონასტრის ოფიციალურად დაარსება, რაც სამთავროს სასარგებლოდ გადაწყდა, ვინაიდან „აქ ძველდროიდანვე არსებობდა ქალთა საზოგადოება და იყო წმ. ნინოს სამყოფელი.“ ამასთან, ფიქრობდნენ, რომ უკვე არსებულ შენობათა შეკეთება ძვირი არ დაჯდებოდა [24, ფ. 489, №10756, გვ. 1-3]. უწმინდეს სინოდს ეს გადაწყვეტილება დაუმტკიცებია 1846 წლის 27 მაისს, ოფიციალურად კი სამონასტრო შტატი დაუმტკიცებია საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას 1847 წლის 18 ივნისს, ხოლო მონასტრის შესანახად ყოველწლიურად 900 რუბლი გამოუყვიათ [24, ფ. 488, №24158]. ამ დროისათვის სამთავროს მო-

ნასტერში 10 დედა მოღვაწეობდა. წინამძღვარს წელიწადში 150 რუბლი დაუწესეს, ხაზინადარს — 60 რუბლი, ხუთ მონაზონს 50-50 რუბლი თითოეულს, ხოლო სამ მორჩილს — 30-30 რუბლი.

მონასტრის წინამძღვრად ეგზარქოსმა ისიდორემ 1846 წლის 19 ნოემბერს დანიშნა სამეგრელოს თავადის ხიტუ ფალავას ასული — მონაზონი დარია (ამ დროისათვის მონასტერი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული), თუმცა ბერმონაზონი (იერომონახი) ტარასი სინოდალურ კანტორისადმი მიწერილ წერილში დარიას ამის შემდეგაც უხუცეს დას — ენკრატისს (უფროს მონაზონს) უწოდებს [24, ფ. 489, №10756, გვ. 8]. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ტარასიმ სამთავროს დედათა მონასტერს, ძეგვში გლეხ კვახაძის მიერ იჯარით აღებული ზვარი შეურჩია (მცხეთის ტაძრის მფლობელობაში მყოფი ძეგვის ბაღი სამთავროს მონასტერს გადაეცა 1849 წლის 1 იანვარს). პირველი ოფიციალური საბუთი, სადაც დარია ფალავა ხელს აწერს როგორც წინამძღვარი, აქვე 1847 წლის 7 მარტით არის დათარიღებული [გვ. 13]. მასში საუბარია სამთავროს მონასტრისათვის ძეგვის ბაღის გადაცემაზე. დაახლოებით ასეთივე ცნობების შემცველია წინამძღვარ დარია-სადმი 1847 წლის 12 აგვისტოს მიწერილი წერილი [44].

1847 წლის მონასტრის ფორმულარული სიიდან ვგებულობთ, რომ დარია ფალავა (დაბად. 1805 წ.) სამთავროს მონასტერში მოსულა 1831 წ. 23 თებერვალს „შთაუცვია მას ანაფორა კურთხევითა საბა არქიმანდრიტისათა 1832 წ. ოკტომბერს“, ხოლო „აღკვეცილ არს მონაზონად დავით გარეჯის არხიმანდრიტის იოვანეს მიერ 1846 წ. 1 დეკემბერს“ [24, ფ. 488, № №13369, გვ. 10]. აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. 1843 წ. ერთ-ერთ საბუთში დარია უკვე მონაზვნად არის მოხსენიებული. ასევეა 1835 წ. საბუთშიც [24, ფ. 489, №2721, გვ. 108]. ამ საბუთში აღნიშნულია: „აღკვეცილი მონაზონი დარია იმერეთის თავადის ხიტუ ფალავის ასული სარწმუნოებით არს ბერძენთ ქართველისა, შობითგან არს ლა (31) წლისა, აღსარებას იტყვის და წმინდას საიდუმლოს მიიღებს ოთხსაუ მარხვაში ყოველს წელიწადს, იცის ქართულსა ენასა ზედა საღმრთო წერილი, კითხვა, გალობა და წერა, სამართალსა ქუშე და შტრაფ გარდახდევინებულ არა ოდეს არ ყოფილა, შემოსულ არს იგი სამთავროს დედათ მონასტერსა მა (31) ექსარხოსად ყოფილის ყ-დ უსამღვდელოესის მიტროპოლიტის იონას ბრძანებითა, ხოლო აღკვეცილ არს მონაზონად არხიმანდრიტის საბას მიერ ბრძანებითა განსუენებულის ექსარხოსად ყოფილის ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის მოსესითა ჩყლგ (1833) წელსა ოკდომბერის ბ(2)

ადამიანის ფიგურის გამოსახულება ფერისცვალების ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენის აღმოსავლეთ ფასადზე.

დღესა. რაღცა ვაჩვენე. ხელს ვაწერ მონაზონი დარია თავადის ხიტუ ფალავის ასული.“

როგორც ვხედავთ, ამ ორ საბუთში არეულია ანაფორით შემოსვის კურთხევისა და მონაზვნად კურთხევის ფაქტი. ასეთივე შეუსაბამობაა მონაზონ ქრისტიანოქროპირიძის შემთხვევაშიც (იხ. ქვევით). ამგვარად, როგორც ჩანს, ანაფორით შემოსვის შემდეგ, დედები ხშირ შემთხვევაში, უკვე მონაზვნებად მოიხსენიებოდნენ, თუმცა ჯერ მონაზვნად ნაკურთხი არ იყვნენ.

სამთავროს დედათა მონასტრის არქივში დაცულია ცნობა, სადაც მოთხრობილია ზეპირი გადმოცემა დარია ფალავას სამთავროში მოსვლის შესახებ: „ოდის თავადის ასულს, მცხეთიდან სამეგრელოში ჩასული ვაჭრისგან სმენია საქართველოს საპატრიარქოსა და ქართლის საეპისკოპოსოს გაუქმება და ტაძრის უპატრონოდ დარჩენა. მაშინ თავადის ერთადერთ ასულს, ღვთის განგებით უყოყმანოდ დაუტოვებია მშობლები, შვიდი ძმა და ვაჟურად გადამცემი, როგორც მოსამსახურე, მალვით გამოჰყოლია ვაჭარს მცხეთაში.

სამთავროს მონასტრის ეზოში, თავდაპირველად სათონესთან დასახლებულა. ერთხელ არაგვისპირს გასულდარიასბებრისციხესთან სამი ცხენოსანი შეუნიშნავს, ძმები შეუცვნია მათში და არაგვში შეუცურავს. ძმები დასდევნებია.

წყლიდან გასული ქალი მღვდელს შეუფარებია. მღვდელსა და მის მეუღლეს სიზმრისეული ჩვენებით სცნობიათ ეს ამბავი და ქალი გულმოდგინედ გადაუმალავთ.“ ამ ზეპირი გადმოცემის ძირითადი აზრი ამოკვეთილია დარია ფალავას საფლავის ქვაზე მთავარი ტაძრის საკურთხევის წინ, ჩრდილო ნაწილში (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები).

ახლად დამტკიცებული მონასტრის ხაზინადრად დაუნიშნავთ მონაზონი ქრისტიანა, საეკლესიო ყმის, მცხეთის „სობოროს“ მონაზონის ბესი ოქროპირიძის ასული. დაბადებული 1799 წელს სოფელ დოესში. სამთავროში მოსულა 1825 წლის 1 ოქტომბერს. 1826 წელს შიომღვიმეში შეუმოსავს ჩოხა ბერმონაზონ ათანასეს, ხოლო „ბრძანებითა მისის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობის ისიდორე არხიეპისკოპოსისა საქართველოს ექსარხოსათა აღკვეცილ არს მონაზონად არხიმანდრიტის იოვანესაგან — 1846 წ. 2 დეკემბერს“ [24, ფ. 488, №13369, გვ. 10], თუმცა მონაზვნად იგი გაცილებით ადრე — 1835 წელსაც მოიხსენიებოდა.

### **ამ დროისათვის (1847 წ.) მონასტრის დედათა ყოფილან:**

#### **წინამძღვარი**

**დარია** — თავადის ხიტუ ფალავას ასული, დაბადებული 1805 წელს.

#### **ხაზინადარი**

**ქრისტიანა** — ბესი ოქროპირიძის ასული, დაბადებული 1799 წელს.

#### **მონაზვნები:**

**ანუსია (ანასტასია)** — აზნაურ სვიმონ კობიევის ასული, დაბადებული 1802/8 წელს.

სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვრის — ილუმენია დარია ფალავას საფლავი.

მონასტრის წინამძღვრის, დარიას საფლავის ქვაზე ქრისტიანა იხსენიება, როგორც ენკრატისი და დარიას სულიერი და. დარიას გარდაცვალების შემდეგ იგი მონასტრის გამგებელიც იყო 1855 წელს. უკანასკნელი საბუთი კი, რომელშიც იგი ხაზინადრად მოიხსენიება 1856 წლით არის დათარიღებული. ქრისტიანას მონასტერი დაუტოვებია თავისი ნებით 1860 წელს, თუმცა შესაძლოა გარდაცვალებამდე ისევ დაბრუნდა მონასტერში, რადგანაც დაკრძალულია სამთავროს მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის წინ 1872 წელს (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები). საფლავის ქვაზე აღნიშნულია, რომ იგი 63 (ანუ 63) წლისა გარდაცვლილა, რაც არ უნდა იყოს მართალი, რადგან უფრო ადრეულ რამდენიმე საბუთში მისი დაბადების თარიღად 1799 წელია მითითებული, ხოლო 63 წლისა რომ გარდაცვლილიყო, მაშინ მისი დაბადების თარიღი 1809 წელი იქნებოდა.



**ულუმპიადა** — თავად დავით გედევანიშვილის ასული, დაბადებული 1823 წელს.  
**მინადორა (მართა)** — აზნაურ ავთანდილ ფურცელაძის ასული, დაბადებული 1800/4 წელს.

**მიტრადორა (თეკლა)** — აზნაურ ავთანდილ ფურცელაძის ასული, დაბადებული 1806 წელს.

**ნისიმა** — დეკანოზ იოსებ ციციშვილის ასული, დაბადებული 1816 წელს.

**მოტრეპილი:**

**მელანია** — თავად უთაურთ ნიშნის ასული, დაბადებული 1818 წელს.

**მაურა** — მღვდელ ესტატე ხარატიშვილის ასული, დაბადებული 1819 წელს.

**ნინა** — აზნაურ დიმიტრი ქარაგვის ასული, დაბადებული 1830 წელს.

სრული მონაცემები იხ. მონასტრის დედათა თანდართულ აზნაურ სიაში.

1847 წლის ერთ-ერთ საბუთში [24, ფ. 488, № 12809] მაჩაბლისასულ მელანიას თხოვნაა სამთავროში მონაზვნად მიღების შესახებ. როგორც ვხედავთ, იგი არ ჩანს ახლად დამტკიცებული მონასტრის ფორმულარულ სიაში. მისი სახელი არც შემდეგ გვხვდება. ამიტომ ძნელი სათქმელია მოღვაწეობდა თუ არა იგი სამთავროში.

1847 წელს მონასტრის ნინამძღვარი დარია საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აწვდის ცნობას მონასტერში მყოფ 10 მონაფე გოგონას შესახებ, რომლებიც სწავლობდნენ საღმრთო წერილს და ხელსაქმეს. ეს გოგონები იყვნენ:

**მარიამი** — გიორგი ამილახვრის ასული;

**ტასია** — გიორგი ამილახვრის ასული;

**ვარვარა** — ლუარსაბ ამილახვრის ასული;

**დარია** — ევსტატი თუმანიშვილის ასული;

**თინათინი** — ზურაბ გედევანიშვილის ასული;

**ნინა** — გიორგი გედევანიშვილის ასული;

**ქეთევანი** — გიორგი ყიფიანის ასული;

**ვარვარა** — მღვდელ ზაქარია ბარისოვის ასული;

**ეკატერინე** — მღვდელ იოსებ კოშორიძის ასული;

**ფეფია** — გიორგი ბარისოვის ასული [24, ფ. 488, № 12806, გვ. 17].

იმავენელსმონასტერში დაუწყიათ წინამძღვრის სახლის, 9 სენაკის და სატრაპეზოს მშენებლობა. ამ საქმისათვის სულ დახარჯულა 2 912 რუბლი. ამ საქმეს თან ერთვის შემოსავალ-გასავლის რეგული, თუვის რამდენი მიეცა და რა საქმისათვის [24, ფ. 489, № 10756].

ამგვარად, **1847 წ. მონასტერი ოფიციალურად დამტკიცდა** და წინამძღვარი დარია ფალავა და მცხეთის „სობოროს“ დეკანოზი იოსებ ბარისოვი შეუდგნენ მონასტრის აღდგენის საქმეს.


1848 წ. დაწესდა სამთავროს აღდგენის კომიტეტი, რომელსაც იოსებ ბარისოვი ჩაუდგა სათავეში. გასაკეთებელი კი ბევრი რამ იყო. საჭირო გახდა სპეციალისტის მონახვა, რათა მას ზუსტად დაედგინა ტაძრის და სხვა ნაგებობების დაზიანებები და მონასტრის შეკეთების სტრატეგია განესაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, სამთავრო კარგად იყო ცნობილი სინოდალური კანტორის არქიტექტორ რიპარდისათვის. თუმცა მან ჯერ კიდევ 1843 წ. შეისწავლა სამთავროს ტაძარი, აღწერა ყველა დაზიანება და წარმოადგინა ვრცელი პატაკი ხარჯთაღრიცხვითურთ (იხ. ზემოთ), მაგრამ როგორც ჩანს, ტაძარი არ შეკეთებულა (სამთავროს ანაზოში 1831 წელს შეუსრულებიათ. სამწუხაროდ, ამ ანაზომის მოძიება ვერ მოხერხდა). რიპარდი სათავეში ჩაუდგა სამთავროს აღდგენის ტექნიკურ საქმეს, ხოლო სამუშაოთა წარმოება დაევალა ბერძენ უსტაბაშს (ხელოსანთა ამქრის უფროსს) ქრისტეფორე ივანეს ძე ნეფეტოვს. ამ პერიოდის რამდენიმე სქელტანიან საქმეში დეტალურად არის განხილული ეს საამშენებლო საქმიანობა.

ერთ-ერთ საქმეში [24, ფ. 489, № 12193] აღნიშნულია, რომ მოუპირკეთებიათ ტაძრის კედლები და გამოუცვლიათ ლავგარდანი (გვ. 2). სამწუხაროდ, 1850 წელს სექტემბერში გარდაცვლილა დეკანოზი იოსებ ბარისოვი და მისი

საქმე მღვდელ დიმიტრი მაკაროვს გაუგრძელება (გვ. 59). 1851 წლის 2 აპრილიდან კი ამ საქმეს მცხეთის კანდელაკი ზაქარია ბარისოვი ჩასდგომია სათავეში. მისი ერთ-ერთი ანგარიში ამგვარია:

„ამაუ მდგომარის აპრილის 2 რიცხვიდგან ვიდრე 22 რიცხვამდნენ იყვნენ ქვის მთელნი ოსტატნი 229, რომელთაცა თაღეს და დააწყეს სამთავროს დედათ მონასტრის სობოროს ეკლესიაზედ, აღმოსავლეთის მხარეს ძირს ცოკოლი ზ (7) საუენი და ნახევარი — საუენი და ნახევარი ჩრდილოეთის ფანჯრის ქუით, სიგანე საუენ ნახევარი, ოთხი საუენი სიგრძე და საუენი და სამი ჩერტუტი (მეოთხედი), სიმაღლე, ოთხ საუენ ჩეტურტ ნაკლები კარნიზი, ჩრდილოეთის მხარეს, მეორე კედელი ფრანტონისა და ამაუ რიცხვში არა მოტანილ არს ახალნი ქვანი, რომლისთვისაცა ყ-დ უმორჩილესად მოახსენებს კომიტეტი ესე თქუენს მაღალ ყ-დ უსამღვდელოებას“ (გვ. 79).

იმავე, 1851 წელს არქიტექტორი რიპარდი წერს პატაკს შესრულებული სამუშაოს შესახებ. აქ დეტალურად არის აღწერილი შენობის აღმოსავლეთ და ჩრდილო ფასადების ახალი ქვებითა და ლავგარდანიტ შემოსვა. ეს საქმე უწარმოებია ვინმე სიმონოვს, რომელსაც გადაუხადეს 1513 რუბლი (გვ. 89). შემდეგ მოცემულია 1854 წლის სამუშაოების ანგარიში (გვ. 93-98).



მომდევნო საქმეში [24, ფ. 489, №12825] აღწერილია 1849-1854 წლებში ჩატარებული საქმიანობა. ამ უზარმაზარ საქმეში (328 ფურცელი) ზოგი რამ გამეორებულია, მაგრამ ვხვდებით ახალ ცნობებსაც. 1851 წ. დარია ფალავა უკვე ილუმენიის ხარისხში მოიხსენიება

(გვ. 141). იქვე ნათქვამია, რომ საქმეთა წარმოება გაუგრძელება ქრისტეფორე იორდანოვს. მას დაუმთავრებია ტაძრის ჩრდილო და სამხრეთ მინაშენების გადახურვა ლორფინის სახურავით. 1851 წელსვე არქიტექტორ რიპარდს შეუდგენია მონასტრის გალავნის

შესაკუთრებული პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (გვ. 177) (დანვრილებით იხ. ქვემოთ). იქვე მოცემულია მის მიერ შედგენილი ტაძრის ინტერიერის აღწერა (გვ. 229).

იგი წერს, რომ ეკლესიის გუმბათქვეშა სვეტები და თაღები თლილი ქვით ყოფილა გადაყვანილი, ისევე როგორც სამხრეთის კედელი კამარითურთ, ხოლო ჩრდილო კედელი და ორსართულიანი სამკვეთლო და სადიაკვნე თლილი და ფლეთილი ქვის ნარევით აყვანილი. დასავლეთის კედელი მთლიანად უხეში, ღორღის ქვით ყოფილა აწყობილი, გუმბათის ყელი და კამარა კი მხოლოდ აგურით გადაყვანილი.

რიპარდი აღნიშნავს, რომ ეკლესიის ინტერიერი, სვეტებისა და თაღების ჩათვლით, მთლიანად შელესილი ყოფილა. დროთა განმავლობაში კი ნალესობის 2/3 ჩამოცვენილა. მას გადაუწყვეტია მთლიანად მოეხსნათ შელესილობა და ხელახლა შეელესათ მხოლოდ უხეში წყობით ნაგები კედლები, ხოლო თლილი ქვის პერანგი ხელუხლებლად დაეტოვებინათ.

მასვე გადაუწყვეტია საკურთხეველში, სამკვეთლოსა და სადიაკვნოში აგურის იატაკის დაგება, ამბიონის თლილი ქვით მოწყობა და ტაძრის იატაკის მოსწორება; ჩრდილო და სამხრეთ შესასვლელებში მუხის კარების დაკიდება; ახალი ჩარჩოს გაკეთება სამხრეთის, დასავლეთისა

და ჩრდილოეთის შეწყვილებული და აღმოსავლეთის ერთი დიდი სარკმლებისათვის, ასევე ჩრდილო და აღმოსავლეთი ფასადების ოთხ-ოთხი მცირე სარკმლისა და გუმბათის ცამეტივე სარკმლისათვის.

რიპარდს კიდევ ერთხელ აქვს აღწერილი კედლის მხატვრობა. გუმბათის სარკმლების ქვემოთ იგი ასახელებს წმინდანთა 13 წელზედა ფიგურას (აქ 12 წინასწარმეტყველია გამოსახული, გაშლილი პერგამენტებით ხელში და ღვთისმშობელი ორანტას პოზაში; იმ დროისათვის ეს გამოსახულებები კარგად ყოფილა შემორჩენილი); აგრეთვე — გუმბათის სარკმლებს შორის საკმაოდ კარგად შემორჩენილ 13 ფიგურულ გამოსახულებას (აქაც წინასწარმეტყველებია). სარკმლებს ზემოთ იგი კვლავ 13 ფიგურაზე მიუთითებს, ოღონდ აღნიშნავს, რომ ზოგი მათგანი სანახევროდ წაშლილიაო (აქ გამოსახულია ანგელოზთა კრება).

საკურთხევლის აბსიდში, სარკმლის მარჯვნივ იგი ასახელებს 9 ფიგურულ გამოსახულებას, რომლებიც კარგად ყოფილა შემონახული, ხოლო სარკმლის მარცხნივ გამოსახული 2 ფიგურა ძალზედ დაზიანებული ყოფილა (გვ. 230).

დღეს, 2008 წლისათვის, სარკმლის მარჯვნივ საკმაოდ კარგადაა შემონახული მოციქულთა ექვსი ფიგურა, ხოლო მათ

ქვემოთ მღვდელმთავართა სამი ფიგურაა, რომელთა სახეები წაშლილია. სარკმლის მარჯვნივ მოციქულთა ორი ფიგურა აღდგენილია.

ეს აღწერა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ასახულებს ამ მხატვრობის არსებობას 1840-იან წლებში, ე.ი. მხატვრობა უფრო ადრეულია და რუსეთის მმართველობის წლებში მას არ შეხებია 1850 წლამდე.

ინტერიერის აღწერას თან ერთვის სრული ხარჯთაღრიცხვა (გვ. 231-245) და ხელშეკრულება სამუშაოთა მწარმოებელ ქრისტეფორე იორდანოვთან (1854 წ. 1 ივნისი; გვ. 261). ხელშეკრულება ავალდებულებდა იორდანოვს, რათა მას მოეხსნა ინტერიერის ძველი შელესილობა, ოღონდ არ უნდა შეხებოდა კედლის მხატვრობას. მასვე უნდა მოეწყო ნახევარწრიულად წინ წამოწეული ამბიონი თლილი ქვის ფილებით საკურთხევლის აღსავლის კარის წინ. დაეგო ქვის იატაკი საკურთხეველში და სამკვეთლო-სადიაკვნოში, ხოლო ტაძრის დარბაზში გაესწორებინა ძველი იატაკი; შეელესა ტაძრის ის კედლები, რომლებიც უხეში წყობით იყო აყვანილი და ხელი არ ეხლო თლილი ქვის წყობისათვის, კერძოდ, შეელესა ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები, სამკვეთლო, სადიაკვნო

ფერიცვალების ტაძრის აბსიდის მოხატულობა.



და მათ ზემოთ მე-2 სართულის სათავსოები, დასავლეთი მკლავის კამარა და გუმბათის შიდა სივრცე (კედლის მხატვრობის ხელშეუხებლად). გაეკეთებინა მუხის ორი ორალათიანი კარი სამხრეთ და დასავლეთ შესასვლელებისათვის. გამოეცვალა 21 სარკმლის ჩარჩო, გუმბათის სარკმლების ჩათვლით, ახალი, მუხის ხის ჩარჩოებით. შეეღება ზეთის საღებავით სარკმელთა ჩარჩოები და ორი კარი. გარდა ამისა, მას უნდა შეეკეთებინა და გამოესწორებინა დაზიანებები სამხრეთის კარიბჭეში.

შემდეგ საქმეში (1851 წ.) აღწერილია არქიტექტორ რიპარდის პროექტი. ამ პროექტით განსაზღვრული ყოფილა სამთავროს ძველი გალავნის ახლით შეცვლა და გალავნის დაზიანებული ნაწილების შეკეთება [24, ფ. 488, №15609].

საპროექტო ხარჯთაღრიცხვით ამ სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 2214 რუბლს. საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს უფლება მიეცა ეს თანხა საეკლესიო შემოსავლიდან გადაეხადა. რიპარდის პროექტი განუხილავს თბილისის საგუბერნიო საამშენებლო კომისიის არქიტექტორ ბელოს (ბელოს მიერ იყო დაპროექტებული ზედა ბეთლემის ეკლესიაზე ასასვლელი ე. წ. ბეთლემის კიბეები თბილისში) და შეუტანია შესწორებები (გვ. 19). ამ სამუშაოთა წარმოება დაუვალეობით ბერძენ ოსტატ მურად

ბასტიონოვისათვის, რომელსაც ხელშეკრულება დაუდევს ეგზარქოსის კანცელარიასთან. მას უვალდებულებია შემდეგი სამუშაოები:

უნდა აეგო 4½ არშინის სიმაღლე გალავნის კედელი, სისქით 1¼ არშინი ძირში და ერთი არშინი ზემოთ. კედელი უნდა დაესრულებინა აგურის ორფერდა ქანობით;

ძველი გალავნის კარგად შემორჩენილი ნაწილები უნდა შეეკეთებინა და ახალი გალავნის სიმაღლემდე აეყვანა;

სენაკები და სატრაპეზო მიღგმული ყოფილა დასავლეთის გალავანზე. გალავნის ეს კედელი უნდა აემალლებინა ერთი არშინით;

ხელახლა უნდა აეგო სამხრეთ გალავნის კედელი საძირკველითურთ, რომელზეც ყოფილა მიღგმული კათალიკოსის სასახლე (შეცდომაა, უნდა ეწეროს მთავარეპისკოპოსის სასახლე);

რკინის ჭიშკარი უნდა მოეწყო აღმოსავლეთის მხრიდან, ხოლო დასავლეთიდან — რკინისავე კუტიკარი;

ამასთან, იგი ვალდებულებას იღებდა, რომ თუ მისი შესრულებული სამუშაო შემკვეთს არ მოეწონებოდა, იგი ამ სამუშაოს თავისი ხარჯით ხელახლა გააკეთებდა (1 არშინი=71,12 სმ; 1 საჟენი=213,36 სმ). (გვ. 38).

აქვე მოცემულია რამდენიმე პატაკი უკვე ჩატარებულ სამუშაოებზე. ირკვევა, რომ აპრილიზნისში ახალი გალავნის მშენე-

ბლობაზე დაკავებული ყოფილა 161 ოსტატი და 132 შავი მუშა. იგულისხმება სამუშაო კაც-დღე. ამ პატაკს ხელს აწერენ ილუმენია დარია, მღვდელი დიმიტრი მაკაროვი, ბერმონაზონი ტარასი და დიაკვანი ევსტატი მრევლოვი (გვ. 47-49).

სამთავროს მონასტრის შენობებს რომ მუდმივად სჭირდებოდა შეკეთება, დასტურდება წინამძღვარ დარიას წერილით (1852 წ.). მას ეგზარქოს ისიდორესგან მოუთხოვია 450 რუბლი სენაკების სიძველისაგან დამპალი კოჭების გამოსაცვლელად, რაც მიუღია კიდეც [24, ფ. 488, №24226].

1852 წელსვე წინამძღვარ დარიას, ოსტატ თათეოზ ვართანოვისათვის ამ სენაკების შეკეთება შეუკვეთია და მასთან საამშენებლო კონტრაქტი დაუდია [24, ფ. 489, №14837, გვ. 13].

წინამძღვარ დარია ფალავას მონასტრის შენობების აღდგენის გარდა მისი ტერიტორიის დაცვაზეც უზრუნვია. მას უარი განუცხადებია, როდესაც მოუთხოვიათ სამრეკლოს მიმდებარე მიწაზე სომხური სასაფლაოს გახსნა (1851 წ.) [44].

დარია ფალავას მონასტერში წყალსადენიც გაუყვანია. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სამთავროში წყალი არ ჰქონიათ. წყალსადენის გაყვანაში შემწეობა თამარ ბატონიშვილმა ითავა. წყალსადენი 1851 წ. გაუყვანიათ იქვე მახლობლად აღმოჩენილი

წყაროდან [24, ფ. 488, №26477]. თამარ იულონის ასულ ბატონიშვილს (ერეკლე II-ის შვილიშვილს) მონასტერზე ზრუნვა შემდეგაც გაუგრძელდება.

წყალსადენის გამართულობა შეუმონებია არქიტექტორ რიპარდს [24, ფ. 488, №26327, გვ. 2]. ამავე საქმეში დაცულია ცნობა საქართველოში მზის დაბნელების შესახებ 1851 წელს 16 ივლისს სალამოს საათზე. მზის დაბნელება, რასაც ეგზარქოს ისიდორეს დავალებით მცხეთის ბერმონაზონი ტარასი აკვირდებოდა, სამ წუთს გაგრძელებულა. სამწუხაროდ, ღრუბლიანობის გამო, ეს საინტერესო ასტრონომიული მოვლენა კარგად არ გამოჩენილა (გვ. 4).

1853 წ. დასაწყისში გარდაიცვალა დარია ფალავა. მან მხოლოდ ექვსი წელი გაატარა მონასტრის წინამძღვრად. თუმცა ამ მოკლე დროშიც შეძლო ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება სამთავროსათვის და, რაც უმთავრესია, მისი ძალისხმევით მოხდა სამთავროს დედათა მონასტრის დამტკიცება ოფიციალურ მონასტრად. დარია ატარებდა სამთავროს პირველი ილუმენიის ნოდებას. მის საფლავის ქვაზე წაწერილია: „... განვიდა ხორცთა ამათგან სასურველსა თვისადმი იანვარს 5 სა 1853 სა წელსა შობითგან თვისით 45 წლისა...“ (როგორც ჩანს, დარიას წლოვანებაში აქ ოდნავი ცდომილებაა, რადგან უფრო ადრინდელ საბუთებში იგი 1805 წ. არის დაბადებული).

დაიწყო XIX ს. მე-2 ნახევარი. ეს ის დროა, როდესაც კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ახლებური, ე.წ. „ნამცხვრისა და მათრახის“ კოლონიური პოლიტიკით საქართველოს კულტურულ ცხოვრებას ოდნავი გამოცოცხლება დაეცო. 1850 წ. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (I საშუალო სკოლა) დაიდგა გიორგი ერისთავის სპექტაკლი „გაყრა“, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრის აღორძინებას; 1851 წ. თბილისში აშენდა ე.წ. „იტალიური ოპერის“ შენობა, არქიტექტორ სკუდიერისა და მხატვარ გაგარინის პროექტით; 1852 წ. დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“; დაფუძნდა I ოფიციალური დედათა მონასტერი სამთავროში და დაიწყო სამთავროსა და სვეტიცხოვლის ტაძრების შეკეთება. თუმცა, მეორე მხრივ, გრძელდებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკა და ეკლესია-მონასტრების ეკონომიკური შევიწროება. 1853 წელს, როდესაც საეკლესიო მამულების დარჩენილი ნაწილი სახაზინო უწყებას გადაეცა, სასულიერო უწყებას (უშუალოდ სამართავად) დარჩა მამულების მცირე, განსაზღვრული რაოდენობა, მათ შორის სამთავროს დედათა მონასტერს — ბაღი (12 დღის სახნავი) სოფელ ძეგვში და საბაღე ნაკვეთი მონასტერსა და დიდ გზას შორის. ასევე სასულიერო უწყებაში დარჩა სამთავროსეულად ნოდებული

სახლი სინოდალურ კანტორაში მომსახურეთათვის (აქ, ალბათ, იგულისხმება სახლი თბილისში, სამთავროს მეტოქში) [42, გვ. 385, 386].

1854 წ. 27 აპრილის საბუთში კვლავ ვხვდებით სამთავროს მეტოქს, რომლის სახლის შეკეთების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ არქიტექტორ რიპარდს დაავალა. სახლი ორსართულიანი ყოფილა, მაღალი სარდაფით. ირკვევა, რომ მეტოქი შემოსაზღვრული ყოფილა გალავნით და იქვე მდგარა ძალზე დაზიანებული ეკლესია სამრეკლოთი. ეკლესიის კედლები იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ გადაუწყვეტიათ სამრეკლოს მოხსნა და კარ-სარკმელთა აჭედვა, რადგან ვინმე არ დაშავებულიყო. ამ საქმეს უძღვებოდა არქიმანდრიტი გერონტი — დავით გარეჯის წინამძღვარი, შემდგომში საქართველოს მონასტრების „ბლაგოჩინი“ [24, ფ. 488, №23840]. მიუხედავად იმისა, რომ საბუთში არ ჩანს ამ ეკლესიის ადგილმდებარეობა, იგი ალბათ, თბილისში არსებული, სამთავროს მეტოქი — „კვირაცხოვლის“ ეკლესია უნდა იყოს. როგორც ჩანს, ამ ეკლესიას ვერ უშველეს, იგი დანგრეულა და მხოლოდ საძირკვლის ნაშთები შემორჩენილა.

წინამძღვარ დარია ფალავას გარდაცვალების შემდეგ მის მოვალეობას, ალბათ, ასრულებდა მონაზონი ქრისტიანა ოქროპირი-





ძე, რადგან ერთ-ერთ საბუთში იგი მოხსენიებულია მონასტრის გამგებლად 1855 წ. 1 ნოემბერს [24, ფ. 488, №20703, გვ. 9]. შემდეგ კი ოფიციალურ საბუთებს მონაზონი მინადორა აწერს ხელს, თუმცა იგი „განმგებლად ამაჲ მონასტრისა“ დაუმტკიცებია ეგზარქოს ისიდორეს მოგვიანებით — 1857 წ. 12 ივნისს, ხოლო ილუმენიის ხარისხში აუყვანია მასვე 1858 წ. 16 მარტს [44].

მინადორა (საერო სახელი მართა) ავთანდილის ასული ფურცელაძე 1804 წ. დაბადებულია. 1860, 1862 წლების ფორმულარული სიებიდან ვგებულობთ, რომ მართა ფურცელაძე სამთავროს მონასტერში მოსულა 1832 წ. 18 ოქტომბერს. 1844 წ. იგი მინადორას სახელით მონაზვნად აღუკვეცია ბერმონაზონ ტარასის. 1848 წ. მინადორას, „შენიშნულობისათვის, სასარგებლოდ მცხეთის წმინდის გიორგის ეკლესიისა, უწმინდესის სინოდის უქაზის ძალითა,“ გამოეცხადა კურთხევა „სათანადო მონაზონითა და ზედა დასმითა ბეჭდითა ექსარხოსის ისიდორესითა.“ 1854 წ. კი, მას უმოგზაურია შესანიშნავის შესაკრებლად, დედათა მონასტრების ცხოვრების წესის შესასწავლად და უმოღვაწია მოსკოვში „ხაჩეთიისკის მონასტერსა შინა სასტიკისა მარხუის დაცუითა“ [24, ფ. 488, №19092, გვ. 11].

ოდნავ განსხვავებული ცნობაა 1835 წ. საბუთში. იქ აღნიშნულია, რომ იგი სამთავროში დასთან მიტრადორასთან (თეკლა) ერთად მოსულა 1834 წელს. ამ საბუთში აღნიშნულია შემდეგი: „მორჩილი მართა აზნაურის ავთანდილ ფურცელაძის ასული. სარწმუნოებისა არსბერძენთქართველისა, შობითგან არს ლ (30) წლისა, აღსარებას იტყვის და წმინდას საიდუმლოს მიიღებს ოთხსავე მარხვაში ყოველის წელიწადს, იცის ქართულსა ენაზედა საღმრთო წერილი, კითხვა, წერა და გალობა, სამართალსა ქუშე და შტრაფ გარდახდევინებულ არა ოდეს არ ყოფილა, ჰსურს მას აღკვეცა მონაზნობასა შინა, შემოსულ არს ჩყლდ (1834) წელსა ოკდომბერსა 17-ს დღესა განსუნებულის ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსად ყოფილის არხიეპისკოპოზის მოსეს ბრძანებითა აჩუნა თანახმად მეორისა ხელს ვანერ მორჩილი მართა აზნაურის ავთანდილ ფურცელაძის ასული“ [24, ფ. 489, №2721, გვ. 108].

მინადორა ფურცელაძე გარდაიცვალა 1863 წ. 15 სექტემბერს. დაკრძალულია სამთავროს ტაძრის სამხრეთ კარიბჭის ეკვდერში. საფლავის ქვის წარწერა თითქმის მთლიანად გადამლილია და ოდნავ გაირჩევა სახელი მინადორა. მინადორამ მთელი ცხოვრება ღვანლში გაატარა. მისი მოღვაწეობის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ (მინადორას უმცროსი და მიტრადორა — თეკლე — უფრო

ადრეგარდაცვლილა. მისი საფლავის ქვაზე აღნიშნულია: „მინადორას მრწემა დაჲ მიტრადორა † 1855 წ. 28 დეკ.“ დაკრძალულია მონასტრის ეზოში, წმინდა ნინოს ეკლესიის სამხრეთით მდებარე ხის ძირას (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები).

1854 წ. მიმდინარეობდა მონასტრის შეკეთება. 17 მარტს, სინოდალურ კანტორას მცხეთის დეკანოზ ქუთათელაძისათვის დაუვალეზია ამ სამუშაოს მეთვალყურეობა. კერძოდ კი ხელახლა უნდა შეეღესათ ტაძარი და ჩაესვათ მინები სარკმლებში [24, ფ. 488, №16528]. ტაძრის შეკეთების დროს მონაზვნები იძულებული იყვნენ წირვა-ლოცვის მოსასმენად სვეტიცხოველში ევლოთ, რაც საკმაოდ შორს იყო, წმინდა ნინოს ეკლესია კი — მცირე და უკიდურესად ვიწრო. ამიტომ, 1857 წ. მონაზონი მინადორა სწერდა ეგზარქოს ისიდორეს, რათა „წარმოგზავნილ იქმნეს მონასტრად არხიტექტორი პლანის ასაღებად სამთავროს სობოროს კარიბჭის ეკლესიისა და იმ პლანის მიხედვით გაკეთდეს ეკლესიასა შინა კარისბჭისა საკანკელი, რომელიც არს უფრცელეს წმინდის ნინას ეკლესიისა და ამისათვის ადვილად დაიტევს იგი თვის შორის მონაზონთა და ყოველთა პირთა, ვიდრე განახლება მდე თვით სობოროჲსა.“ ამასთან, მინადორას თავისი ხელსაქმით ათი თუმანი შეუფროვებია „კურთხევითა უფლისაით“ და ეს თანხა

კარიბჭის კანკელის გასაკეთებლად დაუდვია. იგი „მხურვალის სურვილით“ ითხოვდა „რათამცა ტრაპეზი ამა კარიბჭის ეკლესიისა განმზადებულ იქმნეს რომლისამე დღესასწაულისათვის, განხილვისამებრ“ ეგზარქოსისა [ 24, ფ. 488, №16738, გვ. 10]. კანკელის პროექტის გაკეთება დაუვალე-ბიათ არქიტექტორ სოკოლოვის-თვის. საქმეს კი უძღვებოდა მცხეთის ბლაგოჩინი, დეკანოზი ანდრო გურგენიძე. სოკოლოვს წარუდგენია კანკელის პროექტი, რომლის უშუალოდ გაკეთება დაუვალე-ბიათ ფერმწერ სემიონ ლიხაჩოვისათვის, მას კი თავის მხრივ ხელშეკრულება გაუფორმებია სამთავროს მონასტერთან.

ხელშეკრულება პროექტის მიხედვით კანკელისა და მასზე დასადგამი ჯვრის გაკეთებას 1858 წ. 1 მარტამდე ითვალისწინებდა. კანკელი და ჯვარი ცაცხვის ხის მასალის უნდა ყოფილიყო. შემდეგ უნდა მოოქრულიყო აღსავლის კარი. ლიხაჩოვს ხის კანკელისა და ჯვრის მონაცობა დაუმთავრებია 1858 წ. 12 მარტს [ 24, ფ. 488, №16738, გვ. 15-22]. ეს კანკელი ამჟამად შემორჩენილი არ არის.

ამავე საქმეში დაცულია მოსკოველი ხატმწერის მაკარ მინინის წერილი, რომელშიც იგი თანხმობას აცხადებდა სამთავროს მონასტრისათვის დაეხატა ხატები ცაცხვის ხის ფიცრებზე. კერძოდ, შემდეგი სიუჟეტები: 1. მაცხოვარი ტახტზე; 2. ღვთისმშობელი ტახტზე; 3. ფე-



რისცვალება; 4. წმინდანინო; 5. ექვსი მრგვალი ხატი აღსავლის კარისათვის — ხარება და ოთხი მახარებელი; 6. მაცხოვარი; 7. ივერიის ღვთისმშობელი (გვ. 1). განხორციელდა თუ არა ეს სამუშაო, ცნობილი არ არის.

1855 წ. 19 სექტემბერს ეგზარქოს ისიდორეს მამათა მონასტრების და სამთავროს დედათა მონასტრის „ბლაგოჩინად“ დაუნიშნავს არქიმანდრიტი გერონტი, რომელიც მანამდე დავითგარეჯის დედათა მონასტრის წინამძღვარი ყოფილა [ 24, ფ. 489, №62753].

ფერისცვალების ტაძარი. ხედი აღმოსავლეთისაკენ (ინტერიერი).

სამთავროს დედათა მონასტრის არქივის ერთ-ერთ საბუთში [44] აღმოჩნდა „მოძღვრება ბლალოჩინისადმი მონასტერთა“, სადაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი „ბლალოჩინის“ უფლება-მოვალეობანი. ეს საბუთი უთარიღოა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამავე წლებისა უნდა იყოს. მას ხელს აწერს არქიმანდრიტი გერონტი, „ბლალოჩინი მონასტერთა“:

## „მოძღვრება ბლალოჩინისადმი მონასტერთა“

- ა. ბლალოჩინი მონასტერთა არს გვამი, აღრჩეული ეპარხიის მღვდელთმთავრისა მიერ, რომელიცა მოიხმარების საშუალოდ ზედამხედველობისათვის მონასტერთა და მონაზონთა ზედა.
- ბ. იგი აღმოიჩინეს მონასტრის წინამძღვართაგანი, ცნობილისა ნიჭიერებისა და გამოცდილისა ქცევისა მქონი.
- გ. მიხედვითა რიცხვისა და ერთი მეორეზედ მდებარეობისა მონასტერთა ერთისა ეპარხიისათა, ეპარხიასა შინა შესაძლო არს იყოს ერთი, ორი ანუ უმეტესიცა ბლალოჩინი მონასტერთა.
- დ. უმთავრესნი საგანნი მონასტერთ ბლალოჩინის ზედამხედველობისანი არიან: ღვთისმსახურება, კეთილწესიერება, ზნეობა და სახლის მეურნეობა.

### ღვთისმსახურებისათვის

- ე. ბლალოჩინი მონასტერთა დაიცავს, რათა ღვთისმსახურება მონასტერთა შინა აღსრულებულ იქმნებოდეს ნამდვილ საზოგადოებასა ეკკლესიურის და საკუთარისა სადაცა არს მონასტრულის ტიპიკონისამებრ.
- ვ. რათამცა აღსრულებად ღვთისმსახურებისა არა იქმნებოდეს სიჩქარით, რომელიცა უფრორე არა შეენდობოსთ მონაზონთა, ვიდრელა სამრევლოს მღვდელთა, შეიწროებულთა ოდესმე სამრევლოს საქმეთაგან.
- ზ. რათამცა ეკკლესიურთა კითხვათა და გალობათა შინა არა იქმნებოდეს მიშვებულ არცა მცირედი ორხმაობა, არამედ რათა შემდგომად სრულებით შესრულებისა ერთისა დაიწყებოდეს მეორედ.
- ჰ. რათა ძველი საეკლესიო გალობა დაცულ იქმნებოდეს გულსმოდგინებით და არა განრყვნილ ახლად შემოღებულებითა, შეუმსგავსებელთა სიმდაბლისათანა და ღმოშიერებისა ვითარნიცა უფრო ეშესაბამებიან მონასტრულისა ღვთისმსახურებასა.
- თ. რათამცა ეკკლესიურის ღვთის მსახურებასა ზედა დაუტევებლივ და კეთილჟამიერად მოვიდოდნენ ყოველნივე მონასტრისა ძმანი, გარდა მათისა, რომელნიცა მოუცილებლად არიან შეცულ საკუთართა მორჩილებითა და გარდა წინამძღვრისა, რომელიცა მიზიდულ იყოს სხვითა თანამდებობითა, მაგალითებრ სასწავლებლისათა.
- ი. კეთილწესიერებისათვის მონასტრების ეკკლესიებთასა ბლალოჩინსა მონასტრებთასა თანა ამას ავნდეს დაცვა შემსგავსებითა მისდამი, რაჟცა წარწერილ არს ბლალოჩინისადმი სამრევლოთა ეკლესიებთასა ინსტრუქციასა მასსა.

### კეთილწესიერებისათვის მონასტრისა და კეთილის ყოფაქცევისათვის

- ია. შესახებ დაწყობილებისა ძმათასა და კეთილწესიერებისათვის მონასტრისა ბლალოჩინი დაიცავს რათამცა დაცული იქმნებოდნენ ვითარცა ძველნი საზოგადონი მონაზონებრნი კანონნი, ესასეთასე წარმოწერილნიცა სასულიერო რელაამენტისა შინა და საკუთართა მონასტერთ ტიპიკონთ შინა.

- იბ.** რათამცა მორჩილება ძმათა მიერ წინამძღვრისადმი იყოს სრულ, ხოლო უფლება წინამძღვრისა მამობრივ და სასულიერო, მქონი საგნად არათუ მხოლოდ ერთისა გარეგანისა წერისა არამედ სულითისაცა ცხოვნებისა ყოველთასა და თვითოეულისა.
- იგ.** რათამცა უმახლობელესისა სასულიეროჲსა ხელთმძღვანელობისა და ხშირისა გამოცდისა და განწმედისათვის სვინიდისისა თვითოეული ძმათაგანი იყოს დადგომილსა მიმოქცევასა შინა უხუცესსა თანა, რომელსაცა სარწმუნების იგი ჟამსა აღკვეცისა ანუ მონასტერში შემოსვლისა, ანუ მონასტრის საზოგადოსა მოძღვარსა თანა.
- იდ.** რათამცა ძმანი ტანსაცმელსა, შინა განგაწყობასა სადგომას სახლისასა და ყოველთა სახლისა ნივთთა შინა დაიცავდენ თვისებულსა მონაზონის წოდებისადმი სიმარტივესა, განშვენებულსა მხოლოდ სიწმიდითა და სისუფთავითა და რათა თვით წინამძღვარნი მისცემდნენ მას შინა მაგალითსა, უცხოქმნილნი ყოველსავე გაბრწყინებისა და მდიდურობასაგან.
- იე.** რათამცა წესი საზოგადოჲსა ტრაპეზისა დაცულ იყოს დაურღვევლად და არვინ განსდრკეს ოდეს მისგან, თვინიერ შესანდობლისა მიზეზისა, რომელსაცა შინა ჯერ არს რჩევად და წინამძღვართადმცა შტატის მონასტერთათა შეძლებისამებრ შემსგავსებად მაგალითისათანა საზოგადო ცხოვრებათასა.
- ივ.** რათამცა ძმანი დამცველნი მონასტრულის მყუდროებით ცხოვრებისანი რაოდენ შესაძლო არს უფრო მცირედ მიიღებდნენ თვისდა უცხოთ და რაოდენ შესაძლო არს იშვიათად განეშორებოდენ მონასტერისაგან და რათა საკუთრად არცა იგი და არცა მეორე არა ნებადართულ იქმნებოდეს დაგვიანებულისა მწუხრისა ჟამსა შინა.
- იზ.** რათამცა ძმანი დროთა შორის ღვთიმსახურებისათა არა განატარებდენ ჟამსა უქმად, არამედ შურებოდნენ კითხვასა შინა სულის სასარგებლოთა წიგნთასა, შესაბამთა ხელთაქმრობათა და სხვათა საქმეთა შინა მონასტრულის მორჩილებისათა.
- იჭ.** რათამცა ძმანი შტატის მონასტრებთან მიმსაქმელსა მათდა ჯამაგირსა და შემოსავლებსა მოიხმარებდენ ნამდვილთა საჭიროებათა და კეთილის ყოფასა ზედა გლახაკთასა, და არა ხარჯთა ზედა უსარგებლოთა, ანუ წინააღმდეგთა ზომიერებასა და კრძალულებასადმი, რომელსაცა შინა უკეთუ ვინმე შენიშნულ იქმნების, მაშინ ესევეითარსა შემოსავალნი ხელში არა მიეცემოდენ, არამედ დაიცვებოდენ იგინი და მოხმარებოდენ მისის საჭიროებასა ზედა ბარათითა ზედამხედველობასა ქვეშე ხაზინადარისა, ანუ სხვისა კეთილსაიმედოჲსა ძმათაგანისასა განხილვისამებრ წინამძღვარისა.
- ით.** რათამცა ძმანი ყოველსავე იქმოდნენ შენდობითა წინამძღვრისათა.
- კ.** რათა წინამძღვარნი ხშირად განიხილვიდენ სენაკებსა ძმათასა ზედამხედველობასა და სასარგებლოჲსა დარიგებისათვის.
- კა.** რათამცა შთავარდნილნი შეცოდებასა და გარდახდომილებასა შინა მეცადინობითად წინამძღვრისა და უხუცესთა მიერ განხმობილ იქმნებოდნენ განმართვისადმი და განუმართავთათვის მოხსენებულ იქმნებოდენ ეპარხიის მღვდელმთავრისადმი წინამძღვრისა მიერ უხუცესისა ძმებითურთ.

## სახლის მეურნეობისათვის

- კბ.** შესახებ მონასტრულისა სახლის მეურნეობისა ბლალოჩინი დაიცავს, რათამცა ყოველი შემოსავალი და ხარჯი დაუყოვნებელად შთაწერილ იქმნენ წიგნებთა შინა სათანადოთა ხელის მოწერითა მიღებულისათვის ფულისა.
- კგ.** რათამცა მონასტრის ფული დაიცვებოდეს მოუცილებლად შესამოსლის საცავსა შინა, ანუ უშიშარსა სალაროსა შინა ბეჭდითა წინამძღვრისა, ანუ მისის მოადგილისათა და კლიტითა ხაზინადრისათა.
- კდ.** რათამცა სახლის მეურნეობასა სამზადისნი იქმნებოდნენ კეთილჟამიურად და გაშინჯვით ხაზინადრისა ანუ ეკონომოსისა მიერ ზედამხედველობასა ქვეშე წინამძღვრისა ანუ მისის მოადგილისასა, რჩევითა ოდესცა საჭირო იყოს მცოდნეთა ძმათაგანთათა.
- კე.** რათამცა მონასტრის შენობანი გულმოდგინებით იქმნებოდნენ გამაგრებულ და შეძლებისამებრ არამიშვებულ სიძველისადმი.
- კვ.** რათამცა ყოვლისავე მონასტრის საკუთრებისა იყვნენ სჯულიერნი წერილნი და რათამცა ყოველივე დაიცვებოდეს მართლად.
- კზ.** რათამცა მონასტრის ბეგარის მომცემნი ადგილნი გაცემულ იქმნებოდნენ ნებართვითა ეპარხიის მთავრობისათა.
- კჟ.** რათამცა მონასტერთა შინა არაწინათმილებულ იქმნებოდნენ შენობანი და განახლებანი შენობათა, არა საჭიროთა და უსარგებლოთა ხოლო საჭირონიცა, გარდა მცირედთა და არა მომთმენთა დროთასა წინამიღებულ იქმნებოდეს ნებართვითა ეპარხიის მღვდელმთავრისათა.
- კთ.** რათამცა არა იყვნენ არავითარნი მეხარჯენი, არასაჭირონი და უკანონონი, და რათამცა ხარჯნი განსაზღვრებულნი ყოველ წლობითითა საჭიროებითა, ხოლო შემთხვევითანი, რომელნიცა მოითხოვდნენ არა მცირედსა ფულის რიცხვსა იქმნებოდნენ ნებართვითა ეპარხიის მღვდელმთავრისათა.
- ლ.** რათამცა წინამძღვარნი საკუთრად იყვნენ დამზოგველ ხარჯთა თვის ზედა, და ძმათა ზედა, მაშინ ოდესცა თვით მონასტერი ითხოვდეს საკუთართა ხარჯთა თვისისა გაკეთებისა, ანუ შემაგრებისათვის.

## საშუალოებათათვის მხედველობისათა

- ლა.** დაცვისათვის ზემორე აღნიშნულთა საგანთამებრ ბლალოჩინი მიმოიხილავს და გაშინჯავს თვითოეულსა მონასტერსა ერთგზის ანუ ორგზის წელიწადში, ხოლო თუ საჭირო იქმნების, მაშინ ხშირადცა და ესევითარისა მოხილვისათვის მოახსენებს ეპარხიის მღვდელმთავარსა.
- ლბ.** საკუთართა შემთხვევათათვის მიიღებს იგი ცნობათა წინამძღვართაგან, რომელთამებრაცა უკეთუ დაინახავს საჭიროდ მალემარ წასვლად ადგილობრივ, უსარწმუნოესისა ცნობისათვის და გარემოეშინის მოხსენებისათვის ეპარხიის მღვდელმთავრისადმი.
- ლგ.** სამღვდლო მონაზონნი და მორჩილნი, მომსვლელნი ქალაქსა შინა სადაცა იმყოფების ბლალოჩინი მონასტრებისა თანამდებ არიან გამოცხადებოდნენ მისდამი და განუცხადებდნენ თუ რაფსათვის მისრულან, სად დაივანეს და დიდსა ხანსა დაჰყოფენ. მათთვის, რომელნიცა

ხშირად, ანუ თვინიერ საჭიროებისა გარდადიან მონასტრითი მონასტრად, გინა სცხოვრობენ გარე მონასტრისა, ბლალოჩინი თანამდებ არს მოახსენებდეს ეპარხიის მღვდელთმთავარსა, არამედ მითკვალადუმეტეს მათთვის, რომელნიცა შეინიშნებიან წინა საკიცხელთა ქცევათა შინა.


#### უფლებისათვის მონასტრებთ ბლალოჩინისა

- ლდ.** ბლალოჩინსა რწმუნებულთა მხედველობისადმი მისისა მონასტრებთა შინა აქვს უფლება ყოველივე განიხილოს და ყოველსა შინა მოსთხოვოს ანგარიში და პასუხი.
- ლე.** იგი მისცემს წინამძღვართა სასარგებლოთა რჩევათა და სჯულიერთა დარიგებათა ცალკე, ხოლო ოდესცა მიუცილებელ საჭირო არს, მაშინ მუნ დასწრებასაცა შინა ძმათასა, დაცვაითა სხვებრ შესაბამისა პატივისა დებისათა ადგილის მთავრობისადმი.
- ლვ.** იგი დაარიგებს ძმათა თანდასწრებითა წინამძღვრისათა და თანხმობითა ძალუძს დადება კანონისა გარდახდომილებათათვის.
- ლზ.** გარდა ამა საზოგადოხსა, მიხედვითა საჭიროესამებრ იგი შემძლებელ არს გამოთხოვად ეპარხიის მღვდელმთავრისაგან საკუთარისა შემსგავსებულისა გარემოებითადმი დარიგებასა ანუ მიიღოს იგი განხილვისამებრ თვით მღვდელმთავრისა

#### მხედველობისათვის დედათ მონასტერთასა

- ლქ.** ზედამხედველობა დედათ მონასტერთა შესაძლო არს შთაბარდეს ბლალოჩინსა მამათ მონასტერთასა; ხოლო უკეთუ არს სიმარჯვე, მაშინ შესაძლო არს აღრჩეულ და დადგინებულ იქმნეს ზედამხედველი კეთელ წესიერებისა ილუმენიათაგანი, ანუ უკვე უხუცესთა მონასტრისა დათაგანი, სადაცა იგი არს ერთი.
- ლთ.** ზედამხედველობასა შინა დედათ მონასტერთასა ჯერ არს შემსგავსებად ზემორე აღნიშნულთა კანონთადმი, რაოდენ ნებასრთვენ გარემოებანი ამა მონასტერთანი.
- მ.** რათამცა შემცირებულ იქმნას საჭიროება სიარულისა მონასტრიდამ, სათანადო არს რჩევად რათამცა შტატის დედათ მონასტერთაცა შინა დაწესებულ იყოს საზოგადო ტრაპეზი.
- მა.** სჭვრეტდეს რათამცა მცხოვრებნი დედათ მონასტერთა შინა, თითქმის არა განწესებულნიცა უქაზითა, არაშეიმოსდენ საეროთა სამოსელთა თუ არ საჭიროებასა გამო და მასცა შავსა და ესრეთსა, რომელიცა სიმდაბლისაგან რაოდენ შესაძლო არს უფრო მცირედ სხვაობდეს მონაზონისა ანუ მორჩილისა ტანს საცმელისაგან.
- მბ.** რათამცა სენაკებთა შინა არა იყვნენ ხმარებულ მოსამსახურედ გვამნი სხვისა სქესისანი, ვითარ იგი ოდესმე შენიშნულ იყო შემოსრულთა მონასტერსა შინა კეთილშობილთა შორის, და რათამცა საზოგადოდ შემავალნი მონასტერსა შინა დაუტევებდენ ყოველთავე ჩვეულებათა საეროხსა ცხოვრებისასა, რომელნიცა არა თანამსგავსებენ სიმდაბლესა, მყუდროებასა და სიმშვიდესა, თვისებულთა მონასტრულისა ცხოვრებისადმი.

ნამდვილი ხელმოწერილ არს უწმიდესის მმართველის სინოდის მიერ  
ნამდვილისა თანასწორ არს — ბლალოჩინი მონასტერთა არხიმანდრიტი გერონტისი“



ეს „მოძღვრება“ საინტერესოა, რადგანაც გვანჯდის ცნობებს XIX ს. მონასტრების ტიპიკონთა ზოგადი სახის შესახებ და ამასთან, პირველად გვხვდება წესდება დედათა მონასტრისათვის, რომელიც უნდა ყოფილიყო „შემსგავსებული ზემოთ“ (ანუ მამათა მონასტრების)

კანონთადმი რაოდენ ნებართვენ გარემოებანი ამა მონასტერთანი“ (ამ დროისათვის დედათა მონასტერი ოფიციალურად მხოლოდ სამთავროში იყო დაწესებული). არქიმანდრიტი გერონტი „ბლაგოჩინად“ დანიშვნისთანავე შესდგომია მონასტერთა საქ-

მეების მონესრიგებას. 1856 წ. 7 ივნისის წერილში მას დაუვალეობა სამთავროს დედათა მონასტრის მმართველ ხაზინადარ ქრისტინესათვის, რათა მას ინსტრუქციის მიხედვით წარედგინა მონაზონთა რაოდენობა, მათი ვინაობა, ხელფასის ოდენობა, ყოფა-ქცევა, შემოსავალ-გასავალი, შემოწირულებანი და სხვ. [44]. სამწუხაროდ, ამ წერილის პასუხი არ შემორჩენილა.

1857 წ. წყალდიდობის დროს, მთიდან ჩამოზვავებულ მეწყერს ძალზე დაუზიანებია მონასტრის გალავანზე მიდგმული სენაკები. მონასტრის გამგებელ მინადორას სენაკთა შეკეთება განუზრახავს (გვ. 5), რაც შესრულებულა კიდეც. სენაკები შეუკეთებია არქიტექტორ სოკოლოვს. აქვე დაცულია პატაკები ჩატარებულ სამუშაოზე (გვ. 6) [24, ფ. 489, №17796].

1858 წ. 30 დეკემბრის საბუთი საინტერესოა იმით, რომ მასში აღნიშნულია თამარ (იულონის ასულ) ბატონიშვილის მიერ მონასტრისათვის შეწირული სახლები, თუმცა დადგენილი არ არის მათი მდებარეობა [44].

1859 წ. საბუთში საუბარია ბერძენ თევდორე სიმონოვის მიერ სამთავროს შეკეთების თაობაზე, მაგრამ არ ჩანს თუ სახელდობრ რა შეკეთდა. აქ საუბარია მხოლოდ თანხობრივ გარიგებაზე [24, ფ. 489, №18985].

1860 წ. ხელახლა გადაუხურავთ კრამიტით სამთავროს ტაძრის სამხრეთის კარიბჭის სახურავი.

მონასტრის წინამძღვრის — ილუმენია მინადორას წერილში საქართველოს ეგზარქოს ევსევის (ილინსკი 1858-1877 წწ.) მიმართ, ტაძრის ეს ნაწილი დასახელებულია, როგორც „მთავარ ანგელოზის კარისბჭის ეკლესია“ [ 24, ფ. 488, №19207, გვ. 1,3]. ეს ეკვდერი მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე უკურთხებიან 1857 წლის შემდეგ, რადგან, როგორც გვახსოვს, 1857 წ. ჯერ კიდევ მონაზონ მინადორას „მხურვალე სურვილით“ უთხოვნია ეგზარქოს ისიდორესათვის „რათამცა ტრაპეზი ამა კარისაბჭის ეკლესიის განმზადებულ იქმნეს რომელსამე დღესასწაულისათვის განხილვისამებრ თქუენისა“ [ 24, ფ. 488, №16738, გვ. 10]. სავარაუდოდ, ეს კურთხევა უნდა ჩატარებულიყო 1858 წ. 23 მარტს (ძვ. სტილით), აღდგომა დღეს, როდესაც დაუსრულებიან კარისბჭის ეკვდერის ხის კანკელის აგება.

1860 წ. 4 თებერვალს წინამძღვარ მინადორას მიუმართავს ეგზარქოს ისიდორესათვის, რათა მას ნება დაერთო, სამთავროდან იმერეთში წასული მონაზვნების — ქრისტინეს (ოქროპირიძე) და რიფსიმეს ნაცვლად, შტატში აეყვანა და ხელფასი დაენიშნა მონაზონ ნინოსა და ევგენიასათვის [ 24, ფ. 488, №19316]. მონაზონი ნინო, შემდგომში სამთავროს მონასტრის ღვაწლმოსილი წინამძღვარი ნინო ამილახვარი, მონასტრის დამაარსებლის და პირველი წინამძღვრის, ნინო ქრისტეფორეს ასულ

ამილახვრის ძმისწული ყოფილა. იმ დროისათვის, დიდი მამიდის მოსახელე ნინო, 41 წლისა იყო. ამ საბუთიდან ირკვევა ისიც, რომ სასულიერო მმართველობას ნინო განუწესებია სამთავროს მონასტერში და აღუკვეცავს მონაზვნად 1855 წლის 19 ივნისს. აღნიშნულ დრომდე იგი შტატგარეშე მონაზვნად ითვლებოდა (დანვრილებით ნინო ამილახვრის — უმცროსი შესახებ იხ. აქვე გვ. 85-იდან).

უშტატო მონაზვნად ითვლებოდა აგრეთვე მონაზონი ევგენიაც, 64 წლისა, რომელიც სამთავროს მონასტერში განწესებულია 1853 წ. 14 თებერვალს, ხოლო მონაზვნად უკურთხებია არქიმანდრიტ ტარასის 1856 წ. 15 ივნისს. ამ საბუთში ნინოსა და ევგენიასთან ერთად დასახელებულია მორჩილი ელისავეტაც (ელისაბედი), 41 წლის, რომელიც მონასტერში განწესებულია 1853 წ. 4 ივლისს. შემდგომ ფორმულარულ სიებში მისი სახელი აღარ გვხვდება.

ეგზარქოსს ორივე მონაზონი აუყვანია შტატში. მონაზონ ნინოს მადლობა გადაუხდია ყურადღებისათვის, თუმცა უარი უთქვამს ხელფასზე, რადგანაც მისივე სიტყვებით: „... ნიადაგ თითქმის შეპყრობილ უძღურებითა, არ ძალმიძს აღსრულება მონასტრულის სამსახურისა თანასწორ სხვათადათა თანა. ამა მიზეზით სინდისი არ მაძლევს ნებას განცხადებად თანხმობისა მიღებასა ზედა მასსა“ [ 44]. იგივე ცნობაა დაცული ცენ-

ტრალურ ისტორიულ არქივშიც [24, ფ. 488, №19284]. როგორც ვხედავთ, მონაზონი ნინო ამილახვარი თავიდანვე გამოირჩეოდა უკიდურესი ზნეობრივი სინმინდით, რაც მრავალჯერ გამოვლინდა შემდგომში.

1860 წლის უკანასკნელი საბუთია მონასტრების წინამძღვართა ფორმულარული სიები. აქ ძირითადად მამათა მონასტრების წინამძღვრების შესახებაა ცნობები და მათ შორის არის მონაცემები იმ დროისათვის ჯერ კიდევ ერთადერთ ოფიციალურ დედათა მონასტრის წინამძღვარზე — ილუმენია მინადორაზე [24, ფ. 488, №19092, გვ. 9. 10].

1861 წ. 2 თებერვლის საბუთით დგინდება, რომ იმ დროისათვის დედათა მონასტერი ქუთაისშიც არსებულა, თუმცა ეს მონასტერი ოფიციალურად იყო თუ არა დამტკიცებული არ ჩანს. საბუთში აღნიშნულია, რომ სამთავროს წინამძღვარ მინადორას მონასტრიდან გაურიცხავს მორჩილი მაკრინე ფალავანდიშვილი „დაუდგრომელის და მოუსვენარი ხასიათის“ გამო და შეუთავაზებია მისთვის ქუთაისის დედათა მონასტერში გადასვლა: „ამასთანავე ნებასა გაძლევენ უკუეთუ გსურს მონასტერში ყოფა სთხოვოთ იმერეთის ადგილობრით მღუდელთ მთავარსა მიღება ქუთაისის დედათა მონასტერსა შინა“ — განუცხადებია ილუმენიას მაკრინე ფალავანდიშვილისათვის. როგორც ამ საბუ-

თიდან ჩანს, ილუმენია მინადორა განუხრელად იცავდა წესრიგს მონასტერში და საჭიროების შემთხვევაში განსაკუთრებულ ზომასაც მიმართავდა [44].

მაღალი ზნეობის კიდევ ერთ მაგალითს ვხვდებით 1861 წ. 11 იანვრის საბუთში [44]. ხაზინადარ ქრისტინეს სამთავროდან წასვლის შემდეგ ეგზარქოს ევსევის მის მაგივრად ხაზინადრად დაუნიშნავს მონაზონი ულუმპია გედევანიშვილი (დაბადებული 1823 წელს, სამთავროშია 1842 წლიდან, 1846 წლიდან — მონაზონი), მაგრამ მას უარი უთქვამს ამ თანამდებობაზე: „თუითონუე უკეთ უწყი რომ მე ვარ დაურდომილი აუანტყოფობისა გამო და არა ძალმიძს აღება უაღადამა თანამდებობისა და გთხოვთ თქუენო მაღალ ღირსებაუ აცნობოთ ეს მოხსენება ყ~დ უსამღუდელოესობას, რათა მათცა ინებონ განთაუისუფლება“ — ასე მიუმართავს ღირსეულ დედას ილუმენია მინადორასათვის. 1861 წ. 16 სექტემბერს ულუმპია გედევანიშვილის ნაცვლად მონასტრის ხაზინადრად მონაზონი ანუსია კობიევი (კობიაშვილი) დაუმტკიცებიათ.

1861 წ. მაისში ილუმენია მინადორას დავალებით, მონაზონ ევდოკია ბარათოვს (ბარათაშვილი, დაბადებული 1819 წელს, სამთავროშია 1854 წლიდან, 1860 წლიდან — მონაზონი) თბილისში, მოქალაქეების შემოწირულებით შეუგროვებია „ათი თუმანი და

სამი მანათი.“ ამ თანხით მასალა შეუძენიათ თამარ ბატონიშვილის ნაჩუქარი სახლის შესაკეთებლად, საქმეს კი სათავეში მღვდელი იოანე მრევლოვი (მრევლიშვილი) ჩასდგომია [44]. 1861 წ. აგვისტოსთვის სახლის სახურავი უკვე შეუკეთებიათ და წინამძღვარ მინადორას დარჩენილი თანხით ტაძარზე მიდგმული მარნის კრამიტით გადახურვის ნებართვა უთხოვია [44].

1862 წ. წინამძღვარი მინადორა კვლავ მონასტრის შეკეთებაზე ზრუნავს. 13 ივნისს იგი აუწყებდა ეგზარქოს ევსევის მონასტრის სენაკებისა და ობლების სახლის სახურავის დაზიანების თაობაზე. როგორც ჩანს, ამავე დროს ჩამოუყალიბებიათ სენაკების აღდგენის კომიტეტი, რომლის წევრად ილუმენია მინადორასთან ერთად მცხეთის დეკანოზი ანდრო გურგენიძე დაუნიშნავთ [ 24, ფ. 488, №21454, გვ. 174].

1862 წ. ფორმულარულ სიაში [44] აღნუსხულია 8 მონაზვნის და 7 მორჩილის მონაცემი, რომლის მიხედვით, მონასტრის

#### **1862 წლისათვის სამთავროს მონასტრის დედეგი ყოფილან:**

##### **წინამძღვარი**

**მინადორა (მართა)** — აზნაურ ავთანდილ ფურცელაძის ასული, დაბადებული 1800/4 წ.

##### **ხაზინადარი**

**ანუსია (ანასტასია)** — აზნაურ სვიმონ კობიევის ასული, დაბადებული 1802/8 წ.

##### **მონაზვნები:**

**ულუმპიადა** — თავად დავით გედევანოვის ასული, დაბადებული 1823 წ.

წინამძღვარი კვლავ მინადორა ფურცელაძეა, ხაზინადარი კი — მონაზონი ანუსია — „აზნაურ კობიევაგან“ (კობიაშვილი). დაბადებული 1808 წ. სამთავროში მოსულა მორჩილად 1834 წლის 20 ივლისს. მონაზვნად აღუკვეცავს არქიმანდრიტ იოანეს 1846 წლის 2 დეკემბერს მცხეთის „სობოროში“ (სვეტიცხოველი). ხაზინადრად კი დაუმტკიცებია ეგზარქოს ევსევის 1860 წლის 16 სექტემბერს. მას კეთილად უღვანია სამთავროში და საფლავის ქვის წარწერის მიხედვით გარდაცვლილა 1871 წლის 6 იანვარს 62 წლის ასაკში. იგი განისვენებს სამთავროს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან, ქრისტინე ოქროპირიძის საფლავის გვერდით (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები). ერთ-ერთი ადრეული საბუთის მიხედვით, ანუსიას საერო სახელი ყოფილა ანასტასია [ 24, ფ. 489, №2721, გვ. 109] და სამთავროში მოსვლამდე უმოღვანია თბილისის მთაწმინდის ფერისცვალების ეკლესიაში.

**ნინო** — თავად ... ამილახვარის ასული, დაბადებული 1815 წ.

**ეპრაქსია (მელანია)** — თავად უთაურთ ხიმშივეის ასული, დაბადებული 1818/22 წ.

**მარიამი (მაურა)** — მღვდელ ესტატე ხარატივეის ასული, დაბადებული 1819 წ.

**ვეგენია** — აზნაურ ... ზაბუღინის ასული, დაბადებული 1795 წ.

**ვედოკია** — სახელმწიფო მონარჯე ... ბარათოვის ასული, დაბადებული 1819 წ.

**მოწილები:**

**პარასკევა** — აზნაურ ... ჯორავეის ასული, დაბადებული 1830 წ.

**მატრონა** — თავად ... ტუსივეის ასული, დაბადებული 1843 წ.

**მარიამი** — გლეხ ... კირაკოზოვის ასული, დაბადებული 1829 წ.

**ბარბარე** — ... ლეგა გაბიდაურის ასული, დაბადებული 1839 წ.

**თამარი** — თავად პეტრე ჭავჭავაძის ასული, დაბადებული 1829 წ.

**მარიამი** — გლეხ ... ბოდაულის ასული, დაბადებული 1840 წ.

**მარიამი** — მოქალაქე გიორგი სარუხანოვის ასული, დაბადებული 1840 წ.

სრული მონაცემები იხ. მონასტრის დედათა თანდართულ ანბანურ სიაში.

იგივე შემადგენლობის ჩანს მონასტერი 1864 წელსაც, ოღონდ მარიამ ბოდაულისა და მარიამ სარუხანოვისთვის დაურქმევიათ ახალი სახელები — მაგდა და სოფიო [44].

1863 წ. 15 სექტემბერს გარდაცვლილი ილუმენია მინადორას ნაცვლად ამავე წლის 8 ოქტომბერს მონასტრის განმგებლად დაუნიშნავთ ნინო (ანა) ამილახვარი, სამთავროს დედათა მონასტრის დამაარსებლის ნინო ქრისტეფორეს ასულ ამილახვრის ძმისშვილი. ანა ამილახვარი დაბადებულია 1815 წლის 26 იანვარს სოფელ საამილახვრო ჭალაში. ნაადრევად დაობლებული მამიდას აღუზრდია მონასტერში. მას „უსწავლია საღმრთო წერილი,

წერა და ხელსაქმე ამავე მონასტერსა შინა“ [44]. მამიდის გარდაცვალების შემდეგ (1839 წ.), მონასტერში დარჩენილა და იქ უცხოვრია თავისი ხარჯით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1835 და 1847 წლების სიებში იგი მონასტრის დედათა შორის არ მოიხსენიება. ნინოს სახელით მონაზვნად აღკვეცილა მხოლოდ „დიდის ხნის ცხოვრებისა მცხეთის მონასტერში მიტროპოლიტის ისიდორეს განკარგულებით.“ მონაზვნად იგი აღუკვეცავს არქიმანდრიტ ტარასის 1855 წ. 19 ივნისს მცხეთის „სობოროში“, ხოლო 1865 წ. 8 ოქტომბერს მონაზონი ნინო ამილახვარი (უმცროსი) ეგზარქოს ევსევის ილუმენიის ხარისხში აუყვანია.

აღსანიშნავია ცნობა, რომელიც შესაძლოა ნინოს ადრეული მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობდეს. იოსებ მეგრელიძის ნაშრომში, „სიძველენი ლიახვის ხეობაში“ აღწერილია ცხინვალის მახლობლად, სოფ. ხეითის საბანმინდის დედათა მონასტერი. ზეპირი გადმოცემის თანახმად, ამ მონასტრის უკანასკნელი წინამძღვარი ნინო ამილახვარი ყოფილა, „რომელიც მცხეთაში გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული,“ — გადმოგვცემს მკვლევარი [45, გვ. 65]. ეს ცნობა დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული, თუმცა სრულიად შესაძლებელია, გარკვეულ დროს, სამთავროში მოსვლამდე (დაახლოებით 1850-იანი წლები) ნინოს საბანმინდაში ელვანა.

მონასტრის განმგებლად დანიშვნისთანავე (1863 წლის 8 ოქტომბერს) ეგზარქოსს ევსევის წერილობით მიუმართავს მონაზონ ნინოსათვის, თუ როგორ უნდა შესდგომოდა იგი მონასტრის ხელმძღვანელობას:

„მოგანდობთ რა, თქვენ სამთავროს დედათა მონასტრის გამგებლობას წარმოგიწერთ:

1. რათა მიიღოთ თვისა უწყებასა ქვეშე აღწერისაებრ ქონება მონასტრისა და შესავალ-გასავლის წიგნები, თანადასწრებითა კაზნაჩეისა და სამთა დათა და შეადგინეთ მისთვის აკტი გარემოებითა და დანიშვნით: რაოდენი ფული არს ბილეთებად

და თვალად, ვითარცა შტატისა აგრეთვე სხვა შემოსავლისგან და ესრეთ აკტი მონასტრის ქონებათ სიის კოპიოთურთ წარმოადგინენ ჩემდამი.

2. მონაზონთა და მორჩილთა დაუდევით მოვალეობად, რათამცა იგინი აღმოაჩენდნენ თქვენდამო ყოველსა შინა სრულიადსა მორჩილებასა; ხოლო თქვენ იკინომიურ საქმესა შინა მოახდენდეთ განკარგულებას რჩევისამებრ კაზნაჩიისა და უფროსთა დათა; შემთხვევასა შინა იჭვნეულებისასა და გამეზლობისასა მოითხოვდენ ჩემგან ნება რთვასა, ფხიზლად უყურებდეთ კეთილმდგომარეობისათვის მონასტრისა და მონაზონთა ყოველთა შემთხვევათა შინა;

ხოლო რაჲც, შეეხების საკუთარისა ქონებისადმი განსვენებულის ილუმენია მინადორისა, დაიცევით იგი მონასტერსა შინა განმავლობასა შინა სამის წლისასა, და უკუეთუ იმ დროის განმავლობაში არ აღმოჩნდება მემკვიდრე მისაღებლად აღნიშნულის ქონებისა, მაშინ მიაქციეთ იგი სასარგებლოდ მონასტრისა მონასტრის სიასა შინა ჩანერითურთ. ოკდომბერს 3 დღესა ჩყჲგ-წელსა“ (1863 წ. 8 ოქტომბერი) [44].

მონასტერში დაცულ ამავე საქმიდან ვგებულობთ, რომ ნინო ამილახვარი დაუყოვნებლივ შესდგომია მონასტრის განმგებლობას. მონაზვნების დახმარებით მას წვრილად აღუწერია მო-

ნასტრის ქონება და შემოსავალ-გასავლის ანგარიშები. აღმოჩნდა, რომ იმ დროისათვის მონასტრის ანგარიშზე ყოფილა 195 რუბლი ნაღდი ფული და 70 რუბლის ბარათები. იქვე აღნიშნულია, რომ ილუმენია მინადორას დაკრძალვაზე ხაზინადარ ანუსიას დაუხარჯავს 97 რუბლი და ამ თანხის გასტუმრებას აპირებდნენ მინადორას პირადი ქონების გაყიდვის შემდეგ, თუ არ გამოჩნდებოდნენ მისი კანონიერი მემკვიდრეები. მონასტრის ქონების აღწერაზე ნინო ამილახვრის გარდა, ხელი მოუწერიათ, ხაზინადარ ანუსიას და მონაზვნებს — ულუმპიას, ევპრაქსიას და მარიამს (**სრული სია იხილეთ 139-ე გვერდზე**).

აქვე აღნიშნულია, რომ თავადის ქალს, ბარბარე ილიას ასულ ორბელიანს, სამთავროს მონასტრისათვის გადაუცია მისი გარდაცვლილი დის, ვერა ორბელიანის კუთვნილი, ოქროთი შეჭედილი და ვერცხლით დაფერილი ივერიის ღვთისმშობლის ხატი (გვ. 9). ნინო ამილახვარი ადასტურებს ამ ხატის მიღებას: „წარმოგზავნილი ხატი ივერიის ღვთისმშობლისა მივიღე და შევიტანე საეკლესიო ქონების სიასა შინა ვითარცა იყო ნაბრძანები“ — წერს იგი (გვ. 11). იმავე დროს სამთავროს ეკლესიაში მღვდელ მრევლოვს ვერა ორბელიანის პანაშვიდი გადაუხდია, ხოლო მისი სახელი შეუტანიათ მოსახსენიებელ წიგნში.

ქონების აღწერის შემდეგ, ნინო ამილახვარი შესდგომია სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგებას. მას უზრუნია მონასტრის პურიტ მომარაგებაზე და საამშენებლო ხის მასალის შეძენაზე მონაზონთა სენაკების აღსადგენად (გვ. 6, 8). მონასტრის კორესპონდენციები ფერხდებოდა, რადგან წერილები მხოლოდ შიკრიკის ხელით იგზავნებოდა. ამის გამო, ნინოს საეკლესიო მმართველობისათვის უთხოვია „დადგენა ვალად ზედამხედველობისადმი მცხეთის პოჩტის სტანციისა, რათა მიიღებდეს ხელისმონერით ყოველსა დროსა პაკეტთა მონასტრისათა და პირველსავე შემთხვევით წარგზავნიდეს მათ კუთვნილებისამებრ პოჩტალიონის ხელით“, რაც შეამსუბუქებდა მონასტრის საკორესპონდენციო საქმიანობას (გვ. 7).

მომდევნო საბუთში (1863 წ. 15 ნოემბერი), რომელსაც ხელს აწერს მონასტრის გამგებელი ნინო ამილახვარი, საუბარია მონასტრის ძეგვის ბალის და მებაღეების — დარახველიძისა და ციციევის შესახებ. აქვე ნახსენები არიან მცხეთის დეკანოზი (ანდრო) გურგენიძე და მღვდელი მრევლოვი. ასევე ნათქვამია, რომ 1855 წ. მონასტრის გამგებელი ყოფილა ხაზინადარი ქრისტინე

სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი — ილუმენია ნინო ამილახვარი (უმცროსი).



ოქროპირიძე, რომელსაც ძეგვის ნაკვეთის მოვლა დაუვალებია მეზალე დარახველიძისათვის [24, ფ. 488, №20703, გვ. 9, 10].

როგორც ჩანს, ნინო ამილახვრის განმგებლად მოსვლის შემდეგ მონესრიგებულამონასტრის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა. შემორჩენილია 1864 წ. სამონასტრო შემოსავალ-გასავლის უწყისი, ხელმოწერილი ნინო ამილახვრის მიერ [44]. შემდგომში ამგვარი ე.წ. „ვედომოსტები“ ყოველწლიურად დგებოდა.

ერთ-ერთი უთარილო საბუთიც ხელმოწერილი მონასტრის განმგებელ ნინოს მიერ, ამავე დროისა უნდა იყოს, რადგან ნინო განმგებლობდა 1863-1865 წლებში. ამ წერილში ნინო მოკლედ აღწერს სამთავროს ისტორიას და აღნიშნავს, რომ სამთავროს დედათა მონასტერი „მხოლოდითია (ანუ ერთადერთია) საქართველოსა შინა“ და ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის. ამასთან, იგი დასძენს ეგზარქოს ევსევის შემწეობას მონასტრის განახლებაში. მას განზრახული ჰქონია სამთავროს ტაძარზე კარიბჭის მიშენება დასავლეთის მხრიდან „შეუცვლელად აწინდელისა მისისა სახისა.“ დაბოლოს, ნინო მოუწოდებს „კეთილმოსურნეთ“, რათა შემოწირულობებით დაეხმარონ მონასტერს [44].

მონასტრის განმგებლად დანიშვნამდე ნინოს ეგზარქოსისათვის გამოუთხოვია ნება,

რათა მოეთხოვა შემწეობა კეთილმორწმუნე ქრისტიანთაგან. მართლაც, წინამძღვარ ნინოსადმი მიძღვნილ, 1915 წ. გამოცემულ წიგნში აღნიშნულია, რომ მან „მოვლო მთელი თბილისი, კავკავი, მოზდოკი, პიატიგორსკი, ახალციხე, აბასთუმანი, შეკრიბა საკმაო ფული, გაამშენებინა მონასტერი და ეკლესიას მოუპოვა საეკლესიო და სამღვდელო ნივთები. ამგვარი ღვაწლისათვის 1865 წ. 8 ოქტომბერს ექსარხოსის ევსევისაგან ნინო აღყვანილ იქმნა ილუმენიის ხარისხზედ სამთავროს წმიდის ნინოს მონასტრის ეკლესიაში“ [46, გვ. 22].

როგორც ჩანს, წინამძღვარ ნინოს საკმარისი შეუგროვებია და 1865 წ. მისი თაოსნობით სამთავროში დაუწყიათ დაზიანებული სატრაპეზოს და სამზარეულოს მშენებლობა. პროექტი შეუდგენია არქიტექტორ მ. ოსტროვსკის. ერთ-ერთ საბუთში დაცულია ამ ერთსართულიანი სატრაპეზოს ნახაზები — ფასადი და ჭრილები [24, ფ. 489, №23937, გვ. 40].

1865 წ. ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანა დაუსახავთ მიზნად, რაც თავისთავად სასიკეთო უნდა ყოფილიყო, თუმცა სამთავროს მონასტრისათვის პრობლემა შეუქმნია. საქმე ისაა, რომ მონასტერს ძეგვში დიდი ვენახი ჰქონდა, რკინიგზის ხაზს კი ზედ ვენახზე უნდა გაეწყო. ამ გარე-

მოების შეტყობისთანავე წინამძღვარ ნინოს უცნობებია ეგზარქოს ევსევისათვის: „შევიტყვესარწმუნოდ, რომე კავკასიის აქეთ წინაგანზრახულის რკინის გზისათვის იჭრება ნაწილი ძეგვის მონასტრის ზვრისა, იმოდენი და ისეთს ადგილს, რომე დანაშთენი სივრცე მისი ჰკარგავს სრულებით თვისს ღირსებას“ — იუწყებოდა შემფოთებული ილუმენია. ამგვარად, „მხოლოდითსა საქართველოსა შინა მართლმადიდებლობით დედათ მონასტერს“ შემოსავლის დიდებული წყარო ეკარგებოდა, რამეთუ გუბერნიაში ძნელად თუ მოიძებნებოდა სხვა ვენახი, რომელსაც „ძალედვა ღირსებასა შინა თვისის ნაყოფისასა შედარება მონასტრის ზვრისთანა.“ ამიტომ წინამძღვარს ეგზარქოსისთვის შემწეობა უთხოვია. კერძოდ, იგი მოითხოვდა რკინიგზის საფარის ქვეშ გასასვლელი ღიობების დატოვებას საურმე გზისა და სარწყავი რუებისათვის, რათა ვენახის დარჩენილი ნაწილის სრულყოფილი მოვლა მაინც შესძლებოდათ [44]. ამ საქმიდან არ ჩანს შესრულდა თუ არა ეს სამუშაო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ შესრულდა, რადგან ძეგვის ბალი კიდევ დიდხანს იყო მონასტრის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

როგორც გვახსოვს, ჯერ კიდევ წინამძღვარ დარიას დროს, 1847 წელს, მონასტერში ირი-

ცხებოდა 10 გოგონა, რომელთაც საღმრთო წერილს და ხელსაქმეს ასწავლიდნენ. მონასტერი შემდგომაც პატრონობდა ობოლ ბავშვებს. წინამძღვრად დანიშვნის შემდეგ ნინო ამილახვარს დაუწყია ზრუნვა ოფიციალური სასწავლებლის დასაარსებლად. მისი თაოსნობით 1866 წლის 20 იანვარს რუსეთის უწმინდეს სინოდს გამოუცია ბრძანება სამთავროს დედათა მონასტერში სასულიერო წოდების გოგონათა სასწავლებლის დაარსების შესახებ. შეუმუშავებია სასწავლებლის დეტალური განაწესი და დაუდგენია მისი შენახვის ეკონომიკური საკითხები [24, ფ. 489, №24668, გვ. 1-3].

„სამღვდელო ობლების სასწავლებელი“ ოფიციალურად გაიხსნა 1866 წ. 29 მარტს. სკოლის შესანახად საეკლესიო ხაზინას ყოველწლიურად 1000 რუბლი უნდა გამოეყო. სკოლის მმართველად და მზრუნველად დაუნიშნავთ სასწავლებლის დამაარსებელი წინამძღვარი ნინო. სასწავლებლის მმართველობაში სამი წევრი შედიოდა: ილუმენია, ზედამხედველი ქალი და სასულიერო პირი მცხეთის ტაძრიდან, რომელსაც გოგონებისთვის საღვთო სჯული უნდა ესწავლებინა. წერა-კითხვისა თუ ხელსაქმის შესასწავლად და დაწყებითი განათლების მისაღებად კიდევ ორი აღმზრდელი ქალი ყოფილა დანიშნული (მონაზვნე-

ბი). სასწავლებლის მომსახურე პერსონალად უნდა განენესებინათ მონასტრის მორჩილები სურვილის მიხედვით ან გარეშე პირები შესაბამისი ჯამაგირით სასწავლებლის ხარჯიდან.

სახაზინო ხარჯით სკოლაში 20 გოგონას უნდა ესწავლა. სწავლის უპირატესობა ეძლეოდათ დედ-მამით ობოლ, უპატრონოდ დარჩენილ გოგონებს.

სასწავლებელში მიიღებოდნენ 9-12 წლის ასაკის გოგონები. სწავლება დანესდა სამ კლასად — დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი; სწავლების ვადა ექვსი წელი იყო.

სასწავლო პროგრამა შედგებოდა შემდეგი საგნებისგან: საღვთო სჯული ან კატეხიზისი რუსულ და ქართულ ენებზე; წმინდა წერილი და ეკლესიის ისტორია, განსაკუთრებით ქართული ეკლესიის ისტორია; ქართული საეკლესიო და საერო ენა; რუსული და ნაწილობრივ სლავური საეკლესიო ენა; არითმეტიკა; გეოგრაფიის მოკლე კურსი, ვრცლად — რუსეთის და საქართველოს გეოგრაფია; რუსეთის მოკლე ისტორია; საქართველოს ვრცელი ისტორია; საეკლესიო გალობა რუსულ და ქართულ ენებზე; სუფთა წერა და საკუთარი აზრის გადმოცემის დახვეწა ამ ენებზე; სხვადასხვა ხელსაქმე; განსაკუთრებით საეკლესიო ტანსაცმლის კერვა; სამეურნეო საქმიანობის შესწავლა.

სასწავლებელი საეკლესიო მმართველობას წელიწადში ორჯერ უნდა შეემოწმებინა.

პედაგოგებად და აღმზრდელებად შესაძლოა ყოფილიყვნენ მცხეთის ტაძრის და სამთავროს დედათა მონასტრის მღვდელმსახურები, მონაზვნები და მორჩილები ილუმენიისა და ზედამხედველის წარდგინებით, ასევე თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებულები.

სწავლება უნდა ჩატარებულიყო ყოველ დღე კვირა დღისა და დღესასწაულების გარდა; ორი გაკვეთილი დილით და ერთი — სადილის შემდეგ.

აღსაზრდელებს ყოველ დღე, რიგრიგობით, თავად უნდა წაეკითხათ დილის და მწუხრის ლოცვები, ხოლო კვირა დღეს და დღესასწაულებზე უნდა დასწრებოდნენ ლიტურგიას;

მოსწავლეებს კვირა დღეს და სადღესასწაულო დღეებში, იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლოთ ერთი დღით წასვლა მშობლებთან ან ნათესავებთან.

არდადეგები ინიშნებოდა 23 დეკემბრიდან 8 იანვრამდე, ყველიერის კვირის ბოლო სამ დღეს, დიდი მარხვის პირველ კვირას და ივლის-აგვისტოში [24, ფ. 489, №24668, გვ. 4-10].

სასწავლებლის განთავსება გადაუწყვეტიათ ბატონიშვილი თამარის მიერ შემოწირულ სახლ-

ში. ეს სახლი სარემონტო ყოფილა. ამიტომ 1866 წელსვე წინამძღვარი ნინო აარსებს სასწავლებლის მშენებლობის კომიტეტს და მეთვალყურეობას უწევს ბატონიშვილი თამარის მიერ შემონიშნული სახლის რემონტს [24, ფ. 488, №22508, გვ. 3].

უკვე მომდევნო 1867 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს ჩაუტარებია სასწავლებლის აღსაზრდელთა გამოცდები და სწავლების დონე წარმატებულად მიუჩნევია. გამოცდები ჩატარებულა შემდეგ საგნებში: საღვთო სჯული, ქართული და რუსული ენები, არითმეტიკა და სიმღერა. ამ დროისათვის სრულ პანსიონზე ყოფილა 10 აღსაზრდელი გოგონა, ხოლო 7 ყოველდღიურად სახლიდან დადიოდა სასწავლებელში.

#### **სასწავლებლის პირველი აღსაზრდელები ყოფილან:**

ეკატერინე ჭრელავა  
ანა ნახუცაროვა  
მარიამ ჩოხელოვა  
ნინო ხელაევა  
თებრონია ხუცურაული  
ნატალია სიდამონოვა  
ეფემია ბუიძე  
ეკატერინე მჭედლოვა  
ელისაბედ მარჯანოვა  
ნატალია ნათაძე  
ეკატერინე ბერიევა  
მარიამ მესხიევა  
ეკატერინე გურამოვა  
ნინო გიორგევა  
სოფიო ოქროპირიძე

ნინო კობიევა  
ერმინია კობიევა  
[24, ფ. 488, №26540, გვ. 1,2].

1868 წელს ეგზარქოსმა ევსევიმ არქიმანდრიტული კურთხევა გამოუცხადა წინამძღვარ ნინოს სასწავლებლის დაარსებაში გაწეული ღვაწლისათვის.

1866 წლიდან მონასტრის მღვდლის მოვალეობას ასრულებდა პეტრე გიორგის ძე ბორისოვი. მას დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია. მომდევნო წლებში იგი სამთავროს სკოლის მასწავლებლადაც მოიხსენიება [24 ფ. 489, №62933].

ბატონიშვილი თამარის გარდა სამთავროს მონასტერს სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც სწავლობდნენ. 1866 წ. ეგზარქოსი ევსევი ატყობინებს ილუმენია ნინოს, რომ საქართველოს მეფის რძალს — ელენე ოთარის ასულს — მონასტრისათვის უანდერძებია ხატები, საეკლესიო წიგნები და სხვადასხვა ნივთები. მისი გარდაცვალების შემდეგ, ყოველივეს ეგზარქოსისათვის პეტერბურგიდან გამოუგზავნია ელენეს ნების ამსრულებელს „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ“ ჩუბინოვს და ამ საგნების მონასტრისათვის გადაცემა უთხოვნია. საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია ამ საგნების სრული სია (**სია იხილეთ 142-ე გვერდზე**).

1868 წელს მონასტრის მორჩილ ქეთევან წერეთელს საეკლესიო ნივთების შესაძენად

მონასტრისათვის შეუწირავს ჯერ 100, ხოლო შემდეგ 200 რუბლი ვერცხლით [44].

ამავე წლისაა რამდენიმე საბუთი მონაზონთა ჯამაგირის შესახებ, რომელთაც ხელს აწერს ილუმენია ნინო [44].

1868 წ. არქიტექტორ ოსტროვსკის შეუკეთებია სამთავროს ტაძრის ჩრდილო მინაშენი, რომელშიც მარანი ყოფილა მონყობილი. შემონახულია შეკეთების ხარჯთაღრიცხვა და შემოსავალ-გასავლის დღიური [24, ფ. 489, №26397].

იმდროინდელ სამონასტრო წესრიგზე მეტყველებს რამდენიმე საბუთი. 1869 წელს ილუმენია ნინო შეახსენებდა მონაზვნებს, რომ დიდმარხვის პირველ კვირას მონასტრის ტიპიკონით აკრძალული იყო მონასტრის გარეთ გასვლა [48]. სხვა დროს კი მონასტრის დატოვება ამა თუ იმ მიზეზის გამო, მხოლოდ ილუმენიის სათანადო მოწმობით ყოფილა ნებადართული. მონასტრის არქივში შემორჩენილია რამდენიმე ასეთი მოწმობა. ერთ-ერთი მათგანი ასეთი შინაარსისაა:

„მონაზონს სამთავროს წმინდანს დედათ მონასტრისას მარიამს. დათხოვნილია წარსასვლელად გორის უეზდში, სოფელსა ქარელს, თავის ძმასთან, თავისს საკუთარს საქმეზედ, ქვემო რეალნიშნულის რიცხვიდამ ამავე წლის სექტემბერს 15-მდე. რომლისა დასარწმუნებლად ეძლევა მას



მოწმობა ესე ხელის მოწერითა ჩემითა და ბეჭდის დასმითა

2 ივლისისას 1868 წელსა.

სამთავროს წმინდის ნინას დედათ მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ნინა“ [44].

როგორც ვხედავთ, თავისი მმართველობის პირველი წლებიდანვე წინამძღვარმა ნინომ უფრო მეტად გაააქტიურა თავისი მოღვაწეობა მონასტრის საკეთილდღეოდ, რითაც დიდად

შეუწყო ხელი მის აღმავლობას.

ამ ღვაწლისათვის 1869 წელს რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით ილუმენია ნინო დაჯილდოვდა ოქროსჯვრიანი ბეჭდით, 1870 წელს კი — 70 რუბლით.

1869 წელს რუსულმა მმართველობამ საეკლესიო მამულები საბოლოოდ გადასცა სახაზინო უწყებას. მათ შორის მოხვდა სამთავროს მონასტრის მიწაც [42, გვ. 387]. ამ მამულე-

სამთავროს მონასტრის დედათა კრებული. 1890-იანი წლები. ცენტრში: ილუმენია ნინო ამილახვარი (უმცროსი). პირველ რიგში: მარცხნიდან მეორე ანა ბაგრატიონ მუხრანელი (პლატონ იოსელიანის ქვრივი). მეორე რიგში: სამონაზვნო ნინო (ივლიტა ენუქიძე), ამოუცნობი პირი, სამონაზვნოები-ქრისტიანე ამაშუკელი, ანუსია კოჭლამაზაშვილი; მონაზვნები-დოდო, პელაგია ყაყაჩაშვილი, სამონაზვნო ევპრაქსია ჩარკვიანი. მესამე რიგში: ამოუცნობი პირები.

ბის თაობაზე სასამართლო პროცესიც დაწყებულა.

1869-1870 წლებში სასამართლომ გამოიტანა განჩინება სამთავროს მონასტრის კუთვნილ მიწებზე. განჩინებაში აღნიშნულია, რომ მეფე ერეკლე II-ის 1788 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებით მონასტერს ეკუთვნოდა 89 დესეტინა და 240 საჟენი მიწა (1 დესეტინა=2400 კვ. საჟენს ანუ 1.0926 ჰექტარს). ამ ნაკვეთის საზღვრები ყოფილა:

აღმოსავლეთიდან — საქართველოს სამხედრო გზა;  
დასავლეთიდან — მთის ძირი;  
სამხრეთიდან — სამთავროს ხევი;  
ჩრდილოეთიდან — ბაიათ ხევი.

მიუხედავად ამისა, მონასტერს ამ მიწიდან მხოლოდ 9 დესეტინა დარჩა, დანარჩენი 80 კი ხაზინას გადაეცა [44].

1870 წლის დასაწყისში სამთავროში ხანძარი გაჩენილა და მონაზონთა სენაკები დაზიანებულია. წინამძღვარ ნინოს თხოვნით სინოდალურ კანტორას დაზიანებების შესაკეთებლად სამთავროში კანტორის არქიტექტორი, ე.წ. „კოლეჟსკი ასესორი“ — ჩიჟოვი — გაუგზავნია. არქიტექტორ ჩიჟოვს შეუდგენია ხარჯთაღრიცხვა 645 რუბლის ოდენობით. თანხის გაღება საეკლესიო ხაზინას დაევალა [24, ფ. 489, №28032, გვ. 6].

1870-1871 წლებში მიმდინარეობდა სენაკების შეკეთება. მონასტრის არქივში შემორ-

ჩენილ შემოსავალ-გასავლის დღიურში უკანასკნელ კაპიკამდე არის აღრიცხული, თუ რა თანხა დაიხარჯა და რა სამუშაო შესრულდა. აქვე ჩამოთვლილია ყველა ის პიროვნება, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში.

XIX საუკუნეში ბორჯომის ხეობიდან მტკვრის დინებით ხის მასალად ძირითადად ტივები ჩამოჰქონდათ. ერთი ასეთი ტივი ახალდაბელ გლეხ ვასილ შელიაძისაგან 120 რუბლად უყიდათ. ეს ტივი მცხეთაში სასირეთელ გლეხ პაპა ჭარიაშვილს 6 რუბლად ჩამოუცურებია, ხოლო მტკვრის პირიდან მონასტრამდე მორები მცხეთელ გაბრიელ თათარაშვილს 9 რუბლად ამოუზიდავს. თბილისელ ივანე იაზიძეს ეს მორები 70 რუბლად დაუხერხავს და მასალად გაუმზადებია. დამწვარი კოჭების გამოცვლა და ახლების დამაგრება ღურგალ ივანე მაისურაძისათვის დაუვალეობათ. მას ათი დღე უმუშავია და დღეში ერთი რუბლი და 30 კაპ. აუღია. მცხეთელ გლეხებს გიორგი იმერლიშვილს, იაგორ ხატისაშვილს და ბესო ტუშურაშვილს სენაკთა ბანებზე ტალახი დაუყრიათ და მიწა მოუტკეპნიათ. შემდეგ დეტალურად არის აღწერილი სამუშაოები — კრამიტის და თუნუქის დაგება, კირის მომზადება, შელესვა, საღურგლო და საკალატოზო სამუშაოები და სხვა. ამ საქმეში მონაწილეობდნენ მცხეთელები: მოსე ყაყაჩოელი, ზაქა-

რია მაჩხანელი, ლუკა ხამხაძე, შიო თათარაშვილი, სოლომონ მარტილოზაშვილი, მიხეილ ლოლაძე, გიორგი არბელაშვილი, იოსებ თვალეშიშვილი, ანდრია და სოლომონ ბერბერაშვილები. ბოლოს კი მხატვარ ბესო კუჭატაძეს ზეთის საღებავით შეუღებავს სენაკის კარები „შვიდის აკოშკის რამები, თავისის სტავნებით და პატაკონიკებით“ [44].

ამ საქმის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი წინამძღვარი ნინო ამილახვარი იყო. ეკონომიკურ საკითხებში მას მონაზონი ნისიმე ციციშვილი ეხმარებოდა, ვინაიდან მონასტრის ხაზინადარი ანუსია კობიაშვილი იმ დროს ავადმყოფობდა და სამწუხაროდ, გარდაიცვალა კიდეც 1871 წ. 6 იანვარს.

1871 წელს წინამძღვარ ნინოს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მადლობა გამოუცხადა, ხოლო ეგზარქოსმა ევსევიმ — არქიმანდრიტული კურთხევა მონასტრის კეთილმოწყობისა და მასზე ზრუნვისათვის.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ცნობა იმის თაობაზე, რომ 1870-იან წლებში თბილისის სიონის ტაძრის სამკვეთლოში დაცულ მიტრებს შორის ყოფილა სამთავროს ანუ ქართლის მთავარეპისკოპოსის მიტრაც [49]. რა ბედი ეწია ამ მიტრას ცნობილი არ არის.

1871 წლის 5 დეკემბერს არის შედგენილი წინამძღვარ ნინოს

თხოვნა ეგზარქოს ევსევისადმი, მორჩილების — პარასკევასა და მატრონას სქემოსნებად კურთხევის თაობაზე. პარასკევა — „აზნაურ ჯორაევთაგან“, დაბადებული 1830 წელს, მონასტერში მიიღეს 1847 წელს, ხოლო მატრონა — „თავად ტუსიშვილთაგან“, დაბადებული 1843 წელს, მონასტერში მიიღეს 1858 წელს.

1872 წელს ეგზარქოსმა პარასკევას სქემოსნად აღკვეცის უფლება მისცა, ხოლო მატრონას აღსაკვეცად მისი სამეტრიკო მოწმობა მოითხოვა.

1872 წლის 31 მარტს გარდაიცვალა მონასტრის ყოფილი ხაზინადარი მონაზონი ქრისტიანე ოქროპირიძე.

ნინო ამილახვარი კვლავ აგრძელებს სამთავროზე ზრუნვას. ირკვევა, რომ 1872 წლისათვის მონასტერს მღვდლის შტატი არ ჰქონია. ილუმენია გულისტკივილით ატყობინებდა ეგზარქოსს ამ ფაქტს და იმ გარემოებას, რომ მღვდლის მოვალეობას, მასწავლებლის მცირე ხელფასით (შვიდი თუმანი წელიწადში) ასრულებდა „მასწავლებელი არიფმეტიკისა და გეოგრაფიისა მის მონასტრის სასწავლებლისა მღვდელი პეტრე ბორისოვი“, ხოლო მისი წასვლის შემთხვევაში მონასტერი უმღვდლოდ რჩებოდა. ამიტომ ნინოს მოუთხოვია მღვდლისა და დიაკვნის შტატები შესაბამისი გასამრჯელოთი [44].

1872 წელს ილუმენია ნინოს

ეგზარქოსისათვის წარუდგენია „ფორმულარი დათა და მორჩილთა წინას დედათ მონასტრისათა“ [44]. ამ საბუთით ირკვევა, რომ მონასტერი რეგულარულად წარუდგენდა სინოდალურ კანტორას მონასტრის დედეების სიებს და საფინანსო საქმეების ანგარიშებს. სამწუხაროდ, ამ პერიოდის ე. წ. ფორმულარული სიები ცენტრალურ საისტორიო არქივში არ აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობები, საიდანაც ირკვევა, იმ დროის სამონასტრო ცხოვრების სხვადასხვა პირობები. 1872 წლის 17 მაისის საბუთი იუწყება, რომ მონასტერში მონაზონთა მიღება უნდა დამოწმებულიყო ეგზარქოსის კანცელარიაში [44]. თუმცა გადამწყვეტი მაინც ილუმენიის ნებართვა ყოფილა. მაგალითად, მავანი მარია მამისოვა ნინო ამილახვარს არ მიუღია მონასტერში გარკვეული მიზეზების გამო [24, ფ. 488, №21509].

1873 წლით არის დათარიღებული წინამძღვარ ნინოს თხოვნა მონასტრის შეშით მომარაგების შესახებ [24, ფ. 489, №30736].

1874 წელს კვლავ დამდგარა სამთავროს მონასტრის კუთვნილი ძეგვის ვენახის კეთილმოწყობის საკითხი. შესაკეთებელი ყოფილა მარანი და მონაზონთა პატარა სახლი. ასევე, აქ გაყვანილ რკინიგზას ბალი ორ ნაწილად გაუყვია, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა. ამიტომ

წინამძღვარი ნინო კვლავ ითხოვდა გასასვლელის გაკეთებას რკინიგზის ქვეშ და შენობების შეკეთებას [24, ფ. 489, №31887].

როგორც ჩანს, მონასტერს შემწეობა მიუღია. მართლაც, 1876 წლის საბუთში აღწერილია მონასტრის კუთვნილ ძეგვის ვენახში ჩატარებული სამუშაოები, რომელიც ერთი წელი გაგრძელებულა და 1877 წლის აპრილში დასრულებულა. აქ დეტალურად არის აღწერილი შენობათა შეკეთება, სარწყავი არხების გაყვანა, სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა და სხვ [44].

წინამძღვარ ნინოს ამ საქმიანობაში ეხმარებოდა და უწყისებზე ხელს აწერდა მონაზონი ნისიმა, რომელიც ჯერ კიდევ მონასტრის 1834 წლის ფორმულარულ სიაში მოიხსენიება. იგი ყოფილა დეკანოზ იოსებ ციციშვილის ქალიშვილი. დაბადებულია 1814 წელს, მონასტერში მოსულა 1834 წელს, მორჩილად მიუღიათ ეგზარქოს მოსეს ბრძანებით. 1846 წლის 2 დეკემბერს ისიდორე ეგზარქოსის დროს ნისიმა მონაზვნად აღუკვეცავს დავით გარეჯის არქიმანდრიტ იოვანეს. მონასტრის ფორმულარულ სიაში მოიხსენიება 1847 წელსაც. 1862-1865 წლების სიებში იგი აღარ აღირიცხება. როგორც ჩანს, ამ დროს სხვაგან მოღვაწეობდა. 1870 წელს კი ისევ მონასტერშია და ნინო ამილახვართან ერთად ხელმძღვანელობს მონასტრის სენაკების შეკეთებას. 1875 წელს



მას ნიშნავენ მონასტრის ხაზინადრად და ღრმა მოხუცებულობამდე იღვწის მონასტრის საკეთილდღეოდ. 1905 წელს, ნინო ამილახვრის გარდაცვალების შემდეგ, იგი ერთხანს წინამძღვრის საქმეთა შემსრულებელიც იყო. ნისიმა გარდაიცვალა 1906 წელს და დაკრძალულია სამთავროს ტაძარში საკურთხეველის სამხრეთ კუთხესთან (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები).

1877 წლის 1 აპრილს რუსეთის უწმიდესმა სინოდმა წინამძღვარ ნინოს კელავ გამოუცხადა მადლობა, ხოლო ეგზარქოსმა ევსეიმ — არქიმანდრიტული კურთხევა მონასტრისათვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის გამო.

1877 წელს მონასტრის საშემოსავლო უწყისიდან ვგებულობთ, რომ წინამძღვარ ნინოს მეცადინეობით შეგროვილა თანხა მოციქულ-

თა სწორი წმინდა ნინოს ძველი ეკლესიის აღსადგენად [44]. ამავე პერიოდიდან გრძელდება მონასტერში აღდგენითი სამუშაოები სხვა ნაგებობებზეც.

1878 წელს წინამძღვარს საკუთარი ხარჯით (400 რუბ.) აუგია კრამიტის სახურავიანი ორი ოთახი და სარდაფი. 1879 წელს კი მასვე აღუდგენია წმინდა ნინოს სახელობის მცირე ეკლესია

ილუმენია ნინო ამილახვარი (უმცროსი) სამთავროს სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან. 1890-იანი წლები.

და გადაუხურავს იგი თუნუქის სახურავით. მასვე გაუმართავს კარიბჭე ამ ეკლესიისათვის. ამ კარიბჭის ფრაგმენტი მოჩანს წინამძღვარ ნინოსადმი მიძღვნილ 1915 წელს გამოცემული წიგნის 25-ე გვერდზე [46].

ნინო ამილახვრის გამუდმებული მზრუნველობის მიუხედავად, მონასტერს მაინც უჭირდა დამოუკიდებლად არსებობა.

1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. იგი საქართველოსაც შეეხო. ომის სამხრეთი ფრონტი აჭარაში იყო გახსნილი. ომი დიდ სახსრებს მოითხოვდა, რაც უარყოფითად აისახა მთელ კავკასიაზე და თბილისის გუბერნიაზეც. სამართლიანად აღნიშნავდა ილუმენია ნინო ეგზარქოსისადმი მიწერილ თხოვნაში:

„ამორიწლის წარმოუდგენელმა სიძვირემ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო ისედაც შეჭირვებული მონასტერი და არ ვიცი და ვერც მომიფიქრებია რით ვუშველო ამ უბედურებას. ყველა ხარჯი, რაც კი შესაძლებელი იყო, შევამცირე და იმას რაღა ვუყო რაც აუცილებელია, აი ეს მაგდებს საგონებელში. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მაღალუწმიდესობას, რათა მონასტერი კვლავ მცხეთის ტაძარზე მიაწეროთ“ [24, ფ. 488, №21587].

ამ ფაქტიდან ირკვევა, რომ სამთავროს დედათა მონასტერი თავდაპირველად მცხეთის ეკლესიის (ანუ „სვეტიცხოვლის“) განმგებლობაში ყოფილა, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად არსებობდა. რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემდგომში — ცნობილი არ არის.

ამ დროისათვის შესაკეთებელი ყოფილა მონასტრის დიდი ტაძარიც. როგორც ჩანს, 1850-იანი წლების რემონტის შემდეგ, კვლავ დაზიანებული ტაძრის სახურავი. ამ პერიოდში ჩნდება პირველი ცნობა სამთავროს მონასტრის შესახებ ქართულ პრესაში. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი ზ. მთანმინდელი გულისტკივილით გვამცნობს მონასტრის გასაჭირს:

„(სამთავროს ტაძარში) მაღლითგან სამწუხაროდ, წვიმა ჩადის და აფუჭებს ყვითელი ქვით ნაშენებს ეკლესიის კედლებს. აქ სრულიად შემუსვრილა მირიან მეფის და ნანა დედოფლის საფლავი, არხიეპისკოპოზის ნეოფიტ ურბნელის სურათი. მაგრამ მაინც დიდი მადლობა ეკუთვნის ამ დედათა მონასტრის წინამძღომელს ამილახვრის ასულსა, რომელსაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული“ [გაზ. „დროება“, 1878, №179].

საინტერესოა აგრეთვე გაზეთ „დროების“ უფრო ადრინდელი სტატია. 1874 წელს საფრანგეთის ქალაქ ლიონში ფრანგულ

ენაზე გამოუციათ მამა ოგიუსტ დარას ლამაზად გაფორმებული ბროშურა „წმინდა ნინო.“ საქართველოში ეს ფაქტი 1875 წელს შეუტყვიათ და მას გაზეთი „დროება“ გამოჰასუხებია:

„ჩვენ მადრიელნი უნდა ვიცენეთ მამა ოგიუსტ დარასი, რომელიც თავისის ბროშურით აღვიძებს ჩვენში ნამდვილ გრძნობას და მოვალეობას შესახებ ჩვენის განმანათლებლისა. დარას ბროშურა ღირს იმათ, რომ გადმოითარგმნოს ქართულით და თითოეულმა ქართველმა იქონიოს. რაც კი ძველს და ახალ მწერლებს, საქართველოსა და უცხო ქვეყნებისას უთქვამთ შესანიშნავი წმინდა ნინოს ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, ყოველივე ეს დარას ბროშურაში შემოკრებილია და განხილული“ [გაზ. „დროება“, 1875, №7].

ტაძრის შესაკეთებლად ხარჯთაღრიცხვა ჯერ კიდევ 1875 წელს შეუდგენიათ. სარემონტო თანხა 63 თუმანს შეადგენდა, რომლის ნაწილი — 20 თუმანი მონასტერს უნდა გადაეხადა, ხოლო დანარჩენი 43 კი — საეკლესიო ხაზინას.

1879 წელს ტაძარი მოუნახულებია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორ ა. ჩიჟოვს. იგი დარწმუნებულია სამთავროს შეკეთების აუცილებლობაში, მაგრამ შესაკეთებელი სამუშაოს სრული მასშტაბი ვერ დაუდგენია, რადგან ხარაჩოს

უქონლობის გამო ვერ მოუხერხებია სახურავის გულმოდგინე დათვალიერება. ერთი რამ კი ნათელი იყო. უნდა შედგენილიყო ახალი ხარჯთაღრიცხვა, რადგან აღნიშნული თანხა სრულ შეკეთებას ვერ გასწვდებოდა. ამიტომ შეუდგენია სახურავის მხოლოდ 1 კვადრატული საჟენის ხარჯთაღრიცხვა, ხოლო თანხის მთლიანი რაოდენობა გაირკვეოდა მას შემდეგ, როდესაც დადგინდებოდა დაზიანებული სახურავის სრული ფართობი [44].

1880 წელს, ამ დასკვნის საფუძველზე, სინოდალურ კანტორას შეუმუშავებია გეგმა, რათა მოეწყოთ ხარაჩო და სახურავზე გასამართი ფეხის მოსაკიდებლები. განსაზღვრული ჰქონდათ ქვის ფილების — ლორწოფინების სათითაოდ შემოწმება, რათა დაედგინათ მათი ვარგისიანობა. გადაუწყვეტიათ, რომ დაზიანებულ ფილებს ტაძრის იატაკის დასაგებად გამოიყენებდნენ, ახალ ფილებს კი ალგეთის კარგი ქვიდან მოჭრიდნენ. ფილების ზერელე დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ გამოსაცვლელი ყოფილა დაახლოებით 150 კვადრატული საჟენი ფართობი და, თუ 1 კვადრატული საჟენის ფასსაც გავითვალისწინებთ (253 რუბლი), დანახარჯი ძალზე დიდი გამოდიოდა [44].

ამავე პერიოდში საკმაოდ დაზიანებული ყოფილა მონასტრის „ობლების სასწავლებელი“.

1877 წელს არქიტექტორ ა. ჩიჟოვის ზედამხედველობით, ილუმენია ნინოსა და მღვდელ გიორგი ამბრიევის ძალისხმევით დაუწყიათ ამ სასწავლებლის შენობის შეკეთება [24, ფ. 488, №25418].

1879 წელს ეს სასწავლებელი თბილისში გადაუტანიათ და მისთვის საეპარქიო სასწავლებელი უწოდებიათ:

„აქედამ (სამთავროდან) მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, ეგზარხოსს საქალეზო სასწავლებელი ტფილისში გადმოუტანია, ასე რომ ამ სექტემბრის დამდეგს იქ სწავლა აღარ იქნება“ — გვატყობინებს კორესპონდენტი [გაზ. „დროება“, 1879, №179]. იქვე აღნიშნულია, რომ იოანე ბატონიშვილს მოსკოვიდან სამთავროსთვის ხატი შეუწირავს.

1880 წელს სასწავლებლის შენობა შეუკეთებელი ყოფილა. ერთ-ერთ წერილში წინამძღვარი ნინო იუწყება, რომ ჯერ კიდევ 1877 წელს, ეპარქიის სამზრუნველოს წევრებს დეკანოზ პავლიევს და დეკანოზ არდაზიანოვს მისთვის გაუციათ 600 რუბლი სასწავლებლის შესაკეთებლად:

„მომცა რა ფული — ბრძანა დეკანოზმა პავლიევმა დამეცვა იგი და ვაძლიო ნაწილ ნაწილ მღვდელამბრიევს მოსასყიდლად მასალისა — დავემორჩილე მის ბრძანებას და ჩავაბარე სხვა და

სხვა დროს მღვდელ ამბრიევს მოხსენებული 600 რუბლი“ — აღნიშნავდა წინამძღვარი.

მიუხედავად ამისა, იმ დროს დაწესებულ „სასწავლებლის აღდგენის კომიტეტს“ ეს საქმე არ გაუკეთებია. ამიტომ ნინო ამილახვარს ამ საქმის დაჩქარება მოუთხოვია:

„განმეორებით ვითხოვ სამზრუნველოსაგან დააშუროთ რემონტის გაკეთება მოხსენებულის შენობისა, რათა სრულიად არა დაეცეს იგი მონასტრის შეუძლებლობის გამო“ — იუწყებოდა შემფოთებული წინამძღვარი [44].

1880 წლის 20 აპრილს წინამძღვარი ნინო „უმაღლესის ბრძანებით დაჯილდოვებულ იქმნა ძვირფასის თვლებით მოჭედილის კაბინეთის ჯვრითა“ [24, ფ. 488, №22508].

როგორც ვხედავთ, წინამძღვრის ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენია საეკლესიო მმართველობას, თუმცა სასწავლებლის შეკეთება კვლავ ჭიანურდებოდა.

აი, რას წერს წინამძღვარი ნინო სინოდალურ კანტორას 1881 წლის 9 სექტემბერს:

„მაქუს პატივი უმორჩილესად მოვახსენო, რომელ სახლები, სადაც წინეთ იქონიებოდა სასულიერო ქალების სასწავლებელი, არს შემოწირული ჩემდამი რწმუნებული მონასტრისათვის, მეფის ძის იულონის ასულის თა-

მარისგან, სახსოვრად თვისი-  
სა, ხოლო მე დაუთმე დროებით  
სამზრუნველოს უქირაოდ, მით,  
რომ, ყოველივე რემონტიროვკა  
მისი მიეღო მათ, რადგანაც ან  
სასწავლებელი იგი გარდაიტა-  
ნეს ტფილისში — და სახლები  
დარჩა ურემონტიროვკოდ —  
ამისთვის, როგორათაც ნათე-  
სავნი მათნი ეგრეთვეც გარეშე  
პირნიცა, ხშირად მოდიან მცხე-  
თას, ჰხედვენ რა დატევენულსა  
— თხოულობენ მოიყვანონ ის-  
რევე იმ მდგომარეობაში, რომ  
სახსოვარი მისი არ მოისპოს  
და იქონებოდეს თავ-შესაფა-  
რად მომსვლელთა მლოცველ-  
თათვის, უკეთუ შენობა ესე  
შემოწირული წარჩინებულისა  
გვამისაგან დაიქცევა და ვინღა  
ისურვებს სხვისა რაჟსამე სახს-  
ოვარისა შემოწირვასა გლახაკი-  
სა ამის მონასტრისათვის. გარ-  
და ამისსა მონაზონთ სადგომი  
კელიები არიან ძლიერ ნოტიონი  
და შეიძლება გარდასახლდნენ  
მას შინა სწეულებით დაუძლუ-  
რებულნი მონაზონნი.

ამისთვის უმორჩილესად  
ვსთხოვ სინოდის კანტორას გა-  
ნახლებასა მათსა, რათა დაცემა  
მისი არ მიაწერონ მონასტრის  
წინამძღვრის უყურადღებობას  
უნარჩინებულესთა ნათესავთა  
შემომწირველისათა“ — ასკვნის  
გულისტკივილით წინამძღვარი.  
[ 24, ფ. 489, №39079, გვ. 95].

ამ ვრცელი ციტატიდან ნათ-  
ლად ჩანს ნინო ამილახვრის დედო-

ბრივი ზრუნვა მონასტრისადმი,  
მისი გონიერება და ამავე დროს სა-  
სიამოვნოდ ჩაგვესმის თანდათან  
დავიწყებას მიცემული, წარსულ  
საუკუნეთა არქაული ქართულის  
მჟღერი მელოდიურობა...

სასწავლებლის შენობის რე-  
მონტი კვლავ არქიტექტორ ჩი-  
ჟოვისთვის დაუვალებიათ. რო-  
გორც იქნა, ეს საქმე დაუწყიათ  
და სასწავლებლის შეკეთება  
დაუსრულებიათ. ამავე საქმეშია  
დაცული ანგარიშები ჩატარე-  
ბულ სამუშაოთა შესახებ.

1881-1883 წლებში მონას-  
ტრის დიდი ტაძრის სახურავის  
შეკეთებაც მიმდინარეობდა.  
როგორც ჩანს, მასალის სიძვი-  
რის გამო, სახურავის ლორფი-  
ნის ფილებით გადახურვა კვლავ  
ვერ მოუხერხებიათ. სახურავის  
დაზიანებული ქვის ფილებით  
ტაძრის იატაკი დაუგიათ, ხოლო  
გუმბათი და სახურავი რკინის  
ფურცლებით გადაუხურავთ.  
ეს სამუშაო, წინამძღვარ ნინოს  
ხელმძღვანელობით, 1883 წლის-  
თვის სანიმუშოდ შესრულებულა  
[ 24, ფ. 488, №22508, გვ. 4].

მონასტრის ეკონომიკური  
შეჭირვების მიუხედავად, წინა-  
მძღვარი ნინო მუდმივად უწვდი-  
და დახმარების ხელს გაჭირვე-  
ბულთ. 1883 წელს მას დაჭრილი  
ჯარისკაცებისათვის შემწეობა  
გაუღია, რისთვისაც წითელი  
ჯვრით დაუჯილდოებიათ.

1883 წელს საეგზარქოსოს  
გამოუცია ბრძანება „ნაროდ-

ნაია ვოლიას“ აქტივისტების  
მიერ მოკლული რუსეთის იმპე-  
რატორის ალექსანდრე II-ის ყო-  
ველწლიური საპანაშვიდო ლი-  
ტურგიის დაწესების შესახებ,  
რაც სავალდებულო ყოფილა  
სამთავროს მონასტრისთვისაც  
[ 44].

ამავე პერიოდიდან დაიწყო  
სასტიკი რეაქციული ხანა თვით  
რუსეთში და მის პერიფერიაზე  
— კავკასიაში. საქართველოში  
რუსეთის მმართველობის მიერ  
რეაქცია გამოიხატა ქართველ-  
თა მძიმე ეროვნულ ჩაგვრაში.  
თბილისის სასულიერო სემინა-  
რიაში აიკრძალა ქართულ ენაზე  
სწავლება. კრძალავდნენ ქარ-  
თულად საუბარს გიმნაზიებ-  
შიც. 1886 წლის 16 სექტემბერს  
დაიხურა ქართული გაზეთი  
„დროება.“ რეაქცია განსაკუ-  
თრებით გამძაფრდა სტუნდენტ  
იოსებ ლალიაშვილის მიერ სა-  
სულიერო სემინარიის რექტო-  
რის, რეაქციონერ ა. ჩუდეცკის  
მკვლელობის შემდეგ.

ამ ვითარებაში სამთავროს  
დედათა მონასტრის არსებობა  
შემადგენელ ნაწილად აღიქმე-  
ბოდა იმ სულიერი და ეროვნუ-  
ლი საქმიანობისა, რისთვისაც  
იღვწოდნენ იმ დროის საზოგა-  
დო მოღვაწეები. მათ შორის იყო  
მონასტრის წინამძღვარი ნინო  
ამილახვარიც. იგი განუხრელად  
იღვწოდა მონასტრის სულიერი  
სიმტკიცის და ეკონომიკური სი-  
ძლიერის განვითარებისათვის.

1886 წლის საქმეში დაცულია წინამძღვარ ნინოს და მცხეთის მამასახლისი ივანე მაჩხაანელის მიმონერა სამეურნეო საკითხებზე. ამ საქმიდან ირკვევა, რომ გალავნის გარეთ მინა მონასტერს ეკუთვნოდა, სადაც ხორბალი ყოფილა დათესილი [44].

მას შემდეგ, რაც სამთავროს „ობლების სასწავლებელი“ თბილისში გადაიტანეს, ილუმენია ნინო გამუდმებით ზრუნავდა სასწავლებლის აღსადგენად. 1888 წელს მან ნებართვა მიიღო ეგზარქოს პალადისგან (რაევი, 1887-1892 წწ.), რათა ერთი წლის განმავლობაში შემონირულება შეეგროვებინა რუსეთის საეგზარქოსოებში ამ სასწავლებლის სამთავროში დასაარსებლად და ტაძრის შესაკეთებლად.

წინამძღვარისადმი მიძღვნილ წიგნში აღწერილია მისი მოგზაურობა რუსეთში: „ღრმად მოხუცებული ილუმენია ნინო არ დრკება, არ ეშინიან შორს მოგზაურობისა: მიდის რუსეთში 5 ივლისს 1888 წლის. მოვლო თხოვნით რამდენიმე ქალაქი, მივიდა მოსკოვის მიტროპოლიტ იოანეკესთან, საქართველოს ექსარხოვსად ნამყოფთან. იყო პეტროგრადშიაც. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანეკემ შესწირა ამ კეთილს საქმეს 5 000 მანეთი, სხვათგან მოაგროვა 2 000 მანეთი და საეკლესიო და სამღვდელო ნივთები. აი ამ ნივთებით

და შვიდასი თუმნით მოხუცი თავ-განწირული ილუმენია ნინო მოიქცა თავის სამშობლოში და შეუდგა სკოლის დაარსების საქმეს...“ [46, გვ. 26].

ამ პერიოდისათვის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებობდა საეკლესიო სასჯელი ეპიტიმია ცოდვაში მხილებულ საერო პირთათვის. მათ იძულებით გზავნიდნენ მონასტერში ცოდვების მოსანანიებლად. შემორჩენილია 1889 წლის საბუთი, სადაც აღწერილია ერთ-ერთი ასეთი განაჩენი. სისხლის აღრევაში მხილებული მამაკაცი ქვაბისხევის მონასტერში განუწესებიათ, ხოლო ქალი სამთავროში. საეკლესიო სასჯელი რამდენიმე თვინი ყოფილა [44].

1889 წელს ოფიციალურად დაარსებულია დედათა მონასტერი ბოდბეში. დაცულია საქმე, სადაც აღწერილია წმინდა ნინოს საფლავზე აგებული ტაძრის ისტორია და ბრძანება მონასტრის დაარსების შესახებ [24, ფ. 489, №41768]. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში არსებობს სპეციალური ფონდი №500, რომელშიც დაცულია ბოდბის მონასტრის საქმეები.

1889 წლის 1 ოქტომბერს წინამძღვარ ნინოს მეცადინეობით სამთავროში კვლავ გაიხსნა ქალთა სასწავლებელი. თავდაპირველად დაწესებულია მხოლოდ მოსამზადებელი და I კლასი, შემდეგ კი 4 კლასიანად გადაკეთებულა. მონასტრის არქივში

ილუმენია ნინო ამილახვარი სამთავროს სკოლისპედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მონასტრის დედეებთან. 1901 წელი.

დაცულია სამეტრიკო ამონაწერები და სასწავლებლის დამთავრების მოწმობები 1918 წლამდე. სკოლის ძირითადი კონტინგენტი ყოფილა თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების მოქალაქეთა ობოლი ბავშვები, თუმცა სასწავლებელში გლეხთა ქალიშვილებსაც უსწავლიათ [44].

წინამძღვარ ნინოსადმი მიძღვნილ წიგნში (1915 წ.) აღნიშნულია:

„მან თვისის შრომით შეგროვების ფულით განამზადა ყოველისფერი, სუფთად და ლამაზად შეამზადა ოთახები, სანოლები ქალთათვის და 1-ს ოქტომბერს 1889 წელს თვით ექსარქოსმა პალადიმ აკურთხა სასწავლებელი. ამ კურთხევის დროს გადასცა ილუმენიას დიდი მადლობა და კურთხევა ასე მშვენივრად მომზადებისათვის სასწავლებლისა“ [44].

სამთავროში ქალთა სასწავლებლის გახსნის ცერემონიალს ხატოვნად აღწერს სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“ — ეგზარქოსი ლიტანიით წარმართულა სვეტიცხოვლიდან სამთავროსკენ. ილუმენიასათვის უბოძებია ხატი, დაულოცავს მის მიერ გამართული ახალი სკოლა და მოწაფენი, გადაუხდია პარაკლისი, შეუწირავს 100 რუბლი და ყოველ წელიწადს 300 რუბლის შესანირი აღუთქვამს,



ბავშვებისათვის კი ჯვრები და წიგნები დაურიგებია [ჟურნალი „მწყემსი“, 1889, №19, გვ. 13].

იგივე მოვლენაზეა საუბარი ჟურნალ „მწყემსის“ მომდევნო ნომერში. დამატებით ნათქვამია, რომ ეგზარქოსს მოუწია აღიარება ავადმყოფი მოხუცი ხაზინადარი დედა (საუბარი უნდა იყოს ნისიმე ციციშვილზე, რომელიც 1875 წ. დანიშნეს ხაზინადრად); ასევე მას განუცხადებია მოსკოვის მიტროპოლიტის იოანიკეს (საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი იოანიკე რუდნევი – 1877-1882 წწ.) სურვილი, რომ წმინდა ნინოს ეკლესიის გარშემო კარავით აშენებულიყო ტაძარი, რათა

დაეფარა იგი ავი ტაროსისაგან. იოანიკეს ამ საქმისათვის 5 ათასი რუბლის შეწირვა აღუთქვამს. [ჟურნალი „მწყემსი“, 1889, №20, გვ. 7].

1889 წელს სასწავლებელში 20 გოგონა მიუღიათ. გოგონები აქ სწავლობდნენ საღვთო სჯულს, რუსულ ენასა და ლიტერატურას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, მსოფლიო და რუსეთის ისტორიას, საქართველოს ისტორიას, სუფთა წერას, საეკლესიო გალობას, ბუნებათმცოდნეობას და ხელსაქმეს [44].

სასწავლებლის აღდგენის შემდეგ შესდგომიან ახალი ეკლე-

სიის მშენებლობას. გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილია წინამძღვარ ნინოს ცნობა. იგი გვაუწყებს:

„მართლაც შენდება ეკლესია წმ. ნინოსი. ხარჯი 500 თუმანი გასწია ისიდორემ კი არა, არამედ მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ. უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ნინოს ძველი პატარა ეკლესია ხელშეუხებლად დარჩება, ახალ აშენებულს ეკლესიაში“ [გაზეთი „ივერია“, 1890, №5].

როგორც ვხედავთ, აქ საუბარია სამთავროს მცირეგუმბათიანი ეკლესიის მიჯრით, სამხრეთით, ახალი ეკლესიის მშენებლობის შესახებ. ამ ეკლესიის ფოტო მოთავსებულია წი-

ნამძღვარ ნინოსადმი მიძღვნილი, 1915 წელს დაბეჭდილი წიგნის 25-ე გვერდზე. ეკლესია წარმოადგენდა გეგმაში ჯვრის ფორმის, საშუალო ზომის გუმბათიან ნაგებობას. აგებული ყოფილა აგურით. შესასვლელი ჰქონდა დასავლეთი მხარის, ოდნავ წინ წამოწეული მკლავიდან. ეს ნაგებობა შეესაბამებოდა XIX საუკუნეში რუსული მმართველობის მიერ შემუშავებულ სტანდარტს. მსგავსი ნაგებობები შემორჩენილია ავჭალასა და ალიბეგლოში (საინგილო).

ამ ახალი ეკლესიის საძირკვლის ჩასხმის კურთხევის ცერემონია გამართულა 17 აგვისტოს. ეს ცნობა მონასტრის არქივშია შემონახული. ამ საბუთზე წელი არ არის მითითებული, თუმცა ნათელია, რომ 1889 წელი უნდა იყოს, რადგან 1890 წლის დასაწყისში მშენებლობა უკვე დაწყებული ყოფილა. ეს საბუთი წარმოადგენს მოსაწვევ ბარათს, რომლითაც წინამძღვარი ნინო ეპატიჟება მავან სიმონ არისტრახის ძეს ამ მოვლენაზე დასასწრებლად. საძირკვლის ჩასხმა უნდა ეკურთხა ეპისკოპოს ალექსანდრეს [44].

შემონახულია ამ ეკლესიის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყოფილა ეკლესიის აგება აგურით, სახურავი თუნუქისა უნდა ყოფილიყო, იატაკი აგურის, სარკმელთა წირ-

თხლები თლილი ქვის, ხოლო ჩარჩოები — მუხის ან კაკლის მასალის, ინტერიერი გაჯით უნდა შეეღესათ [44].

სამთავროს ეს ეკლესია დღეს აღარ არსებობს. იგი დაუშლიათ და შემორჩენილია მხოლოდ მისი საძირკვლის ნაშთები. წინამძღვარი ნინო ჯერ კიდევ დაუნგრეველ ეკლესიაში დაუკრძალავთ. დღეს საფლავი ღია ცის ქვეშაა.

1890 წლის 2 ოქტომბერს შესრულდა ნინო ამილახვრის წინამძღვრობის 25 წელი. ქართულმა საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა ეს თარიღი. „ივერიაში“ დანვრილებით არის აღწერილი ეს მოვლენა: „თვით ტაროსმა, დილით ცივმა და ქარიანმა, წირვის დროს გამოიბრწყინა და არ შეუშალა ხელი საერთო და საყოველთაო მხიარულებას“ [„ივერია“, 1890, №196, №197].

მცხეთის დედათა მონასტერში ამ დღესასწაულს დიდძალი ხალხი დასწრებია. წირვა ჩაუტარებიათ ეპისკოპოს ბესარიონს, არქიმანდრიტ კესარიოსს და მღვდელ-მონაზონ ლეონიდეს. შემდეგ სიტყვით გამოსულან სამღვდელოებისა და თავადაზნ-

აურთაწარმომადგენლები: არქიმანდრიტი ლეონიდე; სიღნაღის მაზრის უფროსი ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი; თავადი დავით ამილახვარი, რომელსაც ამილახვართა საგვარეულოს სახელით წინამძღვრისათვის მიუერთმევია „ძვირფასი ვერცხლის, ოქროს წყალში დაფერილი ხატი წმიდის ნინოსი“; აგრეთვე გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი; დუშეთის მაზრის წინამძღოლი ლ. მუხრან-ბატონი; სამთავროს სკოლის ყოფილი მოწაფე მარიამ მახარაძე; მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი, რომელსაც დაუხატავს ილუმენიას პორტრეტი და მისთვისვე მიუერთმევია; თავადი დავით ციციშვილი; სინოდალური კანტორის ხაზინადარ ალექსანდრე არდაზიანს წაუკითხავს ალექსანდრე ეპისკოპოსის მილოცვა [მილოცვის ტექსტი დაცულია ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) ფონდში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, №333]. მცხეთელ გლეხ ზაქარია გარსევანიშვილს აკროსტიქი მიუძღვნია ილუმენიასათვის და იქვე წაუკითხავს ეს ლექსი:

„იღვაწი სამშობლოსათვის, თავსა არ აძლევ შვებასა,  
უძველისძველესს ტაძართა არ აკლებ განახლებასა;  
მართალის გულით წინამძღვრობ და სიმაღლით მწყსი კრებასა,  
ეალერსები შენ მხოლოდ სამშობლოს განათლებასა.  
ნეტარ ხარ ჩვენის ქვეყნისთვის, დიდ საიმედო მშრომელი,  
იბრძვი და სცდილობ ჩვენთვისინ გულითა დაუცხრომელი.  
ადიდოს ღმერთმა სახელი თქვენი, დიდების გრძნობელი.“

ნათელ ხარ ჩვენის ქვეყნისა და წყარო დაუშრობელი.  
ის წმიდა ჯვარი ვაზისა სიყრმითვე შეგყვარებია,  
ნეტარის ნინოს სამყოფელს ტაძარი გიშენებია.  
ამისთვის ღონისძიება სხვა ქვეყნით შეგიკრებია,  
სამარადისო სახსოვრად სამშობლო გიმშვენებია.“

ყოველი სიტყვა დიდი სითბოთი და უაღრესი მადლიერების გრძნობით ყოფილა გამსჭვალული. საბოლოოდ სამადლობელი სიტყვა წარმოუთქვამს წინამძღვარ ნინოს: „ენა ჩემი უძღურ არს წარმოსათქმელად გულითადის ჩემის მადლობისა თქვენდამი, ჩემო მონაფენო, დანო და ძმანო. მე ღირსი არა ვარ ამ პატივისცემისა, რომელით ღირს მყავითმედლევენდელსდღეს! დღევანდელი დღე აქრობს მავიწყებს იმ მწუხარე წამთ, რომელნიც ბედმა ჩემმა შემახვედრა დღევანდლამდე. სიყრმითვე ამ მონასტერში აღზრდილმა გამოვცადე ბევრი კარგი და ცუდი. სიყრმითვე მივეც აღთქმა თავსა ჩემსა, რომ შემეწირა ჩემი სიჭაბუკე, სრულ-ასაკობა და მოხუცება კეთილ-დღეობისთვის ამ მონასტრისა. როგორ შევასრულე ეს ჩემი სიტყვა და რა ნაყოფი მიიღო ჩემმა შრომამ, მის განსჯა მე არ შემიძლიან“ — თავმდაბლად განუცხადებია წინამძღვარს [46, გვ. 51].

მმართველ სინოდს იუბილესთან დაკავშირებით, კურთხევა და სიგელი გამოუგზავნია, რაც იმ დიდი ღვაწლის დაფასება იყო წინამძღვარ ნინოს რომ გაუნწევია სამთავროს მონასტრის აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის.

ამ დღესასწაულს ეძღვნება აგრეთვე გაზეთ „ივერიის“ 198-ე და 211-ე ნომრები.

1890 წელსვე გორის სასწავლებლის ღარიბ აღსაზრდელთა დახმარების საზოგადოებამ წინამძღვარი ნინო თავის მუდმივ საპატიო წევრად აირჩია.

1891 წელს კვლავ გრძელდებოდა აღმშენებლობითი საქმიანობა. სამთავროში მონასტრის ფლიგელზე მეორე სართულის დაშენება განუზრახავთ [24, ფ. 489, №42752]. მშენებლობას ხელმძღვანელობდა სინოდალური კანტორის არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი (არქიტექტორ ბილფელდის აგებულია ქაშვეთის ახლანდელი ეკლესია — 1910 წელს). თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის არქიმანდრიტ კესარიოსის წერილიდან ირკვევა, რომ ბილფელდი სამთავროს ახალი ეკლესიის მშენებლობასაც უძღვებოდა [44].

1895 წლისათვის სამთავროს ქალთასასწავლებელი მოძლიერებულია. იმ დროისათვის სკოლაში უკვე 53 გოგონა სწავლობდა [24, ფ. 488, №25432]. სასწავლებლის სანიმუშო ხელმძღვანელობისათვის წინამძღვარი ნინო 1895 წელს ბიბლიით დაუჯილდოებიათ.

1895 წელს მონასტრის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია. მონასტრის მოძღვრისთვის ხელფასი წელიწადში 100-იდან—600 რუბლამდე გაუზრდიათ [24, ფ. 489, №44534].

1898 წელს არქიტექტორ ბილფელდისთვის რკინიგზის ხაზის ქვეშ, ძეგვის ბაღში გზის გაყვანის საკითხის გარკვევა დაუვალებიათ. როგორც ირკვევა, 1890 წელს ძეგვთან, მდ. მტკვარზე ახალი ხიდის მშენებლობისას კვლავ ჩამოუჭრიათ სამთავროს კუთვნილი ვენახის ნაწილი და წინამძღვარ ნინოს რკინიგზის სამმართველოსგან ზარალის ანაზღაურება მოუთხოვია [24, ფ. 489, №64930].

1898 წლის 12 აგვისტოთი არის დათარიღებული მცხეთის თორმეტ მოციქულთა სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზის იოანე მრევლოვის შუამდგომლობა ამავე ტაძრის მღვდლის გრიგოლ რუსიევის დეკანოზად კურთხევის შესახებ [44].

1899-1900 წლების რამდენიმე ცნობა ეხება მონაზონთა თხოვნას მონასტრის დატოვების თაობაზე. როგორც ირკვევა, დედებს — ანა სანოძეს, მარიამ ამაშუკელსა და ივლიანას იმერეთის ეპარქიაში გადასვლის უფლება მოუპოვებიათ. თუმცა, წინამძღვრის ნებართვითვე მომდევნო წელს ისევ დაბრუნებულან სამთავროს მონასტერში [44].

ოქონის ჯვარცმის ხატი (გაშლილი).

Handwritten text in Georgian script, likely a liturgical or historical document. The text is written in a cursive style on aged parchment. The first line begins with a large initial 'ქ' (X).





Ε. Η. Κ. Α. Γ.

Δ. Ε. Ζ. Η. Θ.

Ι. Κ. Λ. Μ. Ν.

Ξ. Ο. Π. Ρ. Σ.

Τ. Υ. Φ. Χ. Ψ.

Ω. Α. Β. Γ. Δ.

Ε. Ζ. Η. Θ. Ι.

Κ. Λ. Μ. Ν. Ξ.

Ο. Π. Ρ. Σ. Τ.

Υ. Φ. Χ. Ψ. Ω.

Α. Β. Γ. Δ. Ε.

Ζ. Η. Θ. Ι. Κ.

Λ. Μ. Ν. Ξ. Ο.

Π. Ρ. Σ. Τ. Υ.

Φ. Χ. Ψ. Ω. Α.

Β. Γ. Δ. Ε. Ζ.

Η. Θ. Ι. Κ. Λ.

Μ. Ν. Ξ. Ο. Π.

Ρ. Σ. Τ. Υ. Φ.

Χ. Ψ. Ω. Α. Β.

# სამთავრო XX საუკუნეში

ოქონის ჯვარცმის ხატი (დახურული).

აზეთ „ივერიის“ 1900 წლის 231-ე ნომერში მოთხრობილია სამთავროში დასვენებული ოქონის ხატის ისტორია. ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, რომ ეს ხატი 1724 წელს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს წაუღია მოსკოვში. შემდეგ ხატს მისი ვაჟი გიორგი ფლობდა. XIX საუკუნეში კი იგი გრაფინია ტოლსტაიას საკუთრება ყოფილა. გრაფინიას ხატი წინამძღვარ ნინო ამილახვრისთვის გადაუცია და ეს სინმიდე სამთავროში დაუსვენებიათ.

ითვლება, რომ ეს ხატი მზითვად გამოატანეს ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III არგიროუსის ძმის, ბასილის ასულ ელენეს, როდესაც იგი 1029-30 წლებში საქართველოში ჩამოუყვანიათ ბაგრატ IV-ზე დასაქორწინებლად. ელენეს დეკანოზიც მოჰყოლია თან. ამ დეკანოზის შთამომავალნი შემდგომ გარსევანიშვილებად იწოდებოდნენ. გარსევანიშვილები ლაშქრობისა და ნადირობისას ხელმწიფის ჯვრის და ოქონის ხატის მტვირთველები და წინამძღოლები ყოფილან. ვახტანგ VI-ის აქტში გარსევანიშვილებისადმი აღნიშნულია:

„... და როგორც უნინ იყო, ახლაც (გარსევანიშვილებმა) გვემსახურეთ და იყავით ჯვართმტვირთველნი...ოდეს ქართველთ მეფე ლაშქარსა და ნადირობას წაბრძანდეს, ოქონის ხატი წინ უნდა უძღოდეს, ახალ წელს ცისკრად ოქონის ხატი უნდა შემოასვენოთ... 1717.“

ოქონის ჯვარცმის ხატი (28×21 სმ) ოქროთი და ვერცხლით შეჭედნილ კარედთან მართკუთხა ყუთში — „კივოტში“ (34×24 სმ) იდო. ვერცხლის ჯაჭვისა და ქამრის საშუალებით ჯვრისმტვირთველს იგი გულზე გამოკიდული დაჰქონდა. ყუთზე და კარედის ფრთებზე ქართველ მეფეთა სხვადასხვა დროინდელი წარწერებია. ხატის ქვეშ სანაწილე იყო ჩატანებული, რომელშიც, გადმოცემის თანახმად, ქრისტეს სისხლით გაპოხილი ღვთისმშობლის თმები და მაცხოვრის წვერის ნაწილები ყოფილა მოთავსებული.

ხატი ორრეგისტრიანი ყოფილა. ზედა რეგისტრში გამოსახული იყო ჯვარზე გაკრული მაცხოვარი, მთავარანგელოზები

სამთავროს სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. 1910-იანი წლები.





მის ირგვლივ და მზე და მთვარე ნუსხური წარწერით — იესო ქრისტე მეფე იუდეველთა. ჯვრის ქვემოთ კი — ადამის თავის ქალა. ქვედა რეგისტრში გამოსახული ყოფილა იოანე ნათლისმცემელი და ორი წმიდა მეომარი — წმინდა გიორგი და წმინდა დიმიტრი.

დანვრილებითი ცნობები ამ ხატის შესახებ მოთავსებულია კრებულში „Материалы по археологии Кавказа“ — XII ტომში. ექვთიმე თაყაიშვილს კარედის ფოტო და წარწერებიც აქვს გამოქვეყნებული (იქვე, ტაბ. XX. 39). მას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ხატი განახლებული უნდა ყოფილიყო XV-XVI სს-ში, ხოლო სანაწილე შესაძლოა თავდაპირველიც იყო [50, გვ. 119]. კარედი ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ჟურნალი „მწყემსი“ 1900 წლის მეცხრე და მეათე ნომრებში გვანვდის ცნობას სამთავროში წმინდა ნინოს ეკლესიის გვერდით ჯერ კიდევ მშენებარე ახალი ტაძრის შესახებ. იქვე ნათქვამია, რომ მონასტერში იმ დროისათვის 20 მონაზონი ცხოვრობდა, ხოლო ღვთისმსახურების აღსრულება სვეტიცხოვლის მღვდლების მოვალეობა ყოფილა. წერილის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა სამთავროს ტაძრის სავალალო მდგომარეობას: „ეს ძვირფასი ტაძარი დღეს სწორედ რომ სამწუხარო სურათს წარმოად-

გენს. გუმბათი და მაღლა კედლები სინოტივისგან მეტის-მეტად დაზიანებულია. საკვირველია, რომ ამ ტაძრის ასეთ საშინელ მდგომარეობაზედ დღემდის ხმაც არავის ამოუღია.“ ასევე სავალალო მდგომარეობაში ყოფილა მირიანისა და ნანას საფლავებიც: „საფლავის იატაკი ისეთივე წამხდარია, როგორც მთელის ტაძრის იატაკი. არც ლოდი, არც არავითარი ზედ წარწერა არ მოიძევა მათ საფლავებზე“ — გამოთქვამს წუხილს ჟურნალი (გვ. 12).

როგორც ჩანს, ამ სავალალო მდგომარეობას უმოქმედია საეკლესიო მმართველობაზე, რადგან 1902 წელს ეგზარქოს ალექსი I-ს (ოპოცკი, 1901-1905 წწ.) გამოუთქვამს სურვილი მირიანის და ნანას საფლავებზე, „ბოძებზე დაშენებული კამარის“ დადგმისა. ამისთვის სიონის ტაძარში 100 რუბლი შეუწირავს და უბრძანებია ხელმოწერის გამართვა ფულის შესაგროვებლად. ამ საქმისათვის გორის ეპისკოპოსს — კირიონს (შემდგომ საქართველოს კათალიკოსი 1917-1918 წლებში კირიონ II საძაგლიშვილი) შეუწირავს 50 რუბლი, ხოლო კომერსანტ და მეცენატ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს — 100 რუბლი (გვ. 12).

საფლავის ძეგლი ტაძრის ინტერიერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მხოლოდ 4 წლის შემდეგ აღუმართავთ — 1906 წელს. იგი წარმოადგენდა შეწყვილებულ მრგვალსვეტებიან თაღწარს,

რომელზეც შემომდგარი იყო სამნავიანი ეკლესიის იმიტაცია ვიწრო და მაღალი გუმბათით. სვეტნარი აღმოსავლეთ მხრიდან შემოსაზღვრული იყო დაბალი, მოჩუქურთმებული თეჯირით. თაღწარის ქვეშ საქართველოს განმანათლებელ გვირგვინოსანთა საფლავის ქვები ეწყო: მარცხნივ — ნანა დედოფლის, მარჯვნივ — მეფე მირიანის. ამ საფლავის შავი მარმარილოს ქვებზე ქართული და რუსული წარწერებით აღნიშნული იყო, რომ საფლავის ეს ძეგლი აღუმართავთ 1906 წელს, თავად კ. ი. მუხრან-ბატონიშვილის და სხვათა შემოწირულებით. ამჟამად ეს ქვები აღებულია.

1902 წლის 19 დეკემბერს წინამძღვარ ნინოს წერილი გაუგზავნია ეგზარქოს ალექსისათვის, რომელშიც იგი ოლდენბურგის პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასულის შუამდგომლობით მოითხოვდა მონასტრისათვის მიწის გადაცემას წეროვანსა და მისაქციელში 150 დესეტინის ოდენობით. თავისუფალი მიწების არქონის მომიზეზებით მიწათმოქმედების სამმართველოს უარი განუცხადებია ამ ნაკვეთის გამოყოფაზე [24, ფ. 488, №26862]. ასევე უარი უთქვამს მმართველობას მონასტრის მფლობელობაში კოდმანის ტყის ნაწილის გადაცემაზე, თუმცა ამ ტყის მასივით უფასოდ სარგებლობაზე დასთანხმებულან [24, ფ. 488, №22422].

იმ დროისათვის მონასტერში უცხოვრია პლატონ იოსელიანის ქვრივს — ანა იოსელიანს, ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ქალიშვილს. მას დაკავებული ჰქონია სამონასტრო შენობის მე-2 სართულის ორი ოთახი და სამზარეულო, ხოლო საკუთარი მამულები მონასტრისთვის უანდერძებია. ეს მამულები მდებარეობდა დუშეთის მაზრის სოფლებში: საშაბუროში, კობიანთკარსა და წინდუშეთში, სულ 67 დესეტინის ოდენობით. ასევე მონასტრისათვის გადაუცია ქვის სახლი ხეხილის ბაღით ქ. დუშეთში [24, ფ. 488, №24156. გვ. 19].

შემორჩენილია ანა იოსელიანის მიმართვა მისივე ხელმოწერით, სადაც აღნიშნულია, რომ იგი სამთავროს უანდერძებს საკუთარ ქონებას. ერთ-ერთი სხვა წერილიდან კი ირკვევა, რომ იგი მზრუნველობას იჩენდა დუშელ გაბრიელ შაბურიშვილის ობოლ ვაჟზე [44]. ანა იოსელიანი გარდაიცვალა 1913 წლის 15 დეკემბერს 85 წლის ასაკში და დაკრძალულია სამთავროს ტაძარში. საფლავის ქვაზე იგი ანა მოლოზნად არის მოხსენიებული (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები), თუმცა 1905 წლამდე მას მონასტერში როგორც კერძო პირს ისე უცხოვრია.

1904 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა წინამძღვარი ნინო ამილახვარი. იგი დაკრძალეს მისივე თაოსნობით აგებულ წმინდა ნი-



ნოს სახელობის ახალ, გუმბათიან ეკლესიაში, რომლის მშენებლობა დასრულდა 1904 წელსვე. როგორც აღვნიშნეთ, დღეს ამ ეკლესიის მხოლოდ საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი (იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები).

ნინო ამილახვარი მონასტერს 40 წლის განმავლობაში წინამძღვრობდა. იგი იყო მონასტრის პირველი წინამძღვრების — უფროსი

ილუმენია ნინო ამილახვარი (უმცროსი).

ნინო ამილახვრის, დარია ფალავასა და მინადორა ფურცელაძის წმიდა საქმის ღირსეული გამგრძელებელი. მისი ძალისხმევით შეკეთდა სამთავროს ტაძარი, შეკეთდა და აიგო ახალი სამონასტრო შენობები, დაარსდა ობოლ გოგონათა სასწავლებელი, აშენდა ახალი გუმბათიანი ეკლესია.

ნინო ამილახვრის დაუშრეტელმა ენერგიამ და მუდმივმა ღვაწლმა სამთავრო საქართველოს უპირველეს დედათა სავანედ აქცია.

მას იმ დროს მოუწია მოღვაწეობა, როდესაც ქართველი ერის გამოღვიძებაზე თერგდალეულებმა დაიწყეს ზრუნვა. 1880-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის და კოლონიური ჩაგვრის გაძლიერების დროს ეროვნული მოძრაობა რომ არ შეფერხდა, ეს ნინო ამილახვრის ღვაწლიცაა: რა ნაყოფი მოიღო ჩემმა შრომამ, მისი განსჯა მე არ შემეძლიანო — უთქვამს წინამძღვარს საიუბილეო საღამოზე. ეს ღვაწლი ქვეყნის განსასჯელია და ერმა მას ისეთივე მაღლი უნდა მიუზღას, როგორიც საქართველოს იმ ეპოქის სხვა ღირსეულ შვილებს.

1905 წლის 10 თებერვალს მონასტრის გამგებლად ეგზარქოს ალექსი I-ს დაუნიშნავს თავად ციციშვილის ქალიშვილი ელენე ციციშვილი-ბარათაშვილისა (იგი 1909 წელს აღიკვეცა მონაზვნად ნინოს სახელით და შემდეგ წინამძღვარიც გახდა), წინამძღვრის მოვალეობას კი ამ დროისათვის ასრულებდა, მონასტრის ხაზინადარი, მონაზონი ნისიმე ციციშვილი, რომელიც ილუმენიის ნაცვლად აწერს ხელს 1905 წლის 22 მაისით დათარიღებულ მონასტრის ფორმულარულ სიას. ამ სიაში 1904 წლის მდგომარეობით ირიცხებოდა 9 მონაზონი და 12 მორჩილი [ 24, ფ. 488, №22508].

## 1904 წლისათვის სამთავროს მონასტრის დედეგი ყოფილან:

### წინამძღვარი

**ნინო (ანა)** — თავად ამილახვრის ასული, დაბადებული 1815 წელს.

### ხაზინადარი

**ნისიმე** — დეკანოზ იოსებ ციციშვილის ასული, დაბადებული 1816 წელს.

### მონაზვნები:

**მარიამი (მაურა)** — მღვდელ ესტატე ხარატიევის ასული, დაბადებული 1819 წელს.

**ივლიანა (მარიამი)** — გლეხის წოდების, კირაკოზოვის ასული, დაბადებული 1829 წელს.

**მატრონა** — თავად ტუსიევის ასული, დაბადებული 1843 წელს.

**პელაგია** — გლეხის წოდების, ყაყაჩოელის ასული, დაბადებული 1851 წელს.

**სოფიო** — მოქალაქის წოდების, დაბადებული 1844 წელს.

**ივლიანა** — სასულიერო წოდების, ქუთათელაძის ასული, დაბადებული 1834 წელს.

**გედეონა** — მოქალაქის წოდების, დაბადებული 1860 წელს.

### მორჩილები:

**ანა** — გლეხის წოდების, ნიკოლოზ სანაძის ასული, დაბადებული 1870 წელს.

**მარიამი** — გლეხის წოდების, სანაძის ასული, დაბადებული 1870 წელს.

**თებრონია** — გლეხის წოდების, სანაძის ასული, დაბადებული 1871 წელს.

**თებრონია** — გლეხის წოდების, იმერლიშვილის ასული, დაბადებული 1859 წელს.

**ბარბარე** — თავად იოსებ გედევანოვის ასული, დაბადებული 1844 წელს.

**ელისაბედი** — მაღრაძისა, თურმანიძის ასული, დაბადებული 1833 წელს.

**მარიამი (მინადორა, მართა)** — გლეხის წოდების, სოლომონ ციქვაძის ასული, დაბადებული 1867 წელს.

**ეფროსინე (ევპრაქსია, ეფემია)** — აზნაურ დავით ჩარკვიანის ასული, დაბადებული 1869 წელს.

**ქრისტინე (ქეთევანი)** — აზნაურ ამაშუკელის ასული, დაბადებული 1867 წელს.

**ელენე** — აზნაურ კიკნაძის ასული, დაბადებული 1862 წელს.

**ანუსია (ნინო)** — გლეხის წოდების, კოჭლამაზაშვილის ასული, დაბადებული 1878 წელს.

**მიტრადორა (მარიამი)** — გლეხის წოდების, ხარაბაძის ასული, დაბადებული 1874 წელს.

სრული მონაცემები იხ. მონასტრის დედათა თანდართულ ანბანურ სიაში.

1905 წელსვე ჩაუტარებიათ მონასტრის ქონების აღწერა.

აღწერაში ჩამოთვლილია 22 ხატი, 33 წიგნი და სხვა საეკლესიო ნივთები [47, აღწ. 1. №6509] **(სია იხილეთ 145-ე გვერდზე).**

ეს ხატები, წიგნები და მთელი საეკლესიო ქონება აღუწერია საქართველოს მონასტრების ბლალოჩინს, არქიმანდრიტ დოსითეოსს. ამ ნივთების ჩაბარების დროს მონაწილეობდნენ მღვდლები: ეპიფანე ბერიძე და გრიგოლ გზელიევი. ნივთები მიუღიათ მონაზონ ნისიმეს და „კნენი ელენე ივანეს ასულ ბარათოვისას.“ მიღების აქტზე წაწერილია: „1906 წელსა თებერვლის 10 დღესა მოხსენებული ამ სიაში ნივთები მივიღე მე სამთავროს მცხეთის წმინდანინოს დედათა მონასტრის გამგემ ელენე ივანეს ასულმან კნ. ბარათოვისმან. ჩაბარების დროს დაესწრო მონაზ. ივლიანა.“

1906 წელს გარდაიცვალა წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელი ნისიმე ციციშვილი. შემდეგ, ალბათ, ელენე ციციშვილი-ბარათაშვილისა მართავდა მონასტერს. თუმცა 1909 წლამდე ამის დამადასტურებელი მონაცემი არ გაგვაჩნია.

იმდროინდელ საქართველოში კვლავ მძვინვარებდა პოლიტიკური რეაქცია. საქართველოს საეგზარქოსოს ჯერ ნიკოლოზ ნალიმოვი (1905-1906 წწ.), შემდეგ კი ნიკონ სოფიისკი (1906-1908 წწ.) მართავდა. ჯერ კიდევ ეგზარქოს

ალექსი I-ის (ოპოცკის) დროს, 1905 წლის 31 მაისს კაზაკებმა დაარბიეს ე. წ. ავტოკეფალისტთა მოძრაობის კრება, რომლის მიზანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. ამ მოძრაობის წევრები იყვნენ: გიორგი საძაგლიშვილი (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918 წწ.), ლონგინოზ ოქროპირიძე (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921 წწ.) და ბესარიონ ხელაია (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (1921-1927 წწ.). ამავე პერიოდში (1907 წელს) მოჰკლეს საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე...

1909 წელს ელენე ციციშვილი ნინოს სახელით აღიკვეცა მონაზვნად და იმავე წლის 15 ივნისს დაინიშნა წინამძღვრად, ხოლო 1910 წლის 16 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიაევი 1909-1913 წწ.) ნინო ციციშვილი ილუმენიის ხარისხში აიყვანა. სამთავროს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან მდებარე საფლავის ქვაზე აღნიშნულია ილუმენია ნინო ციციშვილის დაბადებისა და გარდაცვალების წლები — 1862-1941 წლები (1915 წლის ფორმულარული სიის მიხედვით კი იგი 1872 წ. არის დაბადებული. იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები).

1910 წელს მონასტრის მონაზონთა სიას უკვე ნინო ციციშვილი აწერს ხელს [ 24, ფ. 489, №64122].



სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი-ილუმენია ნინო ციციშვილი.

იმ დროისათვის მონასტერში 18 დედა ირიცხებოდა. ამ სიაში უკვე ცალკეა გამოყოფილი მონაზვნები, სქემოსნები და მორჩილები. 1904 წელთან შედარებით ცხრა დედა გამოკლებიათ, ხოლო ექვსი დამატებულია.

### **მეფის დამატებული დედანი ყოფილან:**

**წინამძღვარი**

ნინო ციციშვილი

**მორჩილები:**

ანა გრიგორიევა

ანა ასათიანი

ეკატერინე ბერიშვილი

ეკატერინე ნასიძე

ოლღა არბოლაშვილი



**სამთავროს მონასტრის დედათა კრებული. 1913 წელი.**

სხედან მარცხნიდან პირველ რიგში: მონაზონი ევპრაქსია ჩარკვიანი, მღვდელი სამსონ ლეჟავა, იღუმენია ნინო ციციშვილი, მონაზონი დოდო, მონაზონი მინადორა ციკობაძე.

მეორე რიგში: ამოუცნობი პირი, მონაზვნები: სოფიო ფუხაშვილი, ეკატერინე ბერიშვილი, სიდონია ბაქრაძე; მორჩილი ნინო (ივლიტა) ენუქიძე, სასწავლებლის პედაგოგი, ამოუცნობი პირი, მონაზონი ათანასია გონგლაძე, ამოუცნობი პირი.

მესამე რიგში: მორჩილი მაგდანა ბერიშვილი-გოგლიძე, ამოუცნობი პირი, სამონაზვნო მარიამ გიუნაშვილი, მონაზონი ანა ასათიანი, სამონაზვნო ნადია გუნცაძე, შემდეგ – სამივე ამოუცნობი პირი.

ამ სიაში არ არის მოხსენიებული კიდევ ოთხი მორჩილი, რომლებიც მონასტრის ქონების 1905 წლის აღწერაში არიან ნახსენები: ანა მერაბიშვილი, ნინო ჯიქურაძე, ანა მარცვალაშვილი და მარიამ მამუჩაშვილი.

1910 წლისათვის შემორჩენილ საკრებულო უწყისში აღწერილია მონასტერი და მისი უძრავი ქონება. მონასტრის გალავნის სიგანე 47 საჟენი ყოფილა, სიგრძე კი — 41 (100X87მ). გალავანში მდგარა სამრეკლო, მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის

მთავარი ტაძარი მიქაელ არქისტრატეგოსის (მთავარანგელოზის) ეკვდერით და წმინდა ნინოს ეკლესია, სადაც 14 იანვარს, წმინდა ნინოს გარდაცვალების დღეს, საღვთო ლიტურგია იმართებოდა. მთავარი ტაძრის ჩრდილო მხარეს მიშენებული ყოფილა მარანი ქართველ მეფეთა ღვინოების შესანახად. სამონასტრო შენობა ორსართულიანი იყო, ზედა სართულზე 14 სენაკით და სამზარეულოთი. აქედან ორი წინა ოთახი, სამზარეულო და სამი სარდაფი, დაკავებული



ჰქონია იღუმენიას; რამდენიმე ოთახი ხელსაქმისათვის იყო განკუთვნილი, დანარჩენებში კი დედები ცხოვრობდნენ. ცალკე მდგარა სატრაპეზოს შენობა, სამზარეულოთი და სარდაფით. გარდა ამისა, იქვე მდგარა ორსართულიანი, ქვით აგებული კოშკი და გოგონათა ოთხკლასიანი სასწავლებლის შენობა სასადილოთი, სამზარეულოთი და სარდაფით. ასევე — თავლა და პურის საცხობი.

მონასტერზე მიწერილი ყოფილა წმინდა არჩილის ეკლესია

(შესაძლოა ეს იყოს წმინდა არჩილ მეფის საფლავის ეკლესია ნოდოკრაში — თიანეთის რაიონი).

მონასტერს მცხეთაში ჰქონია 20 „დესეტინა“ და 200 კვ. საჟენი მიწა (დაახლოებით 20 ჰა), რაზეც განლაგებული იყო მონასტერი, დანარჩენი კი გამოიყენებოდა სახნავად; სოფელ ძეგვში — 7 „დესეტინა“ და 2100 კვ. საჟენი (8 ჰა) სახნავი, სავენახე და მდინარისპირა მამული; ქალაქდუშეთში — პლატონ იოსელიანის ქვრივის, ანა იოსელიანის მიერ ნაბოძები მამული.

იღუმენია ნინო ციციშვილი სამთავროს სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

მონასტერს ასევე ჰქონია ხელშეუხებელი კაპიტალი (400 რუბლი) საბანკო ბილეთის სახით. ხარჯავდა მხოლოდ მის პროცენტებს (15 რუბ. 20 კაპ.). მონასტრის შესანახად კი სინოდალური კანტორა ყოველწლიურად იხდიდა 800 რუბლს.

მონასტერს ჰქონია ორი ბეჭედი — სამონასტრო და საეკლესიო. ამ უწყისზე ხელი უნდა მოეწერათ წინამძღვარს და ხაზინადარს, თუმცა ხელმოწერები არ არის [ 44].



**სამთავროს მონასტრის დედათა  
ჯგუფი. 1910-იანი წლები.**

სხედან მარცხნიდან: სამონაზვნო  
სიდონია ბაქრაძე, მონაზონი ევპრაქსია  
ჩარკვიანი, მონაზონი ეკატერინე  
ბერიშვილი.

დგანან: სამონაზვნო ანა ასათიანი,  
სამონაზვნო ათანასია გონგლაძე,  
უცნობი სამონაზვნო, მონასტრის  
სასწავლებლის მონაფე.

1910 წელს მონასტრის ხა-  
ზინადრად დაუმტკიცებიათ  
ანუსია, ერისქალობაში ნინო  
კოჭლამაზაშვილი. იგი დაბადე-  
ბულა 1878 წელს, მონასტერში  
მოსულა 1898 წლის 28 დეკემ-  
ბერს, სქემა შთაუცვამს 1907  
წელს, მონაზვნად კი აღუკვე-

ციათ 1913 წლის 21 მაისს. ამის  
შემდეგ მონაზონმა ანუსიამ კი-  
დევე 50 წელი იღვანა მონასტრის  
საკეთილდღეოდ და მონასტრის  
გაუქმების შემდეგაც შემწედ და  
მცველად ედგა ამ წმიდა სავანეს.  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია  
II-ის გადმოცემით, ანუსია წარ-  
მოშობით ყოფილა ბოდბედან.

**ქართული მონასტრების წინამძღვრები**

ტფილისის მაცხოვრის ფერისცვალების — არქიმანდრიტი ანტონი  
შუამთის ღვთისმშობლის — არქიმანდრიტი დავითი  
დავით-გარეჯის — არქიმანდრიტი პიროსი  
ხირსის სტეფანწმინდის — არქიმანდრიტი სიმონი  
ქვაბისხევის მიძინების — არქიმანდრიტი გერასიმე

1950-იან წლებში მას იღუმენია-  
დაც კი მოიხსენიებენ.

1911 წელს საქართველოს ეპარ-  
ქიაში 10 ქართული და 6 რუსული  
მონასტერი ყოფილა (მათ შორის  
იყო სამთავროს ქართული და ბო-  
დბისა და მამკოდის რუსული დე-  
დათა მონასტრები). ამ მონასტერ-  
თა წინამძღვრები ყოფილან:

შიომღვიმის — ეპისკოპოსი ლეონიდე  
 ვარძიის მიძინების — ბერმონაზონი იპოლიტე  
 იოანე ზედაზნელის — ბერმონაზონი იოანე  
 იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსი — არქიმანდრიტი ანტონი (დროებით)  
 სამთავროს წმინდა ნინოსი (ქალთა) — ილუმენია ნინო  
 რუსული მონასტრების წინამძღვრები  
 საფარის საბასი — არქიმანდრიტი საბათი  
 კობის მიძინების — ილუმენი აბრაამი  
 ახტალის მიძინების — ბერმონაზონი გედეონი  
 მარტყოფის წმინდა ანტონის — საქართველოს ეგზარქოსი  
 ბოდბის წმინდა ნინოსი (ქალთა) — ილუმენია ნინო  
 მამკოდის წმინდა გიორგის (ქალთა) — ილუმენია კაპიტოლინა  
 [24, ფ. 489, №53505].

წინამძღვარ ნინო ციციშვილს  
 რთულ პერიოდში მოუწია მონას-  
 ტრის მართვა. ჯერ კიდევ 1911  
 წელს მონასტრის ეკონომიკური  
 მდგომარეობა სახარბიელო არ  
 ყოფილა, რის გამოც ილუმენია  
 ნინოს სინოდალური კანტორისა-  
 გან მოუთხოვია არა ერთჯერადი,  
 არამედ ყოველწლიური დახმარე-  
 ბა 2000 რუბლის ოდენობით [24, ფ.  
 489, №53188]. მდგომარეობა, რო-  
 გორც ჩანს, ოდნავ გამოსწორე-  
 ბულა და სავანეში დედათა რაო-  
 დენობაც გაზრდილა, მაგრამ 1914  
 წელს დაწყებულმა პირველმა მსო-  
 ფლიო ომმა და მისმა მომდევნო  
 რევოლუციურმა ქარტახილებმა  
 მონასტერი უმძიმეს ფიზიკურ და  
 სულიერ მდგომარეობაში ჩააგდო.

შემორჩენილია 1912 წლის მონას-  
 ტრის დედათა ორი სია. პირველ მათ-  
 განში 21 დედის მონაცემებია [24, ფ.  
 488, №25603], ხოლო მეორეში უკვე  
 39 დედაა აღრიცხული. მათგან 7 მო-  
 ნაზონია, 4 სქემოსანი და 28 მორჩი-  
 ლი [24, ფ. 489, №64291, გვ. 228].

აქვეა მონასტრის მღვდლის სამ-  
 სონ ანდრიას ძე ლეჟავას ბიოგრა-  
 ფიული მონაცემებიც, რომელიც  
 1912 წელს დაუმტკიცებიათ სამთა-  
 ვროს მოძღვრად და ექიმად. მას  
 დაუმთავრებია ქუთაისის სასულიერო  
 სემინარია (1900 წ.) და შემდეგ  
 ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის  
 სამედიცინო ფაკულტეტი (1910 წ.).  
 ჰყოლია მეუღლე — ნინო წიგნივაძე  
 და სამი შვილი — ალექსანდრე, ან-  
 დრია და ელენე (გვ. 232).

1913 წელს მონაზვნებად  
 უკუერთებიათ ხაზინადარი ანუ-  
 სია კოჭლამაზაშვილი, ქრისტინე  
 ამაშუკელი და მიტრადორა ხარა-  
 ბაძე, სქემა კი შთაუცვამთ მორ-  
 ჩილებს ანა გრიგორიევას, ანა  
 ასათიანს, ელენე ბერიშვილს და  
 მართა ბაქრაძეს [44].

1913 წლის მონასტრის აღწერა  
 ძირითადად იმეორებს 1910 წლის  
 საკრებულო უწყისის ცნობებს,  
 თუმცა სხვა საინტერესო მონაცე-  
 მებიცაა. ამდროისთვის მონასტრე-  
 ბი სამ კლასად იყოფოდა. სამთა-



სამთავროს სკოლის მოსწავლეები და  
 პედაგოგები. 1910-იანი წლები.

ვრო I კლასის მონასტერი ყოფილა.  
 სამონასტრო მამულების ნახაზე-  
 ბი და საბუთები წინამძღვართან  
 ინახებოდა. ყოველწლიური საშუა-  
 ლო შემოსავალი ამ მამულებიდან  
 200 რუბლი იყო. მონასტერში ესვე-  
 ნა წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი  
 ხატი [24, ფ. 488, №24158].

1913-1915 წლების ფორმულა-  
 რული სიებიდან [44] ჩანს, რომ  
 დედათა რიცხვი მონასტერში 41-  
 მდე გაზრდილა. ამ წლებში მო-  
 ნასტრის დედები ყოფილან:

## წინამძღვარი

**ნინო (ელენე)** — თავად ციციშვილის ასული, დაბადებული 1862 წ.

## მონაწილეები:

**ანუსია (ნინო)** — გლეს კოჭლამაზაშვილის ასული, დაბადებული 1878 წ.

**ივლიანა** — სასულიერო პირის ქუთათელაძის ასული, დაბადებული 1834 წ.

**პელაგია** — გლეს ყაყაჩაშვილის ასული, დაბადებული 1851 წ.

**მინადორა (მართა)** — გლეს ციკობაძის ასული, დაბადებული 1868 წ.

**ევპრაქსია (ეფემია)** — აზნაურ ჩარკვიანის ასული, დაბადებული 1867 წ.

**ქრისტინე (ქეთევან)** — აზნაურ ამაშუკელის ასული, დაბადებული 1867 წ.

**მიტრადორა (მარიამ)** — გლეს ხარაბაძის ასული, დაბადებული 1874 წ.

**თეკლე (სოფიო)** — გლეს ფუხაშვილის ასული, დაბადებული 1880 წ.

## სქემოსნები:

**ანა** — გლეს გრიგორიევის ასული, დაბადებული 1878 წ.

**ანა** — აზნაურ ასათიანის ასული, დაბადებული 1878 წ.

**ელენე (ეკატერინე)** — გლეს ფრიდონ ბერიშვილის ასული, დაბადებული 1872 წ.

**მართა** — აზნაურ სიმონ ბაქრაძის ასული, დაბადებული 1884 წ.

## მორჩილები:

**ბარბარე** — თავად გედევანიშვილის ასული, დაბადებული 1833 წ.

**ელისაბედ თურმანიძე** — გლეს მალრაძის ქვრივი, დაბადებული 1833 წ.

**ეკატერინე** — აზნაურ ნასიძის ასული, დაბადებული 1879 წ.

**ოლღა** — გლეს არბოლაშვილის ასული, დაბადებული 1875 წ.

**ანა** — გლეს მერაბიშვილის ასული, დაბადებული 1889 წ.

**მარიამი** — გლეს სოლომონ გიუნაშვილის ასული, დაბადებული 1887 წ.

**ივლიტა** — გლეს ენუქიძის ასული, დაბადებული 1890 წ.

**ეფემია** — გლეს ნეფარიძის ასული, დაბადებული 1891 წ.

**ნატალია** — გლეს მუხიგულაშვილის ასული, დაბადებული 1871 წ.

**ათანასია** — გლეს გონგლაძის ასული, დაბადებული 1890 წ.

**ანასტასია** — გლეს შონიას ასული, დაბადებული 1868 წ.

**ნინო** — გლეს გიგაურის ასული, დაბადებული 1870 წ.

**თეკლე** — გლეს გესლაიძის ასული, დაბადებული 1887 წ.

**სიდონია** — გლეს ხომასურიძის ასული, დაბადებული 1868 წ.

**ბარბარე** — თავად ჩხეიძის ქვრივი, დაბადებული 1853 წ.

**მაგდანა ბერიშვილი** — გლეს გოგლიძის ქვრივი, დაბადებული 1882 წ.

**ნინო** — გლეს მნათობიშვილის ასული, დაბადებული 1897 წ.

**ევდოკია** — აზნაურ ჭიჭინაძის ასული, დაბადებული 1890 წ.

**დარია** — გლეს ნეფარიძის ასული, დაბადებული 1894 წ.

**ანასტასია** — გლეს პატურაშვილის ქვრივი, დაბადებული 1853 წ.

**სიდონია** — გლეს კუსრაძის ასული, დაბადებული 1890 წ.

**ნადეჟდა** — გლეს გონგლაძის ასული, დაბადებული 1893 წ.

**ელისაბედი** — გლეს ხიზანიშვილის ასული, დაბადებული 1896 წ.

**ელისაბედი** — გლეს კაიშაურის ასული, დაბადებული 1885 წ.

**ეკატერინე** — თავად გედევანიშვილის ქვრივი, დაბადებული 1853 წ.

**ნადეჟდა** — აზნაურ გუნცაძის ასული, დაბადებული 1895 წ.

**ნინო** — აზნაურ ზალდასტანიშვილის ასული, დაბადებული 1895 წ.

**ივლიტა** — გლეს გგელიშვილის ასული, დაბადებული 1888 წ.

ამ სიაში აღარ არის მოხსენიებული რვა მორჩილი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო ამ წლებში დაუტოვებიათ მონასტერი. ეს დედები იყვნენ:

**ელისაბედი**, დაბადებული 1832 წ.

**თამარ გაბიდაური**, დაბადებული 1872 წ.

**თეკლე დიდიშვილი**, დაბადებული 1887 წ.

**ნინო ჯიქური**, დაბადებული 1875 წ.  
**ელპიტე დეისაძე**, დაბადებული 1890 წ.

**ნადეჟდა ნაცვლიშვილი**, დაბადებული 1884 წ.

**ელენე შვილობილიშვილი**, დაბადებული 1880 წ.

**მაგდანა გოგიშვილი**, დაბადებული 1868 წ.



1914 წელს მონასტრის მღვდლად დაუნიშნავთ **ეპიფანე პავლეს ძე სხირტლაძე**, დაბადებული 1874 წელს. შემონახულია მისი ადრინდელი საკმეიანობის ნუსხაც. მას დაუმთავრებია ქუთაისის სასულიერო სემინარია 1900 წელს და შემდეგ სხვადასხვა სასულიერო თანამდებობაზე უმსახურია. სამთავროს მღვდლის ხელფასი ამ დროისათვის წელიწადში 600 რუბლი ყოფილა [24, ფ. 489, №64405].

I მსოფლიო ომის დროს მონასტერს ეკონომიკურად უკიდურესად გაუჭირდა. ილუმენია ნინო ციციშვილი 1916 წლის წერილში აღნიშნავდა: ფასები პირველ მოთხოვნის საგნებზე ყოველდღიურად კი არა,

თითქმის ყოველ საათში იზრდება და სურსათის შეძენა მონასტრის შემოსავლით აღარ ხერხდებაო. შემონირულებანიც კი ამ საყოველთაო გაჭირვების დროს მთლიანად შეწყვეტილა. ამიტომ იგი უმორჩილესად სთხოვდა ეგზარქოს პლატონს (საქართველოს უკანასკნელი ეგზარქოსი პლატონ როჟდესტვენსკი 1915-1917 წწ.) შემწეობის განევას მონასტრისათვის, რადგან სხვა შემთხვევაში მათ დამდეგ ზამთარს უცილობელი შიმშილი ელოდათ [24, ფ. 489, №58881].

მონასტერმა ღვთის ძალით გაუძლო 1917 წლის ზამთარს, რაც ვერ შეძლო რუსეთის იმპერიამ, რომელიც ნაწილებად დაი-

ილუმენია ნინო ციციშვილი სამთავროს სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

შალა. რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს დამოუკიდებლობა ერგოთ. მათ შორის იყო საქართველოც. თუმცა პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ადრე, 1917 წლის 12 მარტს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და 106 წლის შემდეგ ეკლესია-მონასტრებში აღდგა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე. იმავე წლის 8-17 სექტემბერს თბილისში შედგა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც დაამტკიცა დამოუკიდებელი მართვა-გამგებლობის



ილუმენია ნინო ციციშვილი ამბროსი  
ხელაიას პატრიარქად კურთხევისას.  
1921 წელი.

დებულებები და აირჩია სრულიად  
საქართველოს კათალიკოს-პა-  
ტრიარქი. ეს პატივი წილად ხვდა  
ეპისკოპოს კირიონს (კირიონ II  
საძაგლიშვილი 1917-1918 წწ.).

საქართველოს პოლიტიკური  
და საეკლესიო დამოუკიდებლო-  
ბის მოპოვების მიუხედავად, ამ  
წლების საერთო ეკონომიკურმა  
კრიზისმა და განუკითხაობამ ხელი  
შეუშალა მონასტრის მდგომარე-  
ობის გამოსწორებას. საქმე იქამ-  
დე მისულა, რომ ობოლ გოგონათა  
სასწავლებლის პედაგოგებს ხელ-  
ფასს ვეღარ უხდიდნენ, ამიტომ  
საკათალიკოსო საბჭო, კირიონ  
II-ის მცდელობის მიუხედავად,  
იძულებული გამხდარა, უსახს-  
რობის გამო, 1918 წელს ობოლთა  
სასწავლებელი დაეხურა.

### **ამ პერიოდში სამონასტრო სკოლის პედაგოგები იყვნენ:**

**ლევან ტლაშაძე** — საღმრთო სჯუ-  
ლისა და ქართული ენის

**ოლღა ფავლენიშვილი** — რუსული  
ენისა და ისტორიის

**თამარ ჟორდანია** — ანგარიშის

**ეკატერინე ქარუმიძე** — გეოგრა-  
ფიისა და ბუნების მეტყველების

**დარია გაბელია** — ხელსაქმის.

[44].

1919 წელს მდგომარეობა გაუა-  
რესებულა. მოსახლეობას მონას-  
ტრის მიწები დაუტაცნია. წინა-  
მძღვარი ნინო გულისტკივილით

სწერდა საქართველოს რესპუბლი-  
კის შინაგან საქმეთა მინისტრს,  
რომ მისთვის არ დაუტოვებიათ  
თუნდაც ის ნორმა მიწებისა, რო-  
მელიც დაკანონებული ყოფილა  
სახელმწიფოს მიერ და ყოველი-  
ვე ეს წაუთმევიანათ ძალმომრე-  
ობით, სრულიად უსასყიდლოდ და  
მონაზონნიც რიცხვით ორმოცი  
სულ უკანასკნელ სახსარს არიან  
მოკლებულიო. იგი მოითხოვდა  
მონასტრისათვის დაებრუნებინათ  
კანონით კუთვნილი ქონება, რათა  
გადარჩენილიყო მონასტერი და  
მისი წევრები [44].

იგივე შინაარსისაა მეორე  
წერილი, რომელშიც ილუმენია  
სწერს ცხინვალში, სოფ. თამარა-  
შენში ელისაბედ მაჩაბელს, რათა  
მას დახმარება გაეწია მონას-  
ტრისთვის „რომელიც დღეს დიდ  
განსაცდელში არის და, თუ ქველ-  
მოქმედებმა ხელი არ მოგვიმარ-  
თეს, ჩვენი მამულის ისტორიული  
ნაშთი, ჩვენდა სასირცხვილოდ,  
განადგურდება“ [44].

დახმარებას ითხოვდა ნინო ცი-  
ციშვილი 1920 წელსაც: „ეს ქრის-  
ტიანობის დამისი კულტურის აკვა-  
ნი მეტად მოუვლელია. ორთავე  
ტაძარში ჩადის წვიმა, ინგრევა და  
თუ მსწრაფლ ყურადღება არ მო-  
გვექცა, მე პასუხისმგებელი აღარ  
ვიქნები, არამედ პასუხს აგებენ  
შთამომავლობის წინაშე ისინი, ვი-  
საც ჩვენი ქვეყნის სვე-ბედნი აბა-  
რიათ“ — სწერდა იგი საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის დამფუძნებელი  
კრების ხელოვნების კომისიას [44].

ეს ის დროა, როდესაც საბჭო-  
თა რუსეთი უკვე ემზადებოდა  
საქართველოს კვლავ ხელში ჩა-  
საგდებად და მათ, ვისაც ქვეყნის  
სვე-ბედი ებარათ, არათუ სამთა-  
ვროს, არამედ ქვეყნის გადარჩე-  
ნაც ვერ მოახერხეს.

1920 წელს ბერძენ ბერებს  
ქართველები გამოუდევნიათ  
საბერძნეთიდან — „ძველი ათო-  
ნის ახალ ქართველთა ივერიელთა  
წმინდის მოციქულის მახარებლის  
იოანე ღვთისმეტყველის სავანე-  
დან.“ ეს ბერები დაფუძნებულან  
მცხეთის არმაზის ღვთისმშობლის  
მონასტერში და თან საბერძნეთი-  
დან საეკლესიო ქონება ჩამოუტა-  
ნიათ. ამ ქონებას შეადგენდა  
რამდენიმე ხელი სამღვდელო შე-  
სამოსელი, ტრაპეზზე გადასაფა-  
რებელი, საბუხრეები, დაფარნე-  
ბი, ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი,  
ვერცხლისავე ლანგრები, ძვლის-  
ტარიანი ლახვრები, ტაკუკი, კან-  
დელი და აგრეთვე ღვთისმშო-  
ბლის კარედიათი პატარა ხატი.  
არმაზის მონასტრის წინამძღვარ  
მღვდელმონაზონ სამსონს ეს ქო-  
ნება სამთავროს წინამძღვარ ნი-  
ნოსთვის ჩაუბარებია. ქონების  
ჩაბარებას დასწრებია მცხეთის  
სვეტიცხოვლის წინამძღვარი არ-  
ქიმანდრიტი პავლე [44].

1921 წელს საქართველო გა-  
ასაბჭოვეს. მოხდა მისი ფაქტო-  
ბრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის  
მიერ. ათეისტთა კომუნისტები, რა  
თქმა უნდა, არაფერს სასიკეთოს  
არ მოუტანდნენ მონასტრებს,



სამთავროს მონასტრის დედები –  
სიდონია ბაქრაძე და ევპრაქსია  
ჩარკვიანი.

თუმცა თავდაპირველად რელიგიის აშკარა დევნა არ დაუწყიათ. სამთავროს მონასტერს უჭირდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არსებობდა. მონასტერი კვლავ ითხოვდა დახმარებას. საკათალიკოსო საბჭოს სამეურნეო გამგეობისათვის დაუვალებია ილუმენია ნინოს თხოვნის განხილვა ყოველთვიური დახმარების შესახებ. ამ განხილვის შედეგი ცნობილი არ არის, თუმცა ამას უკვე მნიშვნელობაც აღარ ჰქონდა.

1922 წელს საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. კომუნისტები მოლო-

ნიერდნენ და დაიწყეს რელიგიის და კულტისმსახურთა სასტიკი დევნა. კომუნისტურმა მმართველობამ ვერ აიტანა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ გენუის 1922 წლის აპრილის საერთაშორისო კონფერენციისადმი მიწერილი მიმართვა, სადაც იგი ამხელდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტს და მოითხოვდა „საშუალება მიეცათ ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოეწყო ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამებოდა.“ ხელისუფლებამ დააპატი-

მრა პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები, დახურეს ეკლესიები, მონასტრები და მათ შორის სამთავროს დედათა მონასტერიც. ისედაც ეკონომიკურად შეჭირვებული მონაზვნები საერთოდ უსახსროდ დარჩნენ.

მონასტერში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი მოეწყო, რაც თავისთავად ურიგო არ იყო და რასაც მონაზვნები უკიდურესი სიდუხჭირის პირობებში თავადაც ახერხებდნენ. ახლა კი მონაზვნები მონასტრიდან განდევნეს. შემდეგ მათ მხოლოდ ერთი ოთახი დაუთმეს. დედებს თხოვნით მიუმართავთ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისათვის — ამხ. ვ. ბაქრაძისათვის, რათა დამატებით კიდევ



გამოეყოთ იქვე, უქმად ჩაკეტილი სამი ოთახი, რადგან 18 სული ადამიანის ერთ ოთახში ცხოვრება არ შეიძლებაო. ამ მიმართვაში დედები — ანა კოჭლამაზაშვილი და ევპრაქსია ჩარკვიანი „ყოფილ მოლოზნებად“ არიან დასახელებული [44].

1924 წელს ჩამოუყალიბებიათ მცხეთის სამეურნეო არტელი „ქალთა შრომა“, რომელშიც ყოფილი მონაზვნები გაერთიანებულან. მათ თხოვნაში ხელისუფლების მიმართ აღნიშნულია, რომ „ოცდარვა უღარიბესი ქალის შედგენილი არტელი“ ვერ შეძლებდა ბინის ქირის (30 მან.) გადახდას და ითხოვდნენ გადავადებას, სანამ ეკონომიკურად არ მოღონიერდებოდნენ [44].

ამ თხოვნას ხელს აწერს არტელის „ქალთა შრომის“ წარმომადგენელი ამხანაგი ნინო... საბჭოთა ხელისუფლებამ ილუმენია ნინო ციციშვილი ამხანაგ ნინოდ გადააქცია. ამით, ალბათ, ყველაფერი ნათელია, უარესი რაღა უნდა მომხდარიყო...

ყოფილ მონაზვნებს კარგახანს საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამორთმეული ჰქონიათ, ეს უფლება მათ 1931 წელს აღუდგინეს. შემორჩენილია ამ მონაზონთა სია. სამწუხაროდ, ფურცელს ნაწილი აკლია და ოცდაერთი მონაზვნიდან მხოლოდ 11 მონაზონის გვარია აღნიშნული [44].

1933 წლის საბუთი კი წარმოადგენს I საფეიქროს მუშების სიას, რომლის სრული სახელწოდება

ილუმენია ნინო ციციშვილი სამთავროს სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

დება ყოფილა „მცხეთის I საფეიქრო ნადი — ფეიქარი.“ მათ შორის კვლავ ვხვდებით წინამძღვარ ნინო ციციშვილს, თუმცა იგი ამ საწარმოს რიგითი წევრია, თავმჯდომარედ კი ანუსია კოჭლამაზაშვილი აურჩევიათ. აქ, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ნინო ციციშვილის თავადურ წარმოშობას, რაც იმ დროისთვის არასასურველად ითვლებოდა [44].

ამ სიებში მოიხსენიებიან მონასტრის ყოფილი მონაზვნები, რომელთაც ახლებიც დამატებიან, ოღონდ დედები საფეიქროს მუშებად იწოდებოდნენ.



## სამთავროს დედები 1930-იანი წლების დასაწყისში ყოფილან:

ნინო ციციშვილი, დაბადებული 1862 წელს.  
ანუსია კოჭლამაზაშვილი, დაბადებული 1878 წელს.  
ივლიტა ენუქიძე, დაბადებული 1890 წელს.  
ათანასია გონგლაძე, დაბადებული 1890 წელს.  
ელისაბედ ხიზანიშვილი, დაბადებული 1896 წელს.  
ქრისტინე ამაშუკელი, დაბადებული 1867 წელს.  
ანა ასათიანი, დაბადებული 1878 წელს.  
ევპრაქსია ჩარკვიანი, დაბადებული 1867 წელს.  
სიდონია (მართა) ბაქრაძე, დაბადებული 1884 წელს.  
მაგდანა გოგლიძე, დაბადებული 1882 წელს.  
ეკატერინე ბერიშვილი, დაბადებული 1872 წელს.  
პელაგია ყაყაჩოელი, დაბადებული 1851 წელს.  
მინადორა ციკობაძე, დაბადებული 1868 წელს.  
ნატალია მუხიგულაშვილი, დაბადებული 1871 წელს.  
მარიამ გიუნაშვილი, დაბადებული 1887 წელს.  
მარიამ არჩვაძე, დაბადებული 1863 წელს.  
ეკატერინე კენჭიაშვილი, დაბადებული 1894 წელს.  
ელისაბედ არეშოვი, დაბადებული 1861 წელს.  
თამარ გაბიდაური, დაბადებული 1872 წელს.  
დარია აჭაიძე, დაბადებული 1893 წელს.  
ნინო ბურდილაძე  
პარასკევა (სალომე) უგრეხელიძე, დაბადებული 1890 წელს.  
თამარ ბეტიწა

1930-იან წლებში სამთავრო კულტურის ძეგლად გამოცხადდა. 1938 წელს ანუსია კოჭლამაზაშვილი ძეგლის მცველად არის მოხსენიებული. 1939 წელს სამთავრო კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების განმგებლობაშია [44].

სამთავროს მონასტრის დედათა ჯგუფი. 1950-იანი წლების ბოლო.

მარცხნიდან: მონაზონი ათანასია გონგლაძე (შემდგომში ილუმენია), მონაზონი ნინო (ივლიტა) ენუქიძე, ილუმენია ანუსია კოჭლამაზაშვილი, მონაზონი ეფემია ხიზანიშვილი.

ხელისუფლების დაჟინებული მცდელობის მიუხედავად, სამთავროში, ამ სასტიკ წლებშიც (საქართველოს გასაბჭოების შემდეგ), არ დამცხრალა სულიერი ცხოვრება. მონასტერი ოფიციალურად გაუქმებული იყო, თუმცა დედები მაინც ახერხებდნენ ფარულად სამონასტრო წესით ცხოვრებას. ეს კარგად ჩანს ამ პერიოდის მონასტრის დედებისა და ღვთისმსახურთა პირად მიმოწერაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე დედები და მათი სულიერი ძმები და



სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი-ილუმენია ანუსია კოჭლამაზაშვილი.

დები ერთმანეთს ამხნევებდნენ ამ წერილებითა და კეთილი მომავლის იმედით. თუმცა ამავე წერილებში აშკარად ჩანს იმ ეპოქის დაუნდობელი და სასტიკი ზნე: „ვინც ამ ქვეყანას გამოეთხოვა, ამ ოხერ ქვეყნიერებას, იგინი ბედნიერნი არიან, მით უმეტეს, რომ მოშორდნენ აქაურობას, აქაურ ვაი-ვაგლახს, აქაურ შიშს და მწუხარებას. მხოლოდ ჩვენ ვართ სამწუხარო და სატირნი გზაში დარჩომილნი, უბედურნი...“ — სწერს სამთავროელ მონაზონს — დედა ზოილეს (ეკატერინე, კატო დვალისშვილს) მისი სულიერი ძმა ნეოფიტე სამურზაყანოდან. აქვე იგი ამცნობს ბედიის



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II სამთავროს დედათა კრებულთან ერთად. 1960 წელი.

სხედან მარცხნიდან: მონაზვნები—ათანასია გონგლაძე (შემდგომში ილუმენია), ზოილე დვალიშვილი (შემდგომში ილუმენია); ილუმენი ილია შიოლაშვილი (ამჟამად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ III სიღამონიძე, მონაზვნები—სიღონია ბაქრაძე, მარიამ გიუნაშვილი.

დგანან: მონაზვნები—დარია აჭაიძე, ანა ასათიანი; სამონაზვნო პარასკევა უგრეხელიძე, მონაზონი ეფრემია ხიზანიშვილი, მორჩილი ტატიანა უროტაძე.

ეკლესიის დანგრევის სამწუხარო ამბავს (1936 წ. 7 მაისი) [ მონასტრის არქივი, პირადი მიმოწერა].

ამ წერილებიდან ისიც ჩანს, რომ ქართველი სამღვდელოება სამთავროს მონასტერს მოქმედ მონასტრად თვლიდა, რადგან მიტროპოლიტი ვარლამი და ილუმენი

დავითი ზოილე დვალიშვილისადმი მიწერილ პირად წერილებში ნინო ციციშვილს ილუმენიად მოიხსენიებენ (1930-იანი წლები; მონასტრის არქივი, პირადი მიმოწერა).

1941 წელს გარდაიცვალა მონასტრის ყოფილი ილუმენია ნინო ციციშვილი. დაკრძალულია სამთავროს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის წინ. იგი იყო უკანასკნელი ილუმენია საქართველოს გასაბჭოებამდე მოქმედი მონასტრის ილუმენიათა შორის და ღირსეული გამგრძელებელი წინამორბედ წინამძღვართა ღვანლისა.

1943 წელს ანუსია კოჭლამაზაშვილი სიძველეთა დაცვის წარმომადგენლად არის დასახელებული [44].

1944 წელს კი ანუსია კოჭლამაზაშვილი მოხსენიებულია სამთა-

ვროს ისტორიული ძეგლის დამლაგებლად (უხელფასოდ). ამ ცნობას ხელს აწერს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი ა. ქურდიანი [44].

სამწუხაროდ, ცნობები სამთავროს მონასტრის ისტორიის ამ პერიოდის შესახებ მწირია. ერთი-ორი საბუთის გარდა სხვა ცნობა არ მოგვეპოვება. ვსარგებლობთ აგრეთვე ზეპირი გადმოცემებით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ იმ მძიმე წლებში და II მსოფლიო ომის დროს სამთავროს მონასტრის მიმართ განსაკუთრებული ღვაწლი გამოუჩენია მცხეთელ მამულაშვი-



სურათის წარწერა სურათის წარწერა  
სურათის წარწერა სურათის წარწერა

ლების ოჯახს. ცნობილი ქართველი მებაღე-დეკორატორის მიხეილ მამულაშვილის ოჯახში აფარებდნენ თავს ხელისუფლებისაგან დევნილი დედები. სამთავროელი დედის — ევპრაქსია ჩარკვიანის ფოტო ამჟამადაც კიდია მამულაშვილების სახლში. მიხეილ მამულაშვილი სამთავროელი მონაზვნების და დიდი ევპრაქსიას, როგორც მას უწოდებდნენ, გაზრდილი ყოფილა. სამთავროს ეზოში დაკრძალული არიან მამულაშვილთა ოჯახის წევრები.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გადმოცემით, II მსოფლიო ომის შემდეგ სამთავროს მონასტრის ილუმენიად

უკურთხებიან ანუსია კოჭლამაზაშვილი. 1956 წლის აღდგომის მისალოც ბარათში დედა ანუსიას ილუმენიად მოიხსენიებს აგრეთვე ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტი ეფრემი (ერისკაცობაში გრიგოლ სიდამონიძე — 1896-1972), შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (1960-1972). [მონასტრის არქივი].

კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი (1952-1960 წწ. ერისკაცობაში მიხეილ ფხალაძე) 1957 წ. აპრილის ბარათით დედა ანუსიას სამთავროს ტაძარში ფილმის კადრების გადაღების ნებართვას სთხოვს. ამ დროისთვის სამთავრო კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს გამგებლობაშია და მისი მმართველი კ. სოხაძე დედა ანუსიას, როგორც მხოლოდ კულტურის ძეგლის მცველს, ატყობინებს, რომ სამმართველო თანახმაა, რათა სამთავროში გადაიღონ მხატვრული ფილმის „მამლუქის“ კადრები და გარკვეულ მითითებებს აძლევს მას [მონასტრის არქივი].

ამ საბუთებით ირკვევა, რომ სამთავროს დედათა მონასტერი იმჟამად კვლავ გაუქმებული ყოფილა, თუმცა საქართველოს გასაბჭოების სანყის ეტაპთან შედარებით მონაზვნებს გარკვეული უფლებები ჰქონდათ, რაც მათი უანგარო ღვაწლის და თავდადების შედეგი იყო.

1950-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ დაწყებულმა ე.წ. „დათბობის“



სურათის წარწერა სურათის წარწერა  
სურათის წარწერა სურათის წარწერა

პოლიტიკამ საქართველომდეც ჩამოაღწია. „მებრძოლ უღმერთოთა“ ათეისტურ გარემოში ჯერ კიდევ სასწაულებრივ შემორჩენილ მრევლს საშუალება მიეცა მორწმუნეთა ე.წ. „ოცეულები“ ჩამოეყალიბებია, რაც სათანადო კრებით უნდა დამტკიცებულიყო. ამგვარი კრება მცხეთაშიც ჩატარდა 1961 წლის 28 ივნისს. სამთავროს მორწმუნეთა კრებას თავმჯდომარეობდა ზოილე დვალიშვილი, ხოლო საბჭოს მდივნად აირჩიეს ქეთევან გონგლაძე.

სამთავროს მონასტრის არქივში შემორჩენილია მორწმუნეთა ამ ოცეულის სია. ესენი იყვნენ:



1. აჭაიძე ანა (დარო)
2. ალაბეგოვი მერი
3. ბერიშვილი ეკატერინე
4. ბაქრაძე სილონია
5. გიუნაშვილი ეფემია
6. გოგლიძე მაგდანა
7. გონგლაძე ქეთევანი (საბჭოს მდივანი)
8. დვალიშვილი ზოილე (კრების თავმჯდომარე)
9. კენჭიაშვილი ეკატერინე
10. კვირკველია ეფემია
11. ნარიშკინი ნატალია
12. პაპოვიჩი სოფიო
13. სულაძე ფეოდოსია
14. უგრეხელიძე პარასკევა
15. უროტაძე ტატიანა
16. ქურდიანი პოლინა
17. ხიზანიშვილი ეფემია.
- და სამი მამაკაცი:
18. ალექსიძე დიმიტრი
19. მამულაშვილი მიხეილი
20. ციალაშვილი ალექსანდრე

როგორც ვხედავთ, ამ ოცეულის წევრები ძირითადად სამთავროს მონასტრის დედეები არიან, რომელთაც ოთხი ათეული წლის მანძილზე გაუძლეს უკიდურეს გაჭირვებასა და დამცირებას და მიმქრალი სული ხელახლა შთაბერეს სამთავროს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იგონებს, რომ ამავე პერიოდში მას მოსკოვის სასულიერო აკადემია ახალი დამთავრებული ჰქონდა (1960 წ.) და ნირვა-ლოცვას სამთავროში ატარებდა. მალე იგი ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსად უკურთხებიან, ხოლო 1963 წლიდან იგი იყო პირველი რექტორი ახლად გახსნილი სამთავროს სასულიერო სემინარიისა.

სემინარიის გახსნასთან დაკავშირებით ილია II იხსენებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ბერი გაბრიელი და ილუმენია ზოილე (დვალიშვილი) მონასტრის დედებთან და სტუმრებთან ერთად.

აგრეთვე, რომ იმდროინდელ კათოლიკოს-პატრიარქს — ეფრემ II-ს მთავრობისთვის მხოლოდ საღვთისმეტყველო კურსების გახსნა უთხოვია, რაზეც ხელისუფლება დათანხმებულა. სასულიერო სემინარიად კი ეს კურსები მოგვიანებით გადაუკეთებიათ.

ამ სასწავლებლის ერთ-ერთი პირველი პედაგოგები ყოფილან: დეკანოზი მელქისედეკ თხელიძე, ილია ჭეიშვილი და თაისი ტორონჯაძე.

სამთავროს მონასტრის აღორძინებაში დიდი წვლილი შეუტანია დედა ზოილე დვალიშვილს, რომელიც წინამძღვრობდა მონასტერს 1960-70-იანი წლების დასაწყისში. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დედა ზოილე დვალიშვილის ნათლული ყოფილა. ილია II-ს ბავშვობის საუკეთესო დღეები სამთავროში გაუტარებია. ზოილე დვალიშვილი (ერისქალობაში ეკატერინე სპირიდონის ასული დვალიშვილი — 1892-1973 წწ.) ბედიის მონასტრის უკანასკნელი წინამძღვარი ყოფილა. ბედიის მონასტრის დახურვის შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — კალისტრატეს (1932-1952) (კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე — 1866-1952) ლოცვა-კურთხევით დედა ზოილე გადაყვანილ იქნა მედავითნედ ვლადიკავკაზის ქართულ ეკლესიაში, რომელსაც წინამძღვრობდა არქიმანდრიტი ტარა-



სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი-ილუმენია ზოილე დვალიშვილი. 1970-იანი წლები.

სი კანდელაკი. სამთავროში კი დედა ზოილე მოსულა 1930-იანი წლების შუახანებში. 1960-იან წლებში ილია II-ის თხოვნით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს — ეფრემ II-ს სამთავროს მონასტრისათვის გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად ზოილე დვალიშვილი ოქროს ჯვრით დაუჯილდოებია.

წინამძღვარი ზოილე დვალიშვილი გარდაიცვალა 1973 წელს და დაკრძალულია სამთავროს ეზოში ჩრდილო გალავანთან. საფლავის ქვაზე არ არის აღნიშნული, რომ დედა ზოილე მონასტრის წინამძღვარი იყო, რადგან ოფიციალურად ამ დროს სამთა-

ვროში სამონასტრო ცხოვრება არ მიმდინარეობდა [იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები].

სამონასტრო ტიპიკონი სამთავროში მხოლოდ 1980-იან წლებში აღდგა. ამ დროს მონასტრის ილუმენია იყო ანა აჭაიძე (ერისქალობაში დარია მიხეილის ასული — 1893-1986 წწ.). იგი გარდაიცვალა 1986 წელს, დაკრძალულია სამთავროს ეზოში [იხ. აქვე სამთავროს საფლავთა წარწერები].

1970-იან წლებში სამთავროში მიმდინარეობდა სარესტავრაციო სამუშაოები. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა არქიტექტორ-რესტავრატორი ვახტანგ ცინცაძე. ამ დროს გამაგრდა ფერისცვალების დიდი ტაძრის გუმბათის ყელი, განახლდა მისი სახურავი, გაიხსნა საკურთხევის აფსიდის ჩრდილო ნაწილის თაღოვანი ნიშები, გამაგრდა კედლის მხატვრობა. ამავე დროს შეკეთდა მონასტრის გალავანი და მისი კედლები კრამიტის ორფერდა სახურავით გადაიხურა.

1980-იანი წლების დასაწყისში დამთავრდა წმინდა ნინოს მცირე გუმბათიანი ეკლესიის რესტავრაცია (რესტავრატორი ვახტანგ ცინცაძე). ეს ადრეული ნაგებობა გარემოცული იყო მონასტრის წინამძღვარ ნინო ამილახვრის თაოსნობით 1904 წელს აგებული ახალი ეკლესიით. რესტავრაციის შედეგად ეს ახალი ნაგებობა მთლიანად დაიშალა. გაიწმინდა თითქმის ერთი მეტრის სიღრმეზე მიწაში ჩამჯდარი



სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი-ილუმენია ანა აჭაიძე.

ადრეული ნაგებობა და იგი თავდაპირველი სახით გამოვლინდა.

1984 წელს განხორციელდა სამრეკლოს რესტავრაცია (რესტავრატორი ნ. ქვარიანი) [სამთავროს რესტავრაციის მასალები ინახება ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივში].

ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი, ილუმენია იყო ანა აჭაიძე, 1991 წლიდან კი უკვე ქეთევან კოპალიანია.

სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი-ილუმენია ქეთევან (ათანასია) გონგლაძე. 1960-იანი წლები.







სამთავროს წმინდანინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი, ილუმენია ქეთევანი — ერში იზოლდა ერმილეს ასული კოპალიანი — დაიბადა 1948 წლის 22 იანვარს ლეჩხუმში (ცაგერის რაიონი) მშობლების — ერმილე ანდრიას ძე კოპალიანისა და ეკატერინე საბას ასულ თუთისანის ოჯახში. 1966 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. 1970-1972 წლებში სწავლობდა თბილისში სტენოგრაფიის ორწლიან კურსებზე. 1973 წელს ჩაირიცხა და 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფილოლოგიის ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ, პროფესორ ზურაბ სარჯველაძის წარდგინებით, მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

როგორც ილუმენია ქეთევანი იგონებს: მიუხედავად იმისა, რომ თავისი სპეციალობა ძალიან უყვარდა, მუდამ რაღაცის ძიებაში იყო და მხოლოდ მაშინ, როცა პირ-

ველად დაესწრო სიონის საკათედრო ტაძარში წირვას და მოისმინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ქადაგება, გადაწყვიტა თავისი ცხოვრება უფლისთვის მიეძღვნა. ფარულად დატოვა ხელნაწერთა ინსტიტუტი და მთლიანად ეკლესიას დაუკავშირდა. განზრახვის გასანდობად კათოლიკოს-პატრიარქთან მივიდა. მის უწმინდესობასთან წარადგინა აწ განსვენებულმა ზურაბ ჭავჭავაძემ (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი), რომელიც იმჟამად კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტის მოვალეობას ასრულებდა. შეხვედრისთანავე ზურაბს პატრიარქმა განუცხადა: „როგორი კარგი სამონაზვნოაო.“ ამ სიტყვებმა საბოლოოდ განსაზღვრა ილუმენია ქეთევანის მომავალი. 1984 წელს იგი პატრიარქმა მორჩილად აკურთხა, ხოლო 1986 წელს — სამონაზვნოდ და მოციქულთა სწორის — წმინდა ნინოს სახელი უწოდა; ამავე წელს წარიგზავნა წმინდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტერში. 1988 წელს მონასტრული ცხოვრების გამოცდილე-

ბის მისაღებად საპატრიარქოსთან დაახლოებული მრევლის თექვსმეტწევრიან ჯგუფთან ერთად ერთი თვით პიუხტიცის (ესტონეთი) დედათა მონასტერში გაგზავნეს.

1991 წლის 13 მარტს მისმა უწმინდესობამ, მეუფე დანიელთან ერთად, სამთავროს ფერისცვალების ტაძარში ნინო მონაზვნად აღკვეცა და საქართველოს წამებული დედოფლის სახელი — ქეთევანი — უწოდა. იმავე წლის 13 ივლისს, 12 მოციქულის ხსენების დღეს, პატრიარქმა მონაზონი ქეთევანი სვეტიცხოვლის ტაძარში ილუმენიად აკურთხა და სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინა. ჯილდოდ გადასცა კვერთხი და გამშვენებული ჯვარი.

ილუმენია ქეთევანმასხვადასხვა დროს მოილოცა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სინმინდებები, მათ შორის იერუსალიმისა და კაპადოკიის.

ილუმენია ქეთევანი ორსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე მონასტრის ილუმენიების, ღვანღმოსილი დედების, საქმის ღირსეული გამგრძელებელია.







სამთავროს დედათა მონასტერში 1985-1995 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სალოსი ბერი, ბრძენი მამა და მოძღვარი არქიმანდრიტი გაბრიელი. სიცოცხლის ბოლო წლებში აღისრულა მან ბავშვობის ოცნება — სამთავროს მადლიან მინაზე ჰქონოდა სენაკი (მისი თქმით კურთხევა ღვთისმშობლისა და ორი პატრიარქისაგან მიიღო). ამ მადლიან მინიდან უქადაგებდა იგი მრევლს, რომ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება სასუფეველისათვის მუდმივი მზადებაა და, რომ ღვთის სიყვარული ერთმანეთის სიყვარულში ვლინდება.

ხატებითა და ღვთის მადლით აღვსილი მისი სენაკი მრგვალი კოშკის პირველ სართულზე იყო განლაგებული.

ღვთის დიდი სიყვარულისა და უკიდევანო რწმენისათვის უფალმა მას წინასწარმეტყველებისა და ნათელხილვის მადლი მიანიჭა. მამა გაბრიელს შეეძლო ზუსტად ამოეცნო დაფარული აზრები, უხილავად განეკურნა ავი სულით შეპყრობილი და ღვთისმშობლისადმი წრფელი ვედრებით გა-

დაერჩინა მოყვასი და ღუპვისაგან. ცდილობდა სალოსური ქმედებით დაეფარა სიბრძნე.

მამა გაბრიელი განუწყვეტლივ ზრუნავდა დედათა სულიე-

რი განწმენდისა და სრულყოფისათვის. მან მონასტერს მონაზონთა სახელმძღვანელოდ ჩარჩოში ჩასმული წესდება შემოსწირაღ

### „ესე არს იფრო გზა მონოზონებისა“

- მოყმობა მუცლისა;
- ზედგომა ღამე ყოველ გალობითა;
- სმა წყლითა სასწორითა;
- ნაკლულევანება პურისა;
- დათმენა კდემისა და ყვედრებისა;
- შეწყნარება ბასრობისა და კიცხვისა;
- მოწყვედა ნებათა თვისთა;
- შეურაცხებასა ზედა უდრდგინველობა;
- ჭირთა მოთმინება;
- გინებათა თავსდება;
- ძვირის ხილვათა ტვირთვა;
- შეურაცხებასა ზედა არა განრისხება და თუ მიგვიხვეჭვდეს, მიუტეოთ უსიტყველად და უკეთუ ვინმე გვიზრახვიდეს, არა შევსწუხდეთ, მოთმინებით მოვითმენდეთ;
- მივუტეოთ და ნაცვალსა ნუ ვეძიებდით;
- გინა თუ ვინმე განგვიკითხვიდნენ, წინაშე მათსა დავმდაბლდეთ უსიტყველად.“

ღმერთმა მამა გაბრიელს გარდაცვალების შემდეგაც დაუტოვა კურნების ძალა. ამიტომაა, რომ უამრავი ხალხი მიეძინება ბერის საფლავზე სამთავროს დედათა მონასტერში და მისი კანდელის

ზეთით განკურნებულთ მიჰყვებათ მადლი იმ მინისა, საიდანაც წმინდა ნინომ ქრისტიანობის ნათელი მოჰფინა საქართველოს.

(ბერის დიადემა, თბ., 2004 წ.)

3. ଅନ୍ତରାଳ ଗୁଣିତାଳ

[illegible]

3-րդն Ժողովուրդ: Ժողովուրդը մեծ, ինքն  
3-րդն Ժողովուրդը կուսակցությանը և Ժողովուրդին  
Ժողովուրդը կուսակցությանը և Ժողովուրդին  
30.1555. Ժողովուրդը կուսակցությանը և Ժողովուրդին  
Ժողովուրդը կուսակցությանը և Ժողովուրդին



მეჩვენი გინათხეს გუბეს, ზარბნი ღვინა კლუბი  
ქვე გუბელის სილუბი, ღვინსები გინათხეს  
სიბნელ დახურეს რიგინი, სიჩვივად გინათხეს  
მთა დაბინეს ქვითან, აკვანს ურჩხუბდეს მკლულები.

\*\*\*

მეჩვენი ზოიღეს მუფრეკლი, ცეცხლი მოტუნარე გმესი  
დახლანეს უცხო მუფრეკლი, თუთი გულისა მოლაშქები  
ცანთა დაიღეს მუფრეკლი, ზოიჩქელთა მოსანხები  
თავით ღვინადმდე არ დაბინათ, მთა ღმრგლით მოუხმეს.

\*\*\*

რთა ღვინი დაბინათ რიგინი, სიჩვივად მოუხმეს  
მთაღეს იგი ახლო, მისის სიბნელი მარები  
ცეცხლით მოიჩქელეს აკვინს, დაბინათ მოსანხები  
მუფრესა შემოსილეს და მთაღეს, სილუბი კორცესაღეს.

\*\*\*

დახვანა თვინი მკლუბი, სილუბი მის კისეს იწოდა  
კლუბი შენთა არს სიბნელი, კით არა მოიჩქელეს  
მეჩვენი მოიღეს რიგინი, იგი ღვინად ღმრგლით იწოდა  
გამოიჩქელეს ქვითან, თუ გმა მთეს შესიჩქელეს.

\*\*\*

მეჩვენი იტუღეს არისთ, რადგან კისეთის მუფრეკლი  
სიბნელ მოიღესთა დღოღეს, მეჩვენი შესიჩქელეს  
ქვითა დაიღეს გორცინად, სილუბი მოსანხები  
თხემისა აღსიჩქელეს, ცანუვისა დასიჩქელეს.

\*\*\*

კლუბი წამოსხეს მოიღესთა, ცეცხლი მკლუბი მუფრეკლი  
კლუბი მისცეს სიბნელი, მთა გინათხეს სიბნელი  
სილუბი დაიღეს ცანუვისა, დაიღეს კლუბი მუფრეკლი  
რთა გორცინად მოიჩქელეს, ღმრგლით სიბნელი მოსანხები.

\*\*\*

რთა აღსიჩქელეს ნეტარი, ღვინისა სიბნელით  
თხემით ცანუვისა მოიჩქელეს, კორცისა დასიჩქელეს  
ნახეს ღვინად უღესთა, დაბინათ სიბნელით  
გინათხეს მკლუბი, დღოღეს სიბნელით.

\*\*\*

კლუბი მოიღესთა იხილეს, ნათელი მისედ მკლუბი  
მისცეს კით მოიჩქელეს, კლუბი, მთა სიბნელი  
მთაღესთა მოიჩქელეს, მთაღეს ცეცხლი მკლუბი  
მთაღესთა უღმრგლით, ქვითან დასიჩქელეს.

\*\*\*



სამთავროს მონასტერში დაცული  
ძველი წიგნები.

### „მკლესიასა შინა“

ხატი მაცხოვრისა სახელსა ზედა  
ხელთ უქმნელისა ხატისა, რამკასა  
შინა, აქვს გვირგვინი და კრკალი  
ვეცხლისა ოქროთ დაფერილი;

